



ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
ENPARD



AUSTRIAN  
DEVELOPMENT  
COOPERATION



Research

# მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი განვითარების სტრატეგია 2020-2024



2020  
მესტია

მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი განვითარების სტრატეგია შემუშავდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამისა (ENPARD III) და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADA) პროექტის: „LEADER მიდგომის დანერგვა მესტიის მუნიციპალიტეტში – ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობისთვის“ ფარგლებში. აღნიშნულ პროექტს ახორციელებს „ქეა ავსტრია“ (CARE) „PMC კვლევით ცენტრთან“ თანამშრომლობით. წინამდებარე დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია და შეხედულებები ეკუთვნის ზემო სვანეთის ადგილობრივი განვითარების ჯგუფს (LAG) და არ არის აუცილებელი ასახავდეს ევროკავშირის ოფიციალურ თვალსაზრისს. აქ წარმოდგენილი ინფორმაციის გამოყენებისთვის პასუხისმგებლობა არ ეკისრება არც ევროკავშირის ინსტიტუტებსა და ორგანოებს, არც ნებისმიერ პირს, რომელიც მათი სახელით მოქმედებს.



# სარჩევი

ცხრილებისა და გრაფიკების სია & აბრევიატურები .....	4
წინასიტყვაობა და შეჯამება .....	5
<b>1. LEADER მიდგომა და ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG) .....</b>	<b>7</b>
1.2. საზოგადოების ჩართულობა .....	7
LEADER მიდგომა .....	7
1.3. ზემო სვანეთის ეკონომიკური განვითარების სამოქმედო გეგმა 2020-2021 .....	11
1.4. ზემო სვანეთის ადგილობრივი განვითარების ჯგუფის აღწერა .....	11
1.5. ზემო სვანეთის LAG-ის დამატებითი აქტივობები .....	12
<b>2. მესტიის მუნიციპალიტეტის ზოგადი მიმოხილვა .....</b>	<b>13</b>
<b>3. ინფრასტრუქტურა და ძირითადი სოციალური მომსახურებები .....</b>	<b>16</b>
3.1. გზები .....	16
3.2. წყალმომარაგება და საკანალიზაციო სისტემა .....	16
3.3. ელექტროენერჯია .....	16
3.4. ტრანსპორტირება .....	17
3.5. კომუნიკაცია .....	17
3.6. გასართობი და დასასვენებელი ინფრასტრუქტურა .....	17
3.7. დღის ცენტრები .....	17
ინფრასტრუქტურა და საბაზისო სოციალური მომსახურებები – SWOT ანალიზი .....	18
ინფრასტრუქტურა და საბაზისო სოციალური მომსახურებები – ამოცანები და სტრატეგიული აქტივობები .....	19
<b>4. განათლება, კულტურა, სპორტი, ახალგაზრდობა და ჯანდაცვა .....</b>	<b>24</b>
4.1. საგანმანათლებლო დაწესებულებები .....	24
4.2. კულტურა / გართობა .....	24
4.3. სპორტი / ახალგაზრდობა .....	24
4.4. ჯანდაცვა .....	25
განათლება / კულტურა / სპორტი / ახალგაზრდობა / ჯანდაცვა – SWOT ანალიზი .....	25
განათლება / კულტურა / სპორტი / ახალგაზრდობა / ჯანდაცვა – ამოცანები და სტრატეგიული აქტივობები .....	27
<b>5. ტურიზმი .....</b>	<b>31</b>
5.1. ეროვნული კონტექსტი .....	31
5.2. ტურიზმი სამეგრელო – ზემო სვანეთში .....	31
5.3. ტურიზმი მესტიის მუნიციპალიტეტში .....	31
ტურიზმი – SWOT ანალიზი .....	32
ტურიზმი – ამოცანები და სტრატეგიული აქტივობები .....	33
<b>6. სოფლის მეურნეობა .....</b>	<b>38</b>
6.1. მცენარეები .....	38
6.2. ერთწლიანი კულტურები .....	39
6.3. მრავალწლიანი კულტურები .....	39
6.4. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაცია – ბაზრების განვითარება .....	39
6.5. მეცხოველეობა – მსხვილფეხა საქონელი .....	39
6.6. სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქცია .....	40
6.7. სოფლის მეურნეობისთვის საჭირო მანქანა-დანადგარები .....	40
6.8. სახელმწიფო პროგრამები და ტექნიკური მხარდაჭერა .....	41
სოფლის მეურნეობა – SWOT ანალიზი .....	41
სოფლის მეურნეობა – ამოცანები და სტრატეგიული აქტივობები .....	43
<b>7. გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსები .....</b>	<b>51</b>
7.1. სტიქიური პროცესები .....	51
7.2. მესტიის მუნიციპალიტეტში ბუნებრივი საფრთხეების მაგალითები .....	51
7.3. კლიმატური პირობები .....	53
7.4. მყინვარები .....	53
7.5. სეისმურობა .....	53
7.6. ნიადაგი .....	53
7.7. ტყის რესურსი .....	54
7.8. ბიომრავალფეროვნება .....	54
7.9. ნარჩენების მართვა .....	54
გარემოს დაცვა – SWOT ანალიზი .....	55
გარემოს დაცვა – ამოცანები და სტრატეგიული აქტივობები .....	56
<b>8. მონიტორინგი და შეფასება .....</b>	<b>62</b>
<b>9. გრანტის გაცემის სახელმძღვანელო (მოკლე ვერსია) .....</b>	<b>64</b>
<b>III დანართები .....</b>	<b>65</b>
დანართი №1. ცხრილები .....	65
დანართი №2. გრაფიკები .....	86
დანართი №3. ზემო სვანეთის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის ამოცანების შესაბამისობა სახელმწიფო სტრატეგიებთან .....	87
დანართი №4. ზემო სვანეთის LAG-ის მმართველი საბჭოს წევრები თემატური მიმართულებების მიხედვით .....	97

## ცხრილებისა და გრაფიკების სია & აბრევირება

### ცხრილები

- ცხრილი №1.** პრიორიტეტული თემატური მიმართულებების, ამოცანებისა და სტრატეგიული აქტივობების მოკლე შეჯამება
- ცხრილი №2.1.** პრობლემების პრიორიტეტიზაციის პროცესში მონაწილე 224 პირის დემოგრაფიული მონაცემები
- ცხრილი №2.2.** პრობლემების პრიორიტეტიზაციის პროცესში მონაწილე 224 პირის რაოდენობრივი და პროცენტული განაწილება თემების მიხედვით
- ცხრილი №3.** პრიორიტეტული თემატური პრობლემები – სოციალური სერვისები და ინფრასტრუქტურა / კულტურა, განათლება, ჯანდაცვა, სპორტი და ახალგაზრდობა (1-ყველაზე პრიორიტეტული პრობლემა, 15- ყველაზე ნაკლებად პრიორიტეტული პრობლემა)
- ცხრილი №4.** პრიორიტეტული თემატური პრობლემები – სოფლის მეურნეობა / გარემოს დაცვა (1-ყველაზე პრიორიტეტული პრობლემა, 10 – ყველაზე ნაკლებად პრიორიტეტული პრობლემა)
- ცხრილი №5.** პრიორიტეტული პრობლემები თემების მიხედვით – ინფრასტრუქტურა და საბაზისო სოციალური სერვისები (15 – ყველაზე პრიორიტეტული პრობლემა, 1- ყველაზე ნაკლებად პრიორიტეტული პრობლემა)
- ცხრილი №6.** პრიორიტეტული პრობლემები თემების მიხედვით – კულტურა, განათლება, ჯანდაცვა, სპორტი და ახალგაზრდობა (12 – ყველაზე პრიორიტეტული პრობლემა, 1- ყველაზე ნაკლებად პრიორიტეტული პრობლემა)
- ცხრილი №7.** პრიორიტეტული პრობლემები თემების მიხედვით – ტურიზმი (4 – ყველაზე პრიორიტეტული პრობლემა, 1- ყველაზე ნაკლებად პრიორიტეტული პრობლემა)
- ცხრილი №8.** პრიორიტეტული პრობლემები თემების მიხედვით – სოფლის მეურნეობა (10 – ყველაზე პრიორიტეტული პრობლემა, 1- ყველაზე ნაკლებად პრიორიტეტული პრობლემა)
- ცხრილი №9.** პრიორიტეტული პრობლემები თემების მიხედვით – გარემოს დაცვა (5 – ყველაზე პრიორიტეტული პრობლემა, 1- ყველაზე ნაკლებად პრიორიტეტული პრობლემა)
- ცხრილი №10.1.** SWOT-ებში მონაწილე თემის წარმომადგენლების (N=136) დემოგრაფიული მონაცემები და პროცენტული განაწილება
- ცხრილი №10.2.** SWOT-ებში მონაწილე 136 პირის რაოდენობრივი და პროცენტული განაწილება თემების მიხედვით
- ცხრილი №11.** LAG-ის გენერალური ასამბლეისა და მმართველი საბჭოს წევრების დემოგრაფიული მახასიათებლების პროცენტული განაწილება.
- ცხრილი №12.** მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წვდომა სასმელ წყალთან
- ცხრილი №13.** მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წვდომა საკანალიზაციო სისტემასთან
- ცხრილი №14.** მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წვდომა გარე განათებასთან
- ცხრილი №15.** მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წვდომა მობილური ტელეფონის მომსახურების სერვისებთან
- ცხრილი №16.** მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წვდომა ინტერნეტთან
- ცხრილი №17.** მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წვდომა კულტურასა და გართობასთან
- ცხრილი №18.** მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წვდომა საბავშვო ბაღებთან
- ცხრილი №19.** მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წვდომა სპორტთან, საჯარო სივრცეებთან და ბიბლიოთეკასთან
- ცხრილი №20.** მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წვდომა ჯანდაცვის სერვისებზე
- ცხრილი №21.** მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წვდომა აფთიაქებზე
- ცხრილი №22.** ვიზიტორების რაოდენობა სამეგრელო-ზემო სვანეთში 2015-2019 წლებში
- ცხრილი №23.** ტურისტულ საქმიანობაში ჩართულობა მესტიის მუნიციპალიტეტში
- ცხრილი №24.** საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა მესტიისა და უშგულში 2015-2019 წლებში
- ცხრილი №25.** შიდა ვიზიტორების რაოდენობა მესტიის მუნიციპალიტეტში 2015-2019 წლებში
- ცხრილი №26.** სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების გადანაწილება მესტიის მუნიციპალიტეტში თემების მიხედვით
- ცხრილი №27.** ბოლო 12 თვის განმავლობაში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში არ ჩართვის მთავარი მიზეზები თემების მიხედვით
- ცხრილი №28.** ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურები (ტონა) მესტიის მუნიციპალიტეტში 2016-2018 წწ
- ცხრილი №29.** კარტოფილის მოსავლის (ტონა) განაწილება თემების მიხედვით 2018 წელი.
- ცხრილი №30.** სხვა ერთწლიანი კულტურების მოსავლის რაოდენობა (ტონა) გარდა კარტოფილისა თემების მიხედვით 2018 წ.
- ცხრილი №31.** მრავალწლიანი კულტურები მიწის ნაკვეთის ფართობისა (ჰა) და თემების მიხედვით

### გრაფიკები

- გრაფიკი №1.** ზემო სვანეთის სტიქიური გეოლოგიური პროცესების საშიშროების ზონაში მოქცეული დასახლებული პუნქტები
- გრაფიკი №2.** მდ. ენგურის აუზის მყინვარების განაწილება მდინარეთა აუზების მიხედვით (ტიელიძე 2014)
- გრაფიკი №3.** ზემო სვანეთის LAG-ის ძირითადი თემატური და საქმიანობის მიმართულებები

### აბრევირება

APMA	სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო
ARDA	სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო
CRRC Georgia	კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი – საქართველო
DCFTA	ევროკავშირისა და საქართველოს შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ
ENPARD	სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა
UN FAO	გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია
GRETA	მთის ტურიზმისა და ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდაჭერის პროგრამა
ICT	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები
LAG	ადგილობრივი განვითარების ჯგუფი
LDS	ადგილობრივი განვითარების სტრატეგია
USAID	აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო

# ენიასიოცვაობა და შეჯამება

მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი განვითარების სტრატეგია (LDS) შეიქმნა ადგილობრივი მოსახლეობის, სამოქალაქო საზოგადოების, ბიზნესსექტორისა და თვითმმართველობის წარმომადგენლების მაღალი ჩართულობით, ფართო დისკუსიებისა და საჯარო განხილვების შედეგად. LDS-ის შექმნის მიზანია, მაღალი სიზუსტით განისაზღვროს ადგილობრივი განვითარების ჯგუფის (LAG) საქმიანობის სტრატეგიული მიმართულებები 2020 – 2024 წლებისთვის. დოკუმენტი მომზადდა „LEADER მიდგომის დანერგვა მესტიის მუნიციპალიტეტში – ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობისთვის“ პროექტის ფარგლებში.

ცხრილი №1. პრიორიტეტული თემატური მიმართულებების, ამოცანებისა და სტრატეგიული აქტივობების მოკლე შეჯამება

თემატური მიმართულება	ამოცანა	სტრატეგიული აქტივობა
<b>1. ინფრასტრუქტურა და საბაზისო სოციალური მომსახურებები</b>	<p><b>1.1.</b> მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის (ქალები, მამაკაცები, გოგონები, ბიჭები, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირები და ა.შ.) პრიორიტეტული მცირემასშტაბიანი ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა</p> <p><b>1.2.</b> განსაკუთრებული საჭიროების მქონე ჯგუფებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების (მათ შორის, ქალების, ხანდაზმულებისა და ა.შ.) საჭიროებაზე მორგებული სოციალური სერვისებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა.</p>	<p><b>1.1.1.</b> მესტიის მუნიციპალიტეტში ელექტროენერჯის მიწოდების ხარისხის გაუმჯობესების, წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემის, სანიაღვრე არხების, შიდა საგზაო ინფრასტრუქტურის, მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარების, გამჭრელ-გამწმენდ ტექნიკაზე მოსახლეობის წვდომის, გარე განათების ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ხელშეწყობა თანადაფინანსების გზით.</p> <p><b>1.1.2</b> მესტიის მუნიციპალიტეტში ელექტროენერჯის მიწოდების ხარისხის გაუმჯობესების, წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემის, სანიაღვრე არხების, შიდა საგზაო ინფრასტრუქტურის, მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარების, გამჭრელ-გამწმენდ ტექნიკაზე მოსახლეობის წვდომის, გარე განათების ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ხელშეწყობა ადვოკატირებისა და სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმების გამოყენების გზით.</p> <p><b>1.2.1.</b> განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების (მათ შორის, ქალების, ხანდაზმულების, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებისა და ა.შ.) საჭიროებაზე მორგებული ინფრასტრუქტურის შექმნის ხელშეწყობა.</p> <p><b>1.2.2.</b> მოწყვლადი ჯგუფების (მათ შორის, ქალების, ხანდაზმულების, შშმ პირებისა და ა.შ.) საჭიროებაზე მორგებული სოციალური სერვისების შექმნის ხელშეწყობა.</p>
<b>2. განათლება, კულტურა, სპორტი, ახალგაზრდობა და ჯანდაცვა</b>	<p><b>2.1.</b> კულტურის / განათლების / სპორტისა და ახალგაზრდული ცენტრების ინფრასტრუქტურისა და პროგრამების განვითარების ხელშეწყობა მესტიის მუნიციპალიტეტის თემებში.</p> <p><b>2.2.</b> ჯანდაცვის მომსახურებების განვითარების ხელშეწყობა მესტიის მუნიციპალიტეტში.</p>	<p><b>2.1.1.</b> არსებული კულტურული/საგანმანათლებლო/სპორტული და ახალგაზრდული ცენტრების ინფრასტრუქტურის განახლებისა და ახალი ახალგაზრდული ობიექტების შექმნის ხელშეწყობა.</p> <p><b>2.1.2.</b> ადგილობრივი მოსახლეობის, მათ შორის, ახალგაზრდების, ქალების, ხანდაზმულების, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების გაძლიერებისკენ მიმართული და მათი ინტეგრაციის ხელშეწყობი პროგრამებისა და ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა.</p> <p><b>2.1.3.</b> სვანური ტრადიციებისა და ენის პოპულარიზაციის ხელშეწყობა.</p> <p><b>2.2.1.</b> მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის მომსახურებების განვითარების ხელშეწყობა და განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფებისთვის ახალი მომსახურებების შექმნა.</p>
<b>3. ტურიზმი</b>	<p><b>3.1.</b> მესტიის მუნიციპალიტეტის თემებში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა.</p>	<p><b>3.1.1.</b> მესტიის მუნიციპალიტეტის თემებში კულტურულ-ისტორიული ძეგლების კონსერვაციისა და მოვლა-პატრონობისათვის მიზნობრივი პროექტების ხელშეწყობა.</p> <p><b>3.1.2.</b> მესტიის მუნიციპალიტეტის თემებში არსებული ტურისტული მარშრუტების მარკირების ხელშეწყობა.</p> <p><b>3.1.3.</b> ტურისტულად ნაკლებად განვითარებულ ადგილებში ტურისტული ობიექტების შექმნისა და გაფართოების ხელშეწყობა.</p>


	<p><b>3.2.</b> მესტიის მუნიციპალიტეტში ინოვაციური ტურისტული და სხვა არასასოფლო სამეურნეო ბიზნესის/პროდუქტების/სერვისების შექმნის ხელშეწყობა.</p> <p><b>3.3.</b> მესტიის მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული მომსახურებების ტექნიკური შესაძლებლობების გაუმჯობესების ხელშეწყობა და სფეროსთვის სამუშაო ძალის განვითარება.</p>	<p><b>3.2.1.</b> ექსტრემალური, გასტრონომიული, აგრო, ეკო, ინკლუზიური ტურიზმისა და ასევე სხვა არასასოფლო სამეურნეო ბიზნესის/მომსახურებების გაფართოებისა და შექმნის ხელშეწყობა.</p> <p><b>3.3.1.</b> მესტიის მუნიციპალიტეტის 17-ვე ტერიტორიული ერთეულის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაცია.</p> <p><b>3.3.2.</b> მესტიის მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული მომსახურებების ტექნიკური შესაძლებლობების გაუმჯობესების ხელშეწყობა და სფეროსთვის სამუშაო ძალის განვითარება.</p>
<p><b>4. სოფლის მეურნეობა</b></p>	<p><b>4.1.</b> სასოფლო სამეურნეო წარმოებისათვის საჭირო მექანიზმებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.</p> <p><b>4.2.</b> მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტულობის ზრდის ხელშეწყობა.</p> <p><b>4.3.</b> სოფლის მეურნეობის მხარდაჭერი პროგრამების შესახებ ცნობიერების ამაღლება და ფერმერების, განსაკუთრებით ქალებისა და ახლგაზრდებისათვის, ინფორმაციაზე წვდომის გაუმჯობესება.</p> <p><b>4.4.</b> სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის გადამამუშავებელი/შემნახველი ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა.</p> <p><b>4.5.</b> სოფლის მეურნეობისათვის საჭირო ცოდნისა და უნარ-ჩვევების გაუმჯობესების ხელშეწყობა ადგილობრივი ფერმერებისათვის.</p>	<p><b>4.1.1.</b> სოფლის მეურნეობისთვის აუცილებელი მანქანა-დანადგარების უზრუნველყოფის მხარდაჭერა.</p> <p><b>4.2.1.</b> ორგანული თესვებითა და სასუქებით უზრუნველყოფის მხარდაჭერა.</p> <p><b>4.2.2.</b> ხელოვნური განაყოფიერებისა და ცხოველთა დაავადებების პრევენციის მხარდაჭერა.</p> <p><b>4.3.1.</b> სოფლის მეურნეობის მხარდაჭერი პროგრამების შესახებ საინფორმაციო სესიებისა და სამუშაო შეხვედრების ორგანიზება.</p> <p><b>4.4.1.</b> გადამამუშავებელი საწარმოების განვითარების ხელშეწყობა</p> <p><b>4.4.2.</b> სამაცივრე და სასაწყობე ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა.</p> <p><b>4.5.1.</b> პროფესიული შესაძლებლობების გაძლიერება და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა სასწავლო ღონისძიებების მეშვეობით.</p>
<p><b>5. გარემოს დაცვა</b></p>	<p><b>5.1.</b> კატასტროფების რისკის შემცირების მართვის გეგმების შემუშავება (რუკების, ადრეული გაფრთხილების სისტემების შემუშავება) და გენგეგმების მომზადება.</p> <p><b>5.2.</b> ნარჩენების მართვის ერთიანი სისტემის შექმნის ხელშეწყობა (მათ შორის, ხის წარმოების შედეგად მიღებული ნარჩენების მართვა).</p> <p><b>5.3.</b> გარემოსდაცვით საკითხებზე მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება.</p>	<p><b>5.1.1.</b> კატასტროფის რისკის შემცირების გეგმის (DRR) შემუშავების ხელშეწყობა.</p> <p><b>5.1.2.</b> ადრეული გაფრთხილების სისტემების განვითარება და, მათ შორის, მონიტორინგის ქსელის გაფართოების ხელშეწყობა.</p> <p><b>5.1.3.</b> განაშენიანების გეგმების შემუშავების ხელშეწყობა.</p> <p><b>5.2.1.</b> ნარჩენებით დაბინძურებული ტერიტორიის დასუფთავება, აღდგენა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა.</p> <p><b>5.3.1.</b> გარემოსდაცვით საკითხებზე სასწავლო და შემეცნებითი ღონისძიებების ორგანიზება</p> <p><b>5.3.2.</b> გარემოს დაცვითი და უსაფრთხოების კურსების ორგანიზება.</p>

# 1. LEADER<sup>1</sup> მიდგომა და ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG)

სოფლის განვითარების ხელშესაწყობად ევროკავშირი 1991 წლიდან დღემდე აქტიურად იყენებს LEADER მიდგომას, რომელიც ადგილობრივ პოტენციალზე დაფუძნებული განვითარების შესაძლებლობების შექმნას გულისხმობს სამოქალაქო, საჯარო და კერძო სექტორის აქტიური თანამშრომლობის გზით.

LEADER თემზე დაფუძნებული ადგილობრივი განვითარების მოდელია, სოფლის მცხოვრებლების ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად, რომელიც უკვე მრავალი წელია წარმატებით ხორციელდება ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში. LEADER-ის ქვაკუთხედს წარმოადგენს თემების დაინტერესებისა და ჩართულობის გაზრდა, მათთვის უფლებამოსილების მინიჭება და ტექნიკური დახმარების გაწევა, რათა თავად შეძლონ ადგილობრივ განვითარებაზე პასუხისმგებლობის აღება და პროცესების წარმართვა. LEADER სხვადასხვა დონეებზე ახდენს ჩართულობითი პროცესების სტიმულირებას და ადგილობრივი განვითარების სტრატეგიაზე დაყრდნობით უზრუნველყოფს საჭიროებებზე მორგებული პროექტების დაგეგმვა – განხორციელებას.

LEADER მიდგომისთვის ამოსავალია თანასწორობის პრინციპი, ეფუძნება რა დაშვებას, რომ თუკი თემში მცხოვრები განსხვავებული ჯგუფები არ იქნებიან ჩართული პროცესში მოდელის იმპლემენტაციის ყველა დონეზე, თემის განვითარებისკენ მიმართული საქმიანობა არ იქნება ყოვლისმომცველი, განმავითარებელი, სარგებლის მომტანი თემის თითოეული წევრისთვის, მიუხედავად მისი გენდერული, რელიგიური, ეთნიკური და ა.შ. მიკუთვნებულობისა.



## 1.2. საზოგადოების ჩართულობა

### 1.2.1. საბაზისო კვლევა

პროექტის მიზნების მისაღწევად განხორციელებული პირველი აქტივობა იყო საბაზისო კვლევა, რომელიც CARE-ის დაკვეთით CRRC Georgia-მ ჩატარა 2019 წლის მარტი-მაისის პერიოდში. კვლევის მიზანი იყო მესტიის მუნიციპალიტეტის მდგომარეობის შეფასება სამი კომპონენტის მიხედვით – მოსახლეობის ჩართულობა მმართველობის პროცესში, არსებული მომსახურებები და ეკონომიკური შესაძლებლობები. კვლევაში გამოყენებული იყო შერეული მეთოდები: ფოკუს ჯგუფები, ინტერვიუები და გამოკითხვები. კვლევის მეთოდოლოგია იყო გენდერულად მგრძობიარე, კითხვარი მოიცავდა რა სპეციფიკურ კითხვებს, რომელიც მოწყვლადი ჯგუფების, განსაკუთრებით ქალებისა და ახალგაზრდების საჭიროებებს, მათ მდგომარეობასა

<sup>1</sup> LEADER ფრანგული აკრონიმია და ნიშნავს კავშირს სოფლის ეკონომიკის განვითარების მიზნით დაგეგმილ ქმედებებს შორის.



და ამ ჯგუფების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებას ცხადად წარმოაჩენდა. ამას გარდა, კვლევის შერჩევამ მოიცვა მესტიის მუნიციპალიტეტში არსებული ყველა განსხვავებული ჯგუფი (ქალები, მამაკაცები, ახალგაზრდები, შშმ პირები, იძულებით ადგილმონაცვლე პირები და ა.შ.) და გეოგრაფიულად რთულად მისადგომი თემები. კვლევის შედეგები წარმოდგენილია მიმდინარე სტრატეგიაში, შესაბამის თემატურ თავებში.

### 1.2.2. ადგილობრივ დონეზე არსებული პრობლემების იდენტიფიცირება

ENPARD III პროექტის გუნდის მიერ პროექტის შესახებ მესტიის მუნიციპალიტეტის თემების ინფორმირების პროცესი 2019 წლის მარტიდან დაიწყო, სადაც აქტიურად მონაწილეობდნენ ახალგაზრდები, ქალები, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირები, იძულებით ადგილმონაცვალი პირები და სოციალურად დაუცველი ოჯახები. 2019 წლის მარტი-აპრილის პერიოდში სათემო პრობლემების იდენტიფიცირებისათვის პროექტის გუნდმა მესტიის მუნიციპალიტეტის 16 ადმინისტრაციულ ერთეულში 28 შეხვედრა ჩაატარა, რომელსაც 802 ადამიანი (289 (36%) ქალი, 513 (64%) კაცი, 295 (36%) 18-45 წლამდე პირი, 63 (8%) იძულებით გადაადგილებული პირი, 66 (8%) განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირი ან განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირის ოჯახის წევრი და 181 (23%) მიზნობრივი სოციალური დახმარების მიმღები პირი) დაესწრო. შეხვედრების მთავარი მიზანი იყო პროექტის მიზნებისა და ამოცანების მოსახლეობისთვის გაცნობა, ადგილობრივი თემების პრობლემებისა და საჭიროებების იდენტიფიცირება და LAG-ის პოტენციური წევრების შესახებ ძირითადი ინფორმაციის შეგროვება სპეციალურად მათთვის განკუთვნილი კითხვარების შევსების გზით. იმისათვის, რომ სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლებს შესაძლებლობა ჰქონოდათ მოსაზრებების ღიად დაფიქსირების, ინტერვიუების ჯგუფი დაკომპლექტებული იყო, როგორც ქალებით, ისე მამაკაცებით. ამას გარდა, შეხვედრები ინფორმაციის შესაგროვებლად იგეგმებოდა დროის ისეთ მონაკვეთში, რომელიც ხელსაყრელი იყო თითოეული ჯგუფისთვის (ქალების, მამაკაცებისა და ა.შ.) მათი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასა და ყოველდღიურ საქმიანობაში ჩართულობის აუცილებლობის გათვალისწინებით.

მოსახლეობის პრობლემების შესახებ მიღებული ინფორმაცია გაანალიზდა პროექტის გუნდის მიერ (2 ქალი, 2 კაცი) და მოხდა მათი კატეგორიზაცია შემდეგი თემატური მიმართულებების მიხედვით:

- ინფრასტრუქტურა და საბაზისო სოციალური მომსახურებები;
- განათლება, ჯანდაცვა, ახალგაზრდობა, კულტურა, სპორტი;
- სოფლის მეურნეობა;
- ტურიზმი;
- გარემოს დაცვა.

### 1.2.3. იდენტიფიცირებული პრობლემების პრიორიტეტიზაცია მოსახლეობის მიერ

კატეგორიზებული პრობლემების პრიორიტეტიზაციის მიზნით გამართული კონსულტირების მეორე რაუნდი მოსახლეობასთან 2019 წლის მაისის თვიდან დაიწყო. 224 ადამიანი მესტიის მუნიციპალიტეტის 16 (დაბა მესტიის გარდა) თემიდან მონაწილეობდა პრიორიტეტული პრობლემების იდენტიფიცირების პროცესში.<sup>2</sup> აღსანიშნავია, რომ კვლევაში მონაწილე პირების უმრავლესობამ (98%) გამოთქვა სურვილი და მზადყოფნა, მონაწილეობა მიეღოთ პროექტის ფარგლებში დაგეგმილ სამუშაო შეხვედრებში (იხილეთ ცხრილი №2.1).

გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა ზემო სვანეთის 16 თემის წარმომადგენლების მიერ პრიორიტეტების მიხედვით დალაგებული 47 პრობლემა, რომლებიც გაერთიანებულია 5 თემატურ მიმართულებაში (იხილეთ ცხრილები №3, 4, 5, 6, 7, 8, 9). პრიორიტეტიზაციის შედეგად, პროექტის გუნდმა მიიღო სრული სურათი, თუ რა კონკრეტული საჭიროებებია ყველაზე აქტუალური როგორც მთლიანად მესტიის მუნიციპალიტეტისთვის, ასევე 16 ტერიტორიული ერთეულისათვის.

მაისშივე LAG-ის პოტენციური წევრების მიერ 5 სამუშაო ჯგუფი დაკომპლექტდა თემატური მიმართულებების მიხედვით. ჯგუფის წევრები გაეცნენ პრობლემების ანალიზის ინსტრუმენტს – „პრობლემების ხეს“, რათა გამოეკვლინათ პრობლემათა სიმპტომები და მათი გამოწვევი მიზეზები.

პრობლემების იდენტიფიცირებისა და პრიორიტეტიზაციის შემდგომ დღის წესრიგში დადგა ზემო სვანეთის ადგილობრივი განვითარების ჯგუფის მიერ აღნიშნული პრობლემების დასაძლევად სისტემური და ეტაპობრივი სამუშაო გეგმის შემუშავების საკითხი. თავდაპირველად, მნიშვნელოვანი იყო არსებული პრობლემების შესახებ მსჯელობის დაწყება ზემო სვანეთის სხვადასხვა თემის მოსახლეობას შორის, ასევე რიგი პრობლემების უფრო საფუძვლიანი და სიღრმისეული შესწავლა-ანალიზი და მოგვიანებით იმ გზების იდენტიფიცირება, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობას ამა თუ იმ პრობლემის მოგვარებაში დაეხმარებოდა. სწორედ ამიტომ ზემო სვანეთის ადგილობრივი განვითარების ჯგუფის

<sup>2</sup> დაბა მესტიაში დაინტერესებულ მხარეებთან იმართებოდა პერიოდული არაფორმალური საინფორმაციო შეხვედრები, რომელთა დროსაც მესტიის მუნიციპალიტეტის 16 ტერიტორიულ ერთეულში გამოკვეთილი პრობლემები მესტიელებს ეცნობებოდათ და მათგან ვიღებდით უკუკავშირს აღნიშნული პრობლემების დაბა მესტიისათვის პრიორიტეტულობის შესახებ.



წევრებს სჭირდებოდათ საზოგადოებასთან ურთიერთობის, თემში არსებული საჭიროებების კვლევისა და ადვოკატირების კარგად განვითარებული უნარები. საინფორმაციო შეხვედრების დროს თემის წარმომადგენლების მიერ შევსებულმა კითხვარებმა პროექტის გუნდს მისცა შესაძლებლობა, შეერჩია<sup>3</sup> შესაბამისი უნარების, გამოცდილებისა და ინტერესის მქონე პირები და მათთვის შეეთავაზებინა კომუნიკაციის, კვლევისა და ადვოკატირების სამუშაო ჯგუფებში ჩართვა.

## საზოგადოებასთან ურთიერთობა/კომუნიკაცია

საზოგადოებასთან ურთიერთობას LAG-ის საქმიანობაში მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია, რადგან სწორად წარმართული კომუნიკაცია LAG-ის პრეზენტაბელურობასა და მისდამი ნდობისა და ინტერესის ჩამოყალიბებას უზრუნველყოფს. 22-26 ივლისს LAG-ის 22-მა წევრმა (8 ქალი და 14 კაცი, 19 ახალგაზრდა (18-30)) გაიარა კომუნიკაციის სასწავლო კურსი, რომელიც მოიცავდა შემდეგ საკითხებს: ინფორმაციის გავრცელების მეთოდები, ღონისძიებების ორგანიზება, სოციალური მედია. კურსის შედეგად, მონაწილეებმა, ასევე, შეისწავლეს LAG-ის აქტივობების ეფექტურად გაშუქების ტექნიკები, რაც თემის წევრების დაინტერესებისა და ჩართულობის მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს. ზემო სვანეთის ადგილობრივი განვითარების ჯგუფს გააჩნია წარმატებული Facebook და Instagram გვერდები, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ვებგვერდი. LAG-ის საკომუნიკაციო მასალები უზრუნველყოფს თანასწორობის წახალისებას, წარმოაჩენს რა განსხვავებული ჯგუფების (ქალები, მამაკაცები, ახალგაზრდები და ა.შ.) როლურ მოდელებსა და თანასწორობისა და მრავალფეროვნების წამახალისებელ მესიჯებს. ამას გარდა, ანალიზდება, როგორი გამოხმაურება მოჰყვება მათ მიერ გავრცელებულ ისტორიებსა და ინფორმაციებს სხვადასხვა ჯგუფების მხრიდან და თუ რა ასპექტებს უფრო ეხმაურებიან ქალები და მამაკაცები და პირიქით.

## თემის საჭიროებების კვლევა

23-27 სექტემბერს ზემო სვანეთის ადგილობრივი განვითარების ჯგუფის პოტენციურმა წევრებმა (12 ქალი, 7 კაცი, 5 ახალგაზრდა (18-30)) თემის საჭიროებებისა და პრობლემების კვლევის მეთოდების შესახებ 5 დღიანი სასწავლო კურსი გაიარეს, სადაც შეისწავლეს პრობლემების ანალიზისა და პრიორიტეტიზაციის ტექნიკები, თემის პრობლემების კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები, კვლევისთვის რესპონდენტების შერჩევის სტრატეგიები, კითხვარების შედგენა, მონაცემთა შეგროვება და ანალიზი, პირისპირ ინტერვიუს ჩატარების ტექნიკები და სამაგიდო კვლევა – მეორადი წყაროების მოძიება და ანალიზი. სასწავლო კურსის შემდგომ, სექტემბერ-ოქტომბრის თვეში, მონაწილეებმა PMC კვლევით ცენტრთან პარტნიორობით 12 ადმინისტრაციულ ერთეულში თავად იკვლიეს მოსახლეობის ჩართულობა ადგილობრივ თვითმმართველობაში, არსებული ცოდნა ჩართულობის მექანიზმების შესახებ და ჩართულობის ხელისშემშლელი მიზეზები. მსგავსად პროექტის ფარგლებში ჩატარებული სხვა კვლევებისა, კვლევის მეთოდოლოგია აქაც გენდერულად მგრძობიარე იყო. კვლევის შერჩევამ მოიცვა მესტიის მუნიციპალიტეტში არსებული ყველა განსხვავებული ჯგუფი (ქალები, მამაკაცები, ახალგაზრდები, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირები, იძულებით ადგილმაცვალნი პირები და ა.შ.) და გეოგრაფიულად რთულად მისადგომი თემები.

## ადვოკატირება

12-16 აგვისტოს LAG-ის პოტენციურმა წევრებმა<sup>4</sup> (10 ქალი, 9 კაცი, 6 ახალგაზრდა (18-30 წელი) გაიარეს ადვოკატირების სასწავლო კურსი, სადაც შეისწავლეს კონკრეტული სტრატეგიები, ტექნიკები და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით გათვალისწინებული ადვოკატირების მექანიზმები (დასახლების საერთო კრება, პეტიცია, მრჩეველთა საბჭო, საკრებულოს სხდომებზე მონაწილეობა). ადვოკატირება პროექტის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს, რადგან ამ გზით მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემების გადაწყვეტაში მოსახლეობა აქტიურად ჩაერთვება.

16-18 ოქტომბერს LAG-ის პოტენციური წევრები (10 ქალი, 5 კაცი, 3 ახალგაზრდა (18-30)) და სხვა დაინტერესებული პირები დაესწრნენ ტრენინგს „ხელისუფლების კომპეტენციები და ადგილობრივი ბიუჯეტის ანალიზი“, რომელზეც მონაწილეებს შესაძლებლობა მიეცათ გასცნობოდნენ როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციებს და შეესწავლათ ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი. შეიქმნა სახელმძღვანელო დოკუმენტი, სადაც სიღრმისეულადაა გაანალიზებული ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციები მოსახლეობის მიერ გამოკვეთილი პრობლემების მოგვარების საქმეში. დოკუმენტი ასევე მიმოიხილავს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით გათვალისწინებულ იმ სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმებს, რომლის გამოყენებაც ზემო სვანეთის მოსახლეობას იდენტიფიცირებული პრობლემების მოგვარებაში დაეხმარება.

<sup>3</sup> კომუნიკაციის ჯგუფში შეირჩნენ ისეთი პირები, ვინც აქტიურად იყენებდნენ ინტერნეტსა და სოციალურ ქსელებს. კვლევის ჯგუფში გაერთიანდნენ თემის კომპიუტერული პროგრამების, კერძოდ კი ექსელის მცოდნე წარმომადგენლები, ხოლო ადვოკატირების ჯგუფში მოხვდნენ ადგილობრივი პრობლემების გადაჭრით დაინტერესებული, ფართოკონტაქტების ქსელის მქონე და/ან ადვოკატირების გამოცდილების მქონე ადამიანები.

<sup>4</sup> LAG-ის პოტენციური წევრებიდან, ვინც გაიარეს სხვადასხვა სასწავლო კურსი, 99% გახდა LAG-ის ოფიციალური წევრი.

#### 1.2.4. ზემო სვანეთის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის შექმნის პროცესი

ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის (LDS) შემუშავება LEADER მიდგომის ქვაკუთხედს წარმოადგენს. LDS არის პრაქტიკული სახელმძღვანელო LAG-ისთვის, სადაც წარმოდგენილია ადგილობრივი განვითარების ხედვა, დეტალურად გაწერილი ამოცანები და აქტივობები. LEADER მიდგომის მიხედვით, პროექტის განხორციელების ყველა ეტაპზე ადგილობრივი მოსახლეობა აქტიურად უნდა იყოს ჩართული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და, შესაბამისად, LDS-ის შემუშავებაში საზოგადოების ყველა ჯგუფის ჩართულობას ფუნდამენტური როლი აკისრია. სწორედ ამ მიზნით, პროექტის გუნდმა შეიმუშავა მონაწილეობის კრიტერიუმები თემის წარმომადგენლებისთვის და დააწესა მინიმალური კვოტები ყველა სოციალური ჯგუფისთვის, მათ შორის, ყველაზე დაუცველი და გამოწვევების წინაშე მდგომი ჯგუფებისთვის, როგორც არიან განსაკუთრებული სჭიროების მქონე პირები და მათი ოჯახის წევრები, სოციალური დახმარების მიმღები ოჯახები, იძულებით გადაადგილებული პირები, ქალები, ახალგაზრდები და ხანდაზმულები.

21-25 ოქტომბრის პერიოდში 5 თემატურ ჯგუფთან (ინფრასტრუქტურა და სოციალური მომსახურებები/ განათლება, ჯანდაცვა, ახალგაზრდობა, კულტურა, სპორტი/სოფლის მეურნეობა/ტურიზმი/გარემოს დაცვა) გაიმართა შესაბამისი სფეროს ექსპერტების შეხვედრა<sup>5</sup>, რომლებმაც მონაწილეებს გააცნეს მნიშვნელოვანი მიმდინარე პროცესები, შესაბამისი კანონმდებლობა და არსებული სტატისტიკა. შეხვედრების მიზანი იყო მონაწილეობითი SWOT ანალიზის გაკეთება და თემის წარმომადგენლების მიერ LAG-ის სტრატეგიული ამოცანებისა და აქტივობების განსაზღვრა თითოეულ თემატურ მიმართულებაზე. სამუშაო პროცესის დროს თემის წევრები მუშაობდნენ ჯგუფებში<sup>6</sup> მუნიციპალიტეტის ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების გასაანალიზებლად და ამოცანებისა და აქტივობების შესამუშავებლად. ექსპერტებთან ერთად, პროცესს ფასილიტაციას უწევდა პროექტის განმახორციელებელი გუნდი, რათა უზრუნველყოფილიყო ყველა მონაწილის მათსი მათი ჩართულობა. აღსანიშნავია, რომ SWOT-ების შექმნის პროცესში სვანეთის 17-ვე ტერიტორიული ერთეულიდან კერძო, საჯარო და სამოქალაქო სექტორებისა და ყველა სოციალური ჯგუფის 136-მა წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა (იხილეთ ცხრილი №10.1).

შეხვედრებზე თემის წევრების მიერ სტრატეგიული ამოცანები და აქტივობები განისაზღვრა ქვემოთ ჩამოთვლილი ოფიციალური დოკუმენტების გაანალიზების საფუძველზე, რათა უზრუნველყოფილიყო LAG-ის მიერ შემუშავებული ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის თავსებადობა ეროვნულ და რეგიონულ სტრატეგიებთან (იხილეთ დანართი №3).

- საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია (2017-2020);
- საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია (2015-2020);
- საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა (2018-2021);
- საქართველოს მაკროეკონომიკის დასახლებების განვითარების სტრატეგია (2019-2023) და სამოქმედო გეგმა (2019-2020);
- სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია (2014-2021);
- ტურიზმის განვითარების სტრატეგია 2025;
- საქართველოს კატასტროფის რისკების შემცირების ეროვნული სტრატეგიის 2017-2020 წლების სამოქმედო გეგმა;
- საქართველოს კანონი მაკროეკონომიკის რეგიონების განვითარების შესახებ (2015);

მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის დოკუმენტის საბოლოო ვერსია შეიმუშავდა თემატური ექსპერტების, პროექტის განმახორციელებელი გუნდისა და LAG-ის მმართველი საბჭოს წევრების მჭიდრო კომუნიკაციითა და თანამშრომლობით. მოხდა დოკუმენტში გენდერისა და სოციალური ასპექტების მენსტრემინგი. სტრატეგიის სამუშაო ვერსია გაეგზავნათ მმართველი საბჭოს წევრებს შენიშვნებისა და კომენტარებისთვის. დოკუმენტის შემუშავების პროცესში გაიმართა ორი სამუშაო შეხვედრა, რომლის დროსაც LAG-ის მმართველმა საბჭომ დეტალურად განიხილა დოკუმენტის თითოეული თავი, იმსჯელა გამოკვეთილი ამოცანების მართებულობასა და მათ შესაბამისობაზე ხალხის ინტერესებთან მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით.

<sup>5</sup> მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის დოკუმენტზე მოსახლეობასთან აქტიური თანამშრომლობით მუშაობდნენ შემდეგი ექსპერტები: თენგიზ სულთანშვილი, შოთა ზურაბიშვილი, გიორგი ქემერტელიძე, ელენე ფანჩულიძე, დიანა ეგიაზაროვა და მარიამ ქობალია.

<sup>6</sup> გენდერული ასპექტის გათვალისწინებით ყოველ შეხვედრაზე ერთი სამუშაო ჯგუფი დაკომპლექტებული იყო მხოლოდ მდედრობითი სქესის წარმომადგენლებით, რათა მათი ხედვა და პერსპექტივები უკეთ გამოკვეთილიყო ზემო სვანეთის ადგილობრივი განვითარების ჯგუფის სტრატეგიაში.

### 1.3. ზემო სვანეთის ეკონომიკური განვითარების სამოქმედო გეგმა 2020-2021

ზემო სვანეთის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის შექმნის პროცესში საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორებს შორის თანამშრომლობის გააქტიურებამ საფუძველი ჩაუყარა მესტიის მუნიციპალიტეტსა და ადგილობრივი განვითარების ჯგუფს შორის კიდევ უფრო მჭიდრო თანამშრომლობას. 2019 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ზემო სვანეთის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი აქტიურად თანამშრომლობდა მესტიის მუნიციპალიტეტის მერიასთან ზემო სვანეთის ეკონომიკური განვითარების სამოქმედო გეგმის (2020-2021) შექმნის პროცესში.

შექმნა ოთხი წევრისაგან დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფი (ორი წარმომადგენელი მესტიის მუნიციპალიტეტიდან, ერთი კერძო და ერთი სამოქალაქო სექტორიდან, ერთი ქალი, და ერთი კაცი). კერძო და სამოქალაქო სექტორების წარმომადგენლები ზემო სვანეთის LAG-ის წევრები არიან. ასევე, შეიქმნა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სამოქმედო გეგმის პარტნიორობაც, რომელშიც LAG-ის წარმომადგენლები გაწევრიანდნენ, რომლებიც მჭიდრო კავშირში არიან მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებასთან მუნიციპალიტეტში. პროცესში LAG-ის პოტენციური წევრების მიერ გაკეთებული SWOT ანალიზის შედეგები გაუზიარეთ მესტიის მუნიციპალიტეტს, ასევე, LAG-ის მიერ განხორციელებული სხვადასხვა კვლევის შედეგები აისახა ეკონომიკური განვითარების გეგმის დოკუმენტში. აღსანიშნავია, რომ ზემო სვანეთის ეკონომიკური განვითარების სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში LAG-ს ექსპერტიზით მხარდაჭერას უწევდა ეკონომიკის ექსპერტი, რომელიც რეგიონულ და ეროვნულ დონეზე არსებული ეკონომიკური სტატისტიკის ანალიზით LAG-ს არგუმენტების გამყარებაში ეხმარებოდა.

„ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების სამოქმედო გეგმა 2020 – 2021“-ში გაწერილია შემდეგი მიზნები: 1) ბიზნესის მხარდაჭერი მომსახურებებისა და პროექტების განვითარება; 2) ადგილობრივი, ტრადიციული სექტორების კონკურენტუნარიანობის გაზრდა; 3) ადგილობრივი და საერთაშორისო ინვესტიციების მოზიდვა; 4) გრძელვადიანი სამუშაო ადგილების შექმნის სტიმულირება; 5) მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის რეალიზება.

ამ მიზნების მისაღწევად, დაგეგმილია:

ა) ბიზნეს ცენტრის ჩამოყალიბება (ერთი ფანჯრის პრინციპი); ბ) მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარების ხელშეწყობა; გ) მეწარმეობის უნარების გაუმჯობესება; დ) ფინანსური განათლების მიღების ხელშეწყობა (სოციალურად დაუცველები, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირები, მრავალშვილიანი ოჯახები); ე) ხე-ტყის უნარჩენო წარმოების ხელშეწყობა; ვ) ბიზნესფორუმების ორგანიზების ხელშეწყობა; ზ) სვანეთის 17-ვე ტერიტორიულ ერთეულში ტურისტულად მიმზიდველი ლოკაციების რეკლამირება; თ) სხვადასხვა ინფრასტრუქტურის, მათ შორის, წყლისა და საკანალიზაციო სისტემის მოწყობა.<sup>7</sup>

### 1.4. ზემო სვანეთის ადგილობრივი განვითარების ჯგუფის აღწერა

ზემო სვანეთის LAG-ის წევრობის კრიტერიუმებისა და შერჩევის პროცესის გასაცნობად, პროექტის გუნდის მიერ 17-ვე თემში ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები, რომლებზეც ჯამში 352-მა ადამიანმა (152 ქალი, 200 კაცი, 111 ახალგაზრდა (18-30 წელი)) გამოთქვა წევრობის სურვილი<sup>8</sup>. წევრობით დაინტერესებულმა პირებმა თავდაპირველად შეავსეს კითხვარები და ამის შემდგომ მოხდა მათი გადამზადება სამი თემატური მიმართულებით – თემის მობილიზაცია/საზოგადოებასთან ურთიერთობა, ადვოკატირება და თემის საჭიროებების კვლევის მეთოდები. LAG-ის პოტენციური წევრები და სხვა დაინტერესებული პირები ასევე დაესწრნენ სამუშაო შეხვედრებს ექსპერტებთან თითოეულ სტრატეგიულ მიმართულებაზე (ტურიზმი/სოფლის მეურნეობა/განათლება, კულტურა, ჯანდაცვა, ახალგაზრდობა, სპორტი/გარემოს დაცვა/ინფრასტრუქტურა და სოციალური მომსახურებები).

ადგილობრივი განვითარების ჯგუფის სტატუსი, პრინციპები, მიზნები, ამოცანები, საქმიანობის ფორმები და მიმართულებები, წევრების უფლებები და მოვალეობები აღწერილია ზემო სვანეთის განვითარების ჯგუფის წესდებაში.

2019 წლის 30 ნოემბერსა და 1 დეკემბერს დაბა მესტიაში, ადგილობრივი განვითარების ჯგუფის გენერალური ასამბლეის პირველი შეხვედრა გაიმართა. გენერალური ასამბლეა მესტიის მუნიციპალიტეტის 17-ვე ტერიტორიული ერთეულის 115 წარმომადგენელს აერთიანებს. გენერალური ასამბლეის წევრები გახდნენ მხოლოდ ის პირები, 1) ვისაც შევსებული ჰქონდა კითხვარი 2) ვინც გაიარა სასწავლო კურსი და/ან მონაწილეობა მიიღო ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის შექმნის პროცესში.

30 ნოემბერს ზემო სვანეთის LAG-მა ფარული კენჭისყრით მმართველო საბჭოს წევრები აირჩია. წარმოდგენილი 46 კანდიდატურიდან შეირჩა 19 წევრი (იხილეთ ცხრილი №11).

<sup>7</sup> მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების გეგმა 2020 – 2021

<sup>8</sup> 2019 წლის ნოემბრის მონაცემით ზემო სვანეთის ადგილობრივი განვითარების ჯგუფის წევრობის მსურველთა რაოდენობა დინამიურად იზრდება.





გარდა გენერალური ასამბლეის მიერ მმართველი საბჭოს წევრების არჩევნებისა, 30 ნომბერი – 1 დეკემბრის შეხვედრებზე განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- ზემო სვანეთის LAG-ის წესდების დოკუმენტის განხილვა;
- LAG-ის მიერ ჩატარებული კვლევის – „მოსახლეობის ჩართულობის კვლევა ადგილობრივ მმართველობაში“ შედეგების პრეზენტაცია;
- ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის პირველი ვერსიის განხილვა;
- საგრანტო სახელმძღვანელოს წარდგენა და განხილვა;
- მესტიის მუნიციპალიტეტის მიერ ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სამოქმედო გეგმის (2020-2021) პირველი ვერსიის პრეზენტაცია;

### 1.5. ზემო სვანეთის LAG-ის დამატებითი აქტივობები

გარდა სტრატეგიული მიმართულებებით განხორციელებული საქმიანობისა, 2020 – 2024 წლებში LAG იმუშავებს შემდეგ მიმართულებებზე: 1) ადგილობრივი სოციალური და ეკონომიკური ინიციატივების მხარდაჭერა; 2) კვლევა; 3) ადვოკატირება; 4) კომუნიკაცია; 5) მონიტორინგი და შეფასება 6) ფონდების მოძიება. თითოეულ თემატურ განყოფილებაში დასაქმდება მინიმუმ ერთი ისეთი წარმომადგენელი, რომელსაც გავლილი ექნება სასწავლო კურსი ზემოთ ჩამოთვლილ ტექნიკურ მიმართულებებში (იხილეთ გრაფიკი №3).

გრაფიკი №3. ზემო სვანეთის LAG-ის ძირითადი თემატური და საქმიანობის მიმართულებები

 <p><b>ტურიზმი, ინფრასტრუქტურა და საბასიზო სოციალური სერვისები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• კვლევა</li> <li>• საზოგადოებასთან ურთიერთობა</li> <li>• ადვოკატირება</li> <li>• საგრანტო პროექტების დაფინანსება</li> <li>• დაფინანსებული პროექტების მონიტორინგი და შეფასება</li> </ul>	 <p><b>განათლება, კულტურა, სპორტი, ახალგაზრდობა და ჯანდაცვა</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• კვლევა</li> <li>• საზოგადოებასთან ურთიერთობა</li> <li>• ადვოკატირება</li> <li>• საგრანტო პროექტების დაფინანსება</li> <li>• დაფინანსებული პროექტების მონიტორინგი და შეფასება</li> </ul>	 <p><b>სოფლის მეურნეობა და გარემოს დაცვა</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• კვლევა</li> <li>• საზოგადოებასთან ურთიერთობა</li> <li>• ადვოკატირება</li> <li>• საგრანტო პროექტების დაფინანსება</li> <li>• დაფინანსებული პროექტების მონიტორინგი და შეფასება</li> </ul>
---	--	---

## 2. მესტიის მუნიციპალიტეტის ზოგადი მიმოხილვა<sup>9</sup>

### 2.1. ზოგადი ინფორმაცია

მესტიის მუნიციპალიტეტი საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში, ზღვის დონიდან 1500 მ-ზე მდებარეობს. მუნიციპალიტეტი საქართველოში ყველაზე მაღალმთიან და მცირემიწიან კუთხეს წარმოადგენს.

მესტიის მუნიციპალიტეტს აღმოსავლეთიდან ლენტეხი, სამხრეთით წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, დასავლეთით აფხაზეთი, ჩრდილოეთით კი ყარაჩაი და ბალყარეთი (რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკა) ესაზღვრება.

მესტიის მუნიციპალიტეტის მთავარ მდინარეს ენგური წარმოადგენს, მისი შენაკადებია: ადიშის ჭალა, მულხურა, მესტია ჭალა, დოლარა, ნენსკრა, ხაიშურა და სხვა. მდინარე ენგური სათავეს იღებს მცინვარ ენგურზე, ზღვის დონიდან 2 614 მ-ზე. მისი სიგრძე 213 კმ-ია, აუზის ფართობი 4060 მ<sup>2</sup>. მდინარეები: ენგური, მესტია ჭალა, ნენსკრა და სხვა საქართველოსთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ჰიდროლოგიურ რესურსს წარმოადგენს. მესტიის ადმინისტრაციულ ერთეულში 200-მდე მცინვარია, რომელთა საერთო ფართობი 285 მ<sup>2</sup>-ს შეადგენს.

მანძილი მესტიიდან თბილისამდე 477 კმ-ია, ქალაქ ზუგდიდამდე კი, სადაც უახლოესი სარკინიგზო სადგური მდებარეობს – 138 კმ. უახლოესი საჰაერო ქალაქი ფოთი მესტიიდან 225 კმ-ზეა. მანძილი სამთო-სათხილამურო კურორტ თეთნულდამდე მესტიის ცენტრიდან 15, ხოლო ჰაწვალამდე – 8 კმ-ია. მესტიის აეროპორტი ცენტრიდან 2 კმ-ში მდებარეობს.

მუნიციპალიტეტში 17 ადმინისტრაციული ერთეულია და მათში შემავალ ყველა სოფელს მაღალმთიანი დასახლების სტატუსი აქვს მინიჭებული.

### 2.2. ბუნებრივ-კლიმატური პირობები

მესტიის მუნიციპალიტეტი, თავისი რელიეფის თავისებურებებიდან გამომდინარე, თავისებურ კლიმატურ ანკლავს წარმოადგენს. ჰავა ზომიერად ნოტიოა და მასზე გავლენას ახდენს მხოლოდ შავი ზღვიდან ენგურის ხეობის გავლით შემოსული ჰაერის მასები. ტერიტორიაზე გამოიყოფა 5 კლიმატური ზონა, რომელთაგან ყველაზე დაბალი დამახასიათებელია ზღვის დონიდან 500-900მ სიმაღლეზე მდებარე ტერიტორიისთვის, ყველაზე მაღალი კი 3000-5000 მ-ზე მდებარე ტერიტორიებისთვის. რეგიონის საშუალო წლიური ტემპერატურა +5,7°C, ყველაზე ცივი – იანვრის თვის -6,5°C, ყველაზე ცხელი – ივლისის თვის საშუალო +16,5°C-ია. აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა -35,5°C და აბსოლუტური მაქსიმალური ტემპერატურა +35°C-ია. წელიწადში ნალექების რაოდენობა 1200-1350 მმ-ია, რეგიონისთვის დამახასიათებელია ხანმოკლე და გრილი ზაფხული, ზამთარი ნ თვე გრძელდება და თოვლის საფარი 2-2,5მ-მდე აღწევს.

მესტიის მუნიციპალიტეტში საშიში პროცესების განვითარებას განაპირობებს მისი გეოლოგიური აგებულება, რთული ტექტონიკა, ხშირი ჰიდროგრაფიული ქსელი და სპეციფიკური კლიმატურ-მეტეოროლოგიური პირობები. ხშირია ისეთი მოვლენები, როგორცაა: მეწყერი, ზვავი, ქვათაცვენა, ღვარცოფი, წყალმოვარდნა და მდინარეების აღიდება.

### 2.3. მუნიციპალიტეტის დასახლებები

მესტიის მუნიციპალიტეტის შემადგენლობაშია 1 დაბისა და 162 სოფლის ტიპის დასახლება, რომლებიც გაერთიანებულია 1 სადაბო და 17 თემის ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოში.

მუნიციპალიტეტის ყველა სოფელს მინიჭებული აქვს მაღალმთიანი დასახლების სტატუსი, რაც დამატებით მნიშვნელოვან შესაძლებლობებს აძლევს ადგილობრივ მოსახლეობას თუ ბიზნესექტორს.

მესტიის მუნიციპალიტეტის მთავარი წიაღისეული სიმდიდრეა ბარიტი, მარმარილო, ტყვია-თუთია, მოსაპირკეთებელი კირქვა, სახერხი ქვისა და ღორღის ნედლეული. რეგიონში უხვად მოიპოვება მინერალური წყლები, რომლებიც სამკურნალო თვისებებით ხასიათდება. შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო არ ხდება მათი გამოყენება (აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე, კვედილაშის მუხავე წყალი მეოცე საუკუნის 50-70-იან წლებში გამოიყენებოდა, როგორც ბალნეოლოგიური კურორტი სხვადასხვა დაავადებების სამკურნალოდ).

<sup>9</sup> მესტიის მუნიციპალიტეტის მერია, 2019 წელი.

მესტიის მუნიციპალიტეტი მდიდარია წყლის რესურსებით, აქ მდებარეობს რეგიონში ყველაზე გრძელი მდინარე ენგური (213 კმ). ბოლო პერიოდში აქტიურად დაიწყო ამ რესურსების გამოყენება და მიმდინარეობს მცირე და საშუალო ზომის ჰესების მშენებლობა მესტია ჭალაზე, ნენსკარაზე, მდ. ნაკარაზე, მდ. ლახამზე, მდ. კასთელზე.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიის 46.5% ტყეს უკავია და ტყის ფონდი 141,5 ჰა-ია. ტყეების მნიშვნელოვანი ნაწილი მაღალი დაქანების ფერდობებზეა განფენილი და გარდა სამრეწველო დანიშნულებისა, ნიადაგდაცვითი, წყალმარეგულირებელი და კლიმატმარეგულირებელი ფუნქცია გააჩნია. ფოთლოვან სახეობათა მაგარმერქნიანი ჯიშებიდან ძირითადად გვხვდება წიფელი, მუხა და რცხილა, ხოლო რბილმერქნიანი ჯიშებიდან – ნაძვი, ფიჭვი და სოჭი.

## 2.4. დემოგრაფია

2018 წლის მონაცემებით მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 10 960 კაცია, მათ შორის, 2 511 პირი ცხოვრობს დაბაში, ხოლო 8 449 – სოფლად. მოსახლეობის 49,9% ქალი და 50,1% მამაკაცია. მოსახლეობის საშუალო ასაკი 39,5-ია, მათ შორის, ქალების – 42,5, მამაკაცების 36,5 წელი. მესტია მოსახლეობის სიმჭიდროვის თვალსაზრისით ერთ-ერთ ყველაზე მეჩხრად დასახლებულ რეგიონს მიეკუთვნება და 1 კვ. კმ-ზე 3 ადამიანი ცხოვრობს, რაც თითქმის 16 ჯერ ჩამოუვარდება ქვეყნის მაჩვენებელს. მოსახლეობა შემცირებულია 2009 წელთან შედარებით 28.6%-ით, მაგრამ გაზრდილია 2015 წლის მონაცემებთან შედარებით 17,8%-ით.

მუნიციპალიტეტის მასშტაბით საჯარო სტრუქტურებში საშუალოდ დასაქმებულია 1 764 პირი, კერძო სტრუქტურაში – 1 338, ხოლო თვითდასაქმებულთა რაოდენობა 1 665-ს შეადგენს. შრომისუნარიანი მოსახლეობის 72,4% დასაქმებულია, ხოლო დაუსაქმებელთა რაოდენობა 27,6%-ია. შრომისუნარიანი მოსახლეობის ხვედრითი წილი 60,2%-ია.

მესტიის მუნიციპალიტეტში 2018 წელს 140 ბავშვი დაიბადა, 2019 წლის 1 ნოემბრამდე კი 77 ბავშვი. ბოლო წლების განმავლობაში საკმაოდ იკლო მოსახლეობის ბუნებრივი მატების მაჩვენებელმა, მოსახლეობის მატება ძირითადად გამოწვეულია უკუმიგრაციის პროცესით.

2019 წლის ოქტომბრისთვის მესტიაში სკოლამდელი ასაკის ბავშვების რაოდენობა 997-ია, 2008 პირი – პენსიონერი და სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები, 155 პირი – განსაკუთრებული საჭიროების მქონე და 27 ბენეფიციარი ეტლით მოსარგებლეა. მოსახლეობის 38%, ანუ 4 134 პირი, რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში. მუნიციპალიტეტში სოციალური პაკეტით დახმარების მიმღები 510 ბენეფიციარია, მათ შორის, 155 განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირია. რეგიონში ცხოვრობს იძულებით გადაადგილებული 720 პირი, რომლებიც ძირითადად ინდივიდუალურად არიან ჩასახლებულნი.

## 2.5. მუნიციპალიტეტის ეკონომიკა<sup>10</sup>

მესტიის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური როლი რეგიონში მცირეა, ვინაიდან მესტიის მუნიციპალიტეტის მცხოვრებლები სამეგრელო-ზემო სვანეთის მოსახლეობის მხოლოდ 3%-ს შეადგენენ.

მესტიის მუნიციპალიტეტში კერძო სექტორის ყველაზე დიდი წილი ნაკლებად პროდუქტიულ საბითუმო და საცალო ვაჭრობის სექტორს (30%) უკავია. აღნიშნულს მოსდევს სახმელეთო ტრანსპორტის სექტორი (8%), რომლითაც ძირითადად ხორციელდება მოსახლეობისა და პროდუქტის ტრანსპორტირება მესტიიდან და ზუგდიდიდან. რაც შეეხება მრეწველობის სექტორს, აღნიშნული მესტიის მუნიციპალიტეტში ნაკლებადაა განვითარებული, დამამუშავებელ მრეწველობაში ყველაზე დიდი წილი ხისა და კორპის ნაწარმის წარმოებას (8%) უჭირავს. ასევე, მესტიის მუნიციპალიტეტში ნაკლებადაა განვითარებული პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობა (1%).

მოსახლეობის დაბალი სიმჭიდროვიდან და გეოგრაფიული ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, მესტიის მუნიციპალიტეტში ჭარბობს ტურისტული აქტივობა. კერძოდ კი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2018 წლის ივლისის მონაცემების მიხედვით, მოქმედია 402 საოჯახო სასტუმრო, 3 ჰოსტელი, 2 ზამთრის კურორტი და 26-მდე ტურისტული ტური.

CRRC Georgia-ს გამოკითხვის თანახმად, მესტიის მუნიციპალიტეტის შინამეურნეობების 52.9% მონაწილეობას იღებს სასოფლო-სამეურნეო აქტივობებში. აღსანიშნავია, რომ სასოფლო-სამეურნეო აქტივობებში ჩართული მოსახლეობის მიზანი ხშირ შემთხვევაში თვითმომარაგებაა. აქედან გამომდინარე, 12 თვის განმავლობაში აგროკულტურული პროდუქტების გაყიდვიდან საშუალო შემოსავალი მუნიციპალიტეტში შეადგენს სულ რაღაც 899 ლარს. გამოკითხულთა ოთხი მეხუთედის თქმით, მათი ოჯახი ფლობს სასოფლო-სამეურნეო მიწას, რომლის ზომის მონაცემების მედიანა 3000 კვადრატული მეტრია (0.3 ჰექტარი). აქედან 8%-ს მიწა იჯარით აქვს აღებული.

<sup>10</sup> ამ ქვეთავში მოცემული ინფორმაციის წყაროა მესტიის მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლების ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის პროექტი.



აღსანიშნავია, რომ 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო გამოკითხვის თანახმად, საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწის საშუალო ფართობი 1.4 ჰექტარს შეადგენს, რაც მესტიის მუნიციპალიტეტის საშუალო (მედიანა) მონაცემს 360%-ით აღემატება. მესტიის მუნიციპალიტეტში გამოწვევას წარმოადგენს მიწაზე ხელმისაწვდომობა. ფერმერობითი საქმიანობის მსურველების 46%-ის განცხადებით, მათ არ გააჩნიათ მიწა და არც მიწის იჯარით აღების საშუალება. ასევე, გამოწვევას წარმოადგენს მუშახელისა (18%) და რესურსების (17%) ნაკლებობა, რაც ხაზს უსვამს მესტიის მუნიციპალიტეტის ეკონომიკაში არსებულ გეოგრაფიულ და დემოგრაფიულ შეზღუდვებს.

უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობა ხელს უწყობს ტურიზმის სფეროს განვითარებას, სადაც ჩართული შინამეურნეობების შემოსავალმა ბოლო 12 თვის განმავლობაში საშუალოდ 1800 ლარი შეადგინა (მედიანა – 4000 ლარი, ხოლო მოდა კი – 10 000 ლარი 12 თვეში).

ასევე, გამოკითხულთა 6.8%-ის თანახმად, მათი ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, უწევთ ისარგებლონ ნათესავებისა თუ მეგობრების გამოგზავნილი თანხებით, რისი წლიური ოდენობაც საშუალოდ 2 360 ლარს შეადგენს.

მოსახლეობის შემოსავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო პენსიები და სხვა სახელმწიფო სოციალური ტრანსფერებია, რომლითაც გამოკითხულთა 80.2% სარგებლობს. დაფინანსების რაოდენობა ცვალებადია და წლიურად, საშუალო ოდენობა 3670 ლარს (თვეში საშუალოდ 306 ლარი) შეადგენს.

CRRC Georgia-ს გამოკითხვის მიხედვით, ჯამში შინამეურნეობის საშუალო წლიური (ფულადი) შემოსავალი 3905 ლარს შეადგენს. ჩვენს შემთხვევაში მეტად სანდო მონაცემს წარმოადგენს მოდა (7200 ლარი) და მედიანა (8000 ლარი), რაც ყოველთვიურად, 600-670 ლარის ოდენობის (ფულად) შემოსავალს გულისხმობს ერთი შინამეურნეობისთვის. ეს მაჩვენებელი საქართველოში საშუალო თვიურ ხელფასზე 37%-ით ნაკლებია.

და ბოლოს, აღსანიშნავია, რომ მესტიის მუნიციპალიტეტში შემოსავლების გათვალისწინებით, შესამჩნევია, რომ მოსახლეობა ძირითადად დამოკიდებულია მუნიციპალური და ცენტრალური ხელისუფლებიდან მიღებულ ტრანსფერებზე, ასევე, უცხოელ და ქართველ ტურისტებზე, რაც ადგილობრივ ეკონომიკას საგარეო შოკების მიმართ დაუცველს ხდის.

## 3. ინფრასტრუქტურა და საბაზისო სოციალური მომსახურებები

### 3.1. გზები

მესტიის მუნიციპალიტეტში შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზის სიგრძე ჯამურად 182 კმ-ს შეადგენს, ხოლო ადგილობრივი მნიშვნელობის გზების – 727 კმ-ს. მუნიციპალიტეტში გადის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზა ზუგდიდი-ჯვარი-მესტია-ლასდილი, რომლის 152 კმ-იანი გზის მონაკვეთი დაფარულია ბეტონის საფარით. აღსანიშნავია, რომ ტერიტორიული ორგანოების დამაკავშირებელი გზების ნაწილი გადის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ცენტრალურ გზაზე, თუმცა ტერიტორიული ორგანოების შიდა და ერთმანეთთან დამაკავშირებელი გზების მონაკვეთები (ადგილობრივი მნიშვნელობის გზები) დაზიანებულია და პრობლემურია მათი საშუალებით გადაადგილება. დამატებით გზებზე არ არის მოწყობილი ფეხით მოსიარულეთა გადაადგილებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა. ამასთანავე, სკოლებსა და საბავშვო ბალებთან, სადაც ასფალტირებულია გზა, შესაბამისი საგზაო მონიშვნები (საგზაო ნიშნები, სიჩქარის შემზღუდავი ბარიერები, ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელები) არ გვხვდება.

გზებთანაა, ასევე, დაკავშირებული გზის გამჭრელი-გამწმენდი ტექნიკის არასაკმარისი რაოდენობა (მექანიზაციის ხელმისაწვდომობა) მესტიის მუნიციპალიტეტში. პრობლემის აქტუალობა განსაკუთრებით უამინდობის პერიოდსა და ზამთარში იჩენს თავს. მუნიციპალიტეტის ლანდშაფტიდან და კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის გზებზე ხშირია ზვავები, პერიოდულად აქტიურდება მეწყერსაშიში ზონები, არსაკმარისი ტექნიკის გამო გვიანდება გზების გაწმენდითი სამუშაოები, რაც აფერხებს მოსახლეობის გადაადგილებას, მათი საკვებითა და სხვა საჭირო საშუალებებით მომარაგებას, დროული სამედიცინო და სხვა სახის დახმარების მიწოდებას.

ENPARD III/მესტია პროექტის გუნდის მიერ 2019 წლის მარტი-ივნისის პერიოდში, ზემო სვანეთის 16 თემში მოსახლეობის მიერ იდენტიფიცირდა 15 ძირითადი პრობლემა ინფრასტრუქტურის მიმართულებით (იხ. ცხრილი №3). მოგვიანებით მოსახლეობის მიერ აღნიშნული პრობლემების პრიორიტეტიზაციის შედეგად „სატრანსპორტო და სოფლებს შორის დამაკავშირებელი გზის გაუმართაობა“ მოსახლეობის მიერ მესამე ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად, ხოლო გზის „გამჭრელი-გამწმენდი ტექნიკის არასაკმარისი რაოდენობა“ რიგით მეექვსე პრიორიტეტულ პრობლემად დასახელდა.

### 3.2. წყალმომარაგება და საკანალიზაციო სისტემა

სვანეთის 17 ადმინისტრაციული ერთეულიდან წყალმომარაგების ქსელი სრულად მოწყობილია დაბა მესტიაში, ხოლო ნაწილობრივ უშგულის, ხაიშის, ეცერის, იფარისა და ლატალის თემებში. სხვა თემებში წყლის მიღები კუსტარულად არის მიყვანილი. CRRC Georgia-ს მიერ ზემო სვანეთში ჩატარებული კვლევის თანახმად (იხ. ცხრილი №12), მოსახლეობის 86%-ს სასმელ წყალთან წვდომა აქვს, თუმცა „სასმელი წყლის მიწოდების ძველი და დაზიანებული სისტემები“ ზემო სვანეთის მოსახლეობის მიერ მეოთხე ყველაზე პრიორიტეტულ პრობლემად დასახელდა (იხ. ცხრილი №3).

მესტიის მუნიციპალიტეტში საკანალიზაციო სისტემა მოწყობილია მხოლოდ დაბა მესტიასა და ფარში. „კანალიზაციის სისტემაზე დაბალი ხელმისაწვდომობა“ ზემო სვანეთის მოსახლეობის მიერ მეორე ყველაზე პრიორიტეტულ პრობლემად დასახელდა (იხ. ცხრილი №3). ამასთანავე, CRRC Georgia-ს მიერ ზემო სვანეთში ჩატარებული კვლევის თანახმად, მოსახლეობის 80%-ს საკანალიზაციო სისტემაზე წვდომა არ აქვს (იხ. ცხრილი №13).

### 3.3. ელექტროენერჯია

სვანეთის მოსახლეობის ნაწილს ელექტროენერჯია უფასოდ მიეწოდება. მომსახურების ხარისხი (სიმძლავრე და ძაბვა) ძალზე დაბალია, რაც შესაძლოა აიხსნას იმით, რომ სადისტრიბუციო კომპანია დაინტერესებული არ არის მომსახურების გაუმჯობესებით და მეტი მოცულობის ელექტროენერჯიის მიწოდებით. „დაზიანებული ელექტროგადამცემი ბოძები და სადენები“ ზემო სვანეთის მოსახლეობის მიერ ნომერ პირველ პრიორიტეტულ პრობლემად დასახელდა (იხ. ცხრილი №3). მესტიის მუნიციპალიტეტის სოფლებში ხშირია მოსახლეობისთვის ელექტროენერჯიის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევები, რაც გამოწვეულია ამორტიზებული ინფრასტრუქტურით. მოძველებულია ელექტროენერჯიის მიწოდების ბოძები და გადამცემი ხაზები დიდთოვლობისა და უამინდობის შემთხვევაში მალევე გამოდის მწყობრიდან, რაც რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში მცხოვრები მოსახლეობისთვის დამატებით დაბრკოლებას წარმოადგენს. ზემო სვანეთში გარე განათების არარსებობა ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. CRRC Georgia-ს მიერ ზემო სვანეთში ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, მოსახლეობის 56%-ს გარე განათებაზე წვდომა არ აქვს (იხ. ცხრილი №14).

იმის გათვალისწინებით, რომ ელექტროენერჯის მიწოდებასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციაა, მან უნდა იზრუნოს აღნიშნული საკითხის დღის წესრიგში დაყენებასა და მოგვარებაზე, რასაც ზემო სვანეთში საზოგადოების კონსოლიდაცია დასჭირდება.<sup>11</sup> მნიშვნელოვანია ელექტროენერჯის სუბსიდიის სისტემის დახვეწა იმგვარად, რომ ზემო სვანეთის მოწყვლადი მოსახლეობა არ დაზარალდეს და ამავდროულად, ხელი შეეწყოს ტერიტორიის უფრო ეფექტიან ეკონომიკურ განვითარებას.

### 3.4. ტრანსპორტირება

მესტიის მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ ფუნქციონირებს, რაც ადგილობრივი მოსახლეობისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევასა და პრობლემას წარმოადგენს. საზოგადოებრივი ტრანსპორტის არარსებობის პირობებში სხვადასხვა ადმინისტრაციული ერთეულის მცხოვრებლებს უჭირთ ადგილობრივი მუნიციპალური სერვისებით სარგებლობა, საგანმანათლებლო, კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა, რადგან მათი მნიშვნელოვანი ნაწილი დაბა მესტიაში იმართება. ფინანსური ინსტიტუტები, ძირითადი სამედიცინო და საყოფაცხოვრებო მომსახურების მიწოდებლები განთავსებული არიან დაბა მესტიაში, შესაბამისად, სოფლებში მცხოვრებ ადამიანებს ადმინისტრაციულ ცენტრთან დაკავშირების დიდი საჭიროება აქვთ. ტრანსპორტირების პრობლემა ართულებს სხვადასხვა ადმინისტრაციული ერთეულის მცხოვრებლებს შორის ინტენსიური კომუნიკაციისა და კოორდინაციის შესაძლებლობას და ამცირებს სოციალური და ეკონომიკური ურთიერთობების ინტენსივობას, ასევე, ტურიზმის განვითარების პერსპექტივებს მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

### 3.5. კომუნიკაცია

CRRC Georgia-ს მიერ ზემო სვანეთში ჩატარებული კვლევის თანახმად, მოსახლეობის 98%-ს აქვს წვდომა მობილური ტელეფონის მომსახურების სერვისებთან (იხ. ცხრილი №15). მობილური ტელეფონის სერვისებთანაა ასევე დაკავშირებული ინტერნეტზე წვდომაც (47%) (იხ. ცხრილი №16), რადგან მოსახლეობა სვანეთის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულში ძირითადად მობილურ ინტერნეტს იყენებს. ბოჭკოვანი და ოპტიკური ინტერნეტის დაფარვა მესტიის გარდა თითქმის არსად არ არის ან ძალიან შეზღუდულია. მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 52%-ს ინტერნეტთან წვდომა არ აქვს. საკომუნიკაციო არხების გაუმართავობა ართულებს მოსახლეობის კავშირს ერთმანეთთან და გარესამყაროსთან. ასევე, ხელს უშლის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივებს, რადგან დღეს, ინტერნეტის გარეშე ეკონომიკის რომელიმე დარგის განვითარება, ფაქტობრივად, წარმოუდგენელია.

### 3.6. გასართობი და დასასვენებელი ინფრასტრუქტურა

მესტიის მუნიციპალიტეტის სოფლების უმრავლესობაში მოუწესრიგებელია სოფლის ცენტრები, ზოგან არ არსებობს პარკები და სკვერები, სათამაშო მოედნები და სხვა გასართობი ინფრასტრუქტურა. სოფლის ცენტრები წარმოადგენს ადგილობრივი მოსახლეობის შეკრების ადგილს, სადაც მოწყობილი უნდა იყოს შესაბამისი ინფრასტრუქტურა ადამიანების დასვენებისა და გართობის, ასევე, ერთმანეთთან და სხვებთან კომუნიკაციისთვის. სოფლის ცენტრები არ არის კეთილმოწყობილი და, შესაბამისად, ვერ პასუხობს სოფლის მცხოვრებთა საჭიროებებს. CRRC Georgia-ს მიერ განხორციელებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის მიხედვით, ზემო სვანეთის მოსახლეობის 76%-ს კულტურასა და გართობასთან წვდომა არ აქვს (იხ. ცხრილი №17).

### 3.7. დღის ცენტრები

მესტიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში (დაბა მესტიის გარდა) არ არსებობს სოციალური მომსახურების ისეთი სივრცეები, როგორცაა დღის ცენტრების მომსახურება, რომელიც ხელს უწყობს გარკვეული საჭიროების მქონე ბავშვების, ძალადობის მსხვერპლი ქალების, ხანდაზმულების, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებისა და ბავშვების ოჯახების მხარდაჭერას.

<sup>11</sup> მ. მარგველაშვილი, გ. მუხუგულიშვილი. 2016. „საქართველოს ენერჯეტიკის სექტორში სუბსიდიების გამჭვირვალობის და ეფექტიანობის უზრუნველყოფა: რეფორმების გეგმა“.



ინფრასტრუქტურა და საბაზისო სოციალური მომსახურებები – SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> <li>• ადამიანური რესურსების გამოყენების შესაძლებლობა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების დროს (მოსახლეობის ჩართულობა);</li> <li>• „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ არსებობა;</li> <li>• წყლის რესურსის არსებობა;</li> <li>• ტყის ფონდის არსებობა;</li> <li>• მიმდინარე საბავშვო ბაღების მშენებლობა;</li> <li>• სხვადასხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობების არსებობა სვანეთის თემებში;</li> <li>• სვანეთის თემებში არსებული რესურსები (ქვიშა, ხრეში, ხე, ბალასტი, ქვა-ლორღი, მადანი);</li> <li>• ტურისტულად მიმზიდველი გეოგრაფიული მდებარეობა;</li> <li>• სამთო სათხილამურო ზონები;</li> <li>• საჭაერო ტრანსპორტის არსებობა;</li> <li>• სვანეთის თემებში არსებული ტექნიკა ინფრასტრუქტურული განვითარებისთვის;</li> <li>• გენგეგმის პროექტის შექმნის მიმდინარეობა;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• გაუფილტრავი სასმელი წყალი;</li> <li>• მოძველებული წყლის მილები;</li> <li>• კომუნიკაციის არარსებობა მოსახლეობასა და კერძო კომპანიას („ენერჯო პრო“) შორის;</li> <li>• ფინანსების სიმწირე;</li> <li>• მოძველებული, დაზიანებული და საფრთხის შემცველი ინფრასტრუქტურა (ბოძები და სადენები, მილები და დაბინძურებული ავზები);</li> <li>• წყლის ერთიანი სისტემის არარსებობა;</li> <li>• საკანალიზაციო სისტემის არარსებობა;</li> <li>• პრიორიტეტების შესაბამისად ფინანსური რესურსების არასწორი განაწილება;</li> <li>• ახალგაზრდული ცენტრების/ისტორიული ძეგლების არასათანადო მოვლა-პატრონობა (არადროული რეაბილიტაცია);</li> <li>• საგზაო ტექნიკის არარსებობა;</li> <li>• შიდა გზების გაუმართაობა/არარსებობა;</li> <li>• ნაპირსამაგრი გაბიონების არარსებობა;</li> <li>• სანიაღვრე არხების არარსებობა;</li> <li>• განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებისთვის არაადაპტირებული ვარემო პირობები;</li> <li>• საგზაო მონიშვნებისა და საგზაო კამერების არარსებობა;</li> <li>• სპორტული/ახალგაზრდული/კულტურული შენობა-ნაგებობების სავალალო მდგომარეობა და/არარსებობა;</li> <li>• სკოლებისა და საბავშვო ბაღების ცუდი/ავარიული მდგომარეობა;</li> <li>• ნავსაყრდენის არარსებობა;</li> <li>• ვერტმფრენის არარსებობა;</li> <li>• სახანძროს არასაკმარისი აღჭურვილობა/გაუმართაობა;</li> <li>• თვითნებური მშენებლობები;</li> <li>• მეხამრიდების არარსებობა;</li> <li>• საზოგადოებრივი ტრანსპორტის არარსებობა;</li> <li>• შეზღუდული წვდომა ინტერნეტზე;</li> <li>• არაკვალიფიციური მუშახელი;</li> <li>• მოსახლეობის არაინფორმირებულობა და პასიურობა გამოიყენონ სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმები;</li> <li>• ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის არასაკმარისი კოორდინაცია ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების კუთხით;</li> <li>• დიდი ჰესების მიმდინარე მშენებლობა (ნენსკრა)</li> <li>• არასწორი დაპროექტება (არასწორად დაყენებული ბოძები, დარღვეული სტანდარტები);</li> </ul>
შესაძლებლობები	საფრთხეები
<ul style="list-style-type: none"> <li>• მუნიციპალიტეტში არსებული საგრანტო პროგრამები;</li> <li>• მცირე (არაგვიანტური) ჰესების აშენება;</li> <li>• თემებში არსებული მცირე ტექნიკის გამოყენება;</li> <li>• პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული პროექტების ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსება;</li> <li>• მოსახლეობის ჩართულობის გაზრდა ადგილობრივი ბიუჯეტის შემუშავების პროცესში;</li> <li>• დონორი ორგანიზაციების მოძიება;</li> <li>• სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმების აქტიური გამოყენება;</li> <li>• ზემო სვანეთის ადგილობრივი განვითარების ჯგუფის შესაძლებლობებისა და რესურსების გამოყენება;</li> <li>• სამოქალაქო და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის გაძლიერება;</li> <li>• პროფესიულ კოლეჯში კვალიფიციური მუშახელის მომზადების ხელშეწყობა;</li> <li>• გენგეგმის განვითარების ხელშეწყობა ზემო სვანეთის ყველა თემში.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სტიქიური მოვლენები;</li> <li>• დიდი ჰესების მშენებლობა (ეკოლოგიური საფრთხე);</li> <li>• ეკოლოგიური კატასტროფები;</li> <li>• არასტაბილური პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა საქართველოში;</li> <li>• ინფრასტრუქტურის მოუფრთხილებლობა;</li> <li>• მოქალაქეების პასიურობა.</li> </ul>

# ინფრასტრუქტურა და საბაზისო სოციალური მომსახურებები – ამოცანები და სტრატეგიული აქტივობები

## ამოცანა 1.1.

მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის (ქალები, მამაკაცები, გოგონები, ბიჭები, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირები და ა.შ.) პრიორიტეტული<sup>12</sup> მცირემასშტაბიანი ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა.

**დასაბუთება** – შეზღუდული ფინანსური რესურსიდან გამომდინარე, ზემო სვანეთის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარებას სრულად ვერ დაუჭერს მხარს, თუმცა მას შეუძლია მცირემასშტაბიანი, მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის (ქალები, მამაკაცები, გოგონები, ბიჭები, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირები და ა.შ.) პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარების თანადაფინანსება. ამასთანავე, ზემო სვანეთის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი მხარს დაუჭერს ადვოკატირების კამპანიებს, რომლებიც სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმების გამოყენების გზით ხელს შეუწყობენ მოსახლეობისათვის პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული პროექტების შექმნასა და განხორციელებას.

სტრატეგიული აქტივობა 1.1.1	
<b>სტრატეგიული აქტივობის დასახელება</b>	მესტიის მუნიციპალიტეტში ელექტროენერჯის მიწოდების ხარისხის გაუმჯობესების, წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემის, სანიაღვრე არხების, შიდა საგზაო ინფრასტრუქტურის, მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარების, გამჭრელ-გამწმენდ ტექნიკაზე მოსახლეობის წვდომის, გარე განათების ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ხელშეწყობა თანადაფინანსების გზით.
<b>სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა</b>	ამ აქტივობამ შეიძლება ხელი შეუწყოს თანადაფინანსების (მესტიის მუნიციპალიტეტის) პროექტებს. განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭება მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის პრიორიტეტულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს.
<b>ძირითადი სამიზნე ჯგუფ(ებ)ი</b>	მესტიის მუნიციპალიტეტის 16 ტერიტორიული ერთეული (ნაკლები პრიორიტეტი მიენიჭება დაბა მესტიას)
<b>პასუხისმგებელი პირები/ორგანოები</b>	მესტიის მუნიციპალიტეტი და ზემო სვანეთის LAG.
<b>ზემო სვანეთის LAG-ის პასუხისმგებლობა და როლი</b>	ამ აქტივობის განხორციელებისთვის ზემო სვანეთის LAG-ის წევრები განიხილავენ და მოიაზრებენ მცირე ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსებას.
<b>ნებისმიერი პარტნიორი ორგანიზაცია</b>	საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები, ადგილობრივი ორგანიზაციები
<b>განხორციელების ვადა</b>	2020 – 2021 წწ.
<b>მოსალოდნელი შედეგები / ინდიკატორები და სამიზნეები</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• რეაბილიტირებული და აშენებული ხიდების რაოდენობა;</li> <li>• აშენებული და რეაბილიტირებული გზების სიგრძე (კმ);</li> <li>• ადგილობრივ ბიუჯეტში ელექტროენერჯის მიწოდების ხარისხის გაუმჯობესების, წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემის, სანიაღვრე არხების, შიდა საგზაო ინფრასტრუქტურის, მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარების, გამჭრელ-გამწმენდ ტექნიკაზე მოსახლეობის წვდომის, გარე განათების ინფრასტრუქტურის მოწესრიგების წილის გაზრდილი მაჩვენებელი.</li> </ul> <p><b>ელექტროენერჯია</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მოსახლეობის (ქალები, მამაკაცები და ა.შ.) გაზრდილი რაოდენობა ვისაც ელექტროენერჯიაზე აქვს ხელმისაწვდომობა;</li> <li>• მოსახლეობის (ქალები, მამაკაცები და ა.შ.) რაოდენობა, ვინც ენერჯის დამზოგავ პრაქტიკებს იყენებს;</li> <li>• რაოდენობა მცირე/საშუალო/დიდი ბიზნესების, სეგრეგირებული მესაკუთრეთა სქესის და ასაკის მიხედვით, რომლებიც მიუთითებენ შემოსავლის ზრდაზე ელექტროენერჯიაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების შედეგად;</li> <li>• გადაწყვეტილებების რაოდენობა, რომელიც ამ სფეროში LAG-ის წევრების (ქალების, მამაკაცების, ახალგაზრდების და ა.შ.) ადვოკატირების შედეგად დადგა.</li> </ul>

<sup>12</sup> იხილეთ ცხრილი №5. მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მიერ იდენტიფიცირებული და პრიორიტეტიზებული პრობლემები ინფრასტრუქტურისა და ძირითადი სოციალური სერვისების მიმართულებით.

	<p><b>წყალი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• განხორციელებული წყალმომარაგების პროექტების რაოდენობა;</li> <li>• განხორციელებული წყალარინების პროექტების რაოდენობა;</li> <li>• მუნიციპალიტეტის დასახლებების %, სადაც მოქმედებს ახალი/რეაბილიტირებული წყალმომარაგების სისტემა;</li> <li>• რაოდენობა სახნავ-სათესი ნაკვეთების, სეგრეგირებული მესაკუთრეების სქესით, ასაკითა და ა.შ., რომელთაც აქვთ ხელმისაწვდომობა სარწყავ არხებზე;</li> <li>• რაოდენობა მცირე/საშუალო/დიდი ბიზნესების, სეგრეგირებული მესაკუთრეთა სქესის მიხედვით, რომლებიც მიუთითებენ შემოსავლის ზრდაზე წყალზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების შედეგად;</li> <li>• მუნიციპალური ადმინისტრაციული ცენტრებისა და საკურორტო დასახლებების %, სადაც გამართულია კანალიზაციის სისტემა;</li> <li>• მოსახლეობის (ქალები, მამაკაცები, ახალგაზრდები და ა.შ.) პროცენტული რაოდენობა, რომელთათვისაც ხელმისაწვდომია გაუმჯობესებული ან/და ახალი წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები;</li> <li>• ქალების რაოდენობის ზრდა, ვინც კმაყოფილი იქნება წყალზე ხელმისაწვდომობის გამო;</li> <li>• გაუმჯობესებული როლების გადანაწილება ქალებსა და მამაკაცებს შორის წყლის ტრანსპორტირების, შენახვის, მოხმარების კუთხით;</li> <li>• გაუმჯობესებული სანიტარული და ჰიგიენური პირობები სახლში ქალებისთვის, მამაკაცებისთვის და სხვა ჯგუფებისთვის;</li> <li>• სკოლებისა და ბაღების რაოდენობა, სადაც ხელმისაწვდომია გაუმჯობესებული სანიტარული და ჰიგიენური პირობები (საპირფარეშო, ხელსაბანი და ა.შ.);</li> <li>• ინიციატივების ზრდა, რომელიც წყლისა და ელექტროენერჯის ეფექტურ მოხმარებას წაახალისებს;</li> <li>• ოჯახების რაოდენობა, ვინც დაბრუნდა თემში საცხოვრებლად წყალზე გაუმჯობესებული ხელმისაწვდომობის გამო.</li> </ul> <p><b>ტრანსპორტი და გზა</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• შემცირებული საგზაო შემთხვევების რაოდენობა;</li> <li>• დანაშაულის (განსაკუთრებით ქაღალთა მიმართ) რაოდენობის შემცირება;</li> <li>• შექმნილი ახალი ეკოლოგიურად სუფთა და ადაპტირებული ავტობუსების რაოდენობა;</li> <li>• მოსწავლეების (გოგოები, ბიჭები და ა.შ.) რაოდენობის ზრდა საგანმანათლებლო დაწესებულებებში ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობის გავლენით;</li> <li>• საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოსარგებლე მგზავრთა მზარდი პროცენტული მაჩვენებელი;</li> <li>• განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფების რაოდენობის ზრდა, ვინც სარგებლობის ტრანსპორტით;</li> <li>• ტრანსპორტის სფეროში დასაქმებული ადამიანების (ქალები, მამაკაცები და ა.შ.) რაოდენობის ზრდა;</li> <li>• ადგილობრივი გზების საერთო სიგრძის %, სადაც მოწყობილია გარე განათება;</li> <li>• რეგისტრირებული სკვერებისა და პარკების %, სადაც მოწყობილია გარე განათება;</li> <li>• სკოლებისა და საბავშვო ბაღების %, სადაც ასფალტირებულ გზებზე გაკეთებულია შესაბამისი საგზაო მონიშვნა (საგზაო ნიშნები, სიჩქარის შემზრუდავი ბარიერები, მოწყობილია ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელები);</li> <li>• აშენებული და რეაბილიტირებული მცირე ინფრასტრუქტურის რაოდენობა;</li> <li>• ტრანსპორტის ახალი მარშრუტებისა და გზების მოწყობის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების რაოდენობა, რომელიც LAG-ის წევრების (ქალების, მამაკაცების, ახალგაზრდების და ა.შ.) ადვოკატირების შედეგად დადგა;</li> </ul>
<b>პრიორიტეტი</b>	<b>მაღალი</b>

<b>სტრატეგიული აქტივობა 1.1.2</b>	
<b>სტრატეგიული აქტივობის დასახელება</b>	მესტიის მუნიციპალიტეტში ელექტროენერჯის მიწოდების ხარისხის გაუმჯობესების, წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემის, სანიაღვრე არხების შიდა საგზაო ინფრასტრუქტურის, მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარების, გამჭრელ-გამწმენდ ტექნიკაზე მოსახლეობის წვდომის, გარე განათების ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ხელშეწყობა ადვოკატირებისა და სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმების გამოყენების გზით.
<b>სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა</b>	აღნიშნული აქტივობის ფარგლებში ზემო სვანეთის ადგილობრივი ჯგუფი მხარს დაუჭერს ინიციატივებს, რომლებიც ხელს შეუწყობს ადვოკატირების გზით მოსახლეობისათვის პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარებას. მნიშვნელოვანია, რომ ადვოკატირების პროცესი მოიაზრებდეს მოსახლეობის მიერ სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმების აქტიურ გამოყენებას. პრიორიტეტი მიენიჭება სოფლის მხარდაჭერი პროგრამის ფარგლებში ინიციატივების მომზადებასა და დასახლების საერთო კრებების ეფექტიანად ორგანიზებას.
<b>ძირითადი სამიზნე ჯგუფ(ებ)ი</b>	მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა, პრიორიტეტი მიენიჭება პროექტებს, რომლებიც წაახალისებს ახალგაზრდების, ქალებისა და სოციალურად დაუცველი ადამიანების ჩართულობას ადვოკატირების პროცესში.
<b>პასუხისმგებელი პირები/ორგანოები</b>	ზემო სვანეთის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები
<b>ზემო სვანეთის LAG-ის პასუხისმგებლობა და როლი</b>	ზემო სვანეთის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი მხარს დაუჭერს ადვოკატირების კამპანიების განხორციელებას, მონაწილეობას მიიღებს დასახლების საერთო კრებებზე ფასილიტაციის პროცესში, შექმნის დიალოგის პლატფორმას კერძო და საჯარო სტრუქტურებთან, მონიტორინგს გაუწევს ადვოკატირების კამპანიების განხორციელების პროცესს.
<b>ნებისმიერი პარტნიორი ორგანიზაცია</b>	ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, საინიციატივო ჯგუფები, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები.
<b>განხორციელების ვადა</b>	2020 – 2021წწ
<b>მოსალოდნელი შედეგები / ინდიკატორები და სამიზნეები</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ადვოკატირების კამპანიების რაოდენობა, რომელიც მიმართული იყო ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარებისკენ;</li> <li>• გადაწყვეტილებების რაოდენობა ენერჯეტიკის, წყალმომარაგების სფეროებში, რომელიც LAG-ის წევრების (ქალების, მამაკაცების, ახალგაზრდებისა და ა.შ.) ადვოკატირების შედეგად დადგა;</li> <li>• ტრანსპორტის ახალი მარშრუტებისა და გზების მოწყობის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების რაოდენობა, რომელიც LAG-ის წევრების (ქალების, მამაკაცების, ახალგაზრდებისა და ა.შ.) ადვოკატირების შედეგად დადგა;</li> <li>• დასახლების საერთო კრების ოქმების რაოდენობა;</li> <li>• ქალების, მამაკაცებისა და სხვა ჯგუფების, მათ შორის, ახალგაზრდების, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებისა და ა.შ. რაოდენობა, ვინც საკონსულტაციო, ადვოკატირების შეხვედრებში მიიღო მონაწილეობა;</li> <li>• რაოდენობა ქალების, მამაკაცებისა და სხვა ჯგუფების, ვინც ამ შეხვედრების ფასილიტაციაში მიიღო მონაწილეობა;</li> <li>• პეტიციების რაოდენობა, მათ შორის, ექსკლუზიურად რომელიმე განსაკუთრებით მოწვევადი ჯგუფის განსაკუთრებული ინტერესების სასარგებლოდ;</li> <li>• საჯარო ღონისძიებების რაოდენობა, რომელიც მიეძღვნა ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარებას;</li> <li>• მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის შედგენის პროცესში გამართული კონსულტაციების რაოდენობა;</li> <li>• მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის შედგენის პროცესში გამართულ კონსულტაციებში მონაწილეთა რაოდენობა (სეგრეგირებული სქესის, ასაკისა და სხვა ნიშნით);</li> <li>• მუნიციპალიტეტის პროგრამების წილი (%), რომელიც შემუშავდა გამართული კონსულტაციებისა და ადვოკატირების შედეგად;</li> </ul>
<b>პრიორიტეტი</b>	<b>საშუალო</b>



## ამოცანა 1.2.

განსაკუთრებული საჭიროების მქონე და სხვა მოწყვლადი ჯგუფების (მათ შორის, ქალების, ხანდაზმულების და ა.შ) საჭიროებებზე მორგებული ინფრასტრუქტურისა და სოციალური სერვისების განვითარების ხელშეწყობა.

**დასაბუთება** – მესტიის მუნიციპალიტეტის თემებში არსებული ინფრასტრუქტურა არ არის ადაპტირებული განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირების საჭიროებებზე და ამასთანავე, ზემო სვანეთის 16 თემში, არ არსებობს სოციალური მომსახურების ისეთი სივრცეები და სერვისები, რომელიც ხელს უწყობს განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებისა და მათი ოჯახების, ქალების, ხანდაზმულებისა და სხვათა მხარდაჭერას. შესაბამისად, ზემო სვანეთის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი ხელს შეუწყობს მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებზე მორგებული სოციალური ინფრასტრუქტურისა და მომსახურებების განვითარებას.

სტრატეგიული აქტივობის დასახელება	
<b>სტრატეგიული აქტივობის დასახელება</b>	განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების (მათ შორის, ქალების, ახალგაზრდების, ხანდაზმულებისა და ა.შ) საჭიროებაზე მორგებული ინფრასტრუქტურის შექმნის ხელშეწყობა.
<b>სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა</b>	ზემო სვანეთის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი დღის წესრიგში დააყენებს, რომ ძირითადი შენობა-ნაგებობები ადაპტირებული იყოს განსაკუთრებული საჭიროების პირთათვის და, ასევე, მუნიციპალიტეტში განვითარდეს მათზე მორგებული ინფრასტრუქტურა.
<b>ძირითადი სამიზნე ჯგუფ(ებ)ი</b>	განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირები და მათი ოჯახები
<b>პასუხისმგებელი პირები/ორგანოები</b>	მესტიის მუნიციპალიტეტის მერია, კერძო სექტორი და ზემო სვანეთის LAG, სხვა ადგილობრივი ორგანიზაციები
<b>ზემო სვანეთის LAG-ის პასუხისმგებლობა და როლი</b>	ზემო სვანეთის LAG ადვოკატირების გზით დღის წესრიგში დააყენებს მესტიის მუნიციპალიტეტში არსებული ინფრასტრუქტურის განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებისთვის ადაპტირების აუცილებლობას.
<b>ნებისმიერი პარტნიორი ორგანიზაცია</b>	მესტიის მუნიციპალიტეტის მერია, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, კერძო სექტორი, საინიციატივო ჯგუფები, რეგიონში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები.
<b>განხორციელების ვადა</b>	2020 – 2021წწ
<b>მოსალოდნელი შედეგები / ინდიკატორები და სამიზნეები</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• უკვე არსებული შენობა-ნაგებობების რაოდენობა, რომლებიც ადაპტირდა;</li> <li>• ახალი უნივერსალური დიზაინით შექმნილი შენობა-ნაგებობების, მათ შორის, სარეაბილიტაციო და დღის ცენტრების, ასევე, პროფესიული განათლების და დასაქმების ცენტრების რაოდენობა;</li> <li>• განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა რაოდენობა (სეგრეგირებული სქესის, ასაკისა და სხვა ნიშნებით), ვინც მათთვის შენობა-ნაგებობების გაუმჯობესებულ ხელმისაწვდომობაზე მიუთითებს;</li> <li>• განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა ოჯახის წევრების რაოდენობა (სეგრეგირებული სქესის, ასაკისა და სხვა ნიშნებით), ვინც განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა მხრიდან შენობა-ნაგებობების გაუმჯობესებულ ხელმისაწვდომობაზე მიუთითებს. ცენტრებში დასაქმებული ადამიანების (ქალი, მამაკაცი, ახალგაზრდა და ა.შ) რაოდენობა.</li> </ul>
<b>პრიორიტეტი</b>	მაღალი

<b>სტრატეგიული აქტივობა 1.2.2</b>	
<b>სტრატეგიული აქტივობის დასახელება</b>	მოწყვლადი ჯგუფების (მათ შორის, ქალების, ხანდაზმულების, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებისა და ა.შ) საჭიროებაზე მორგებული სოციალური სერვისების განვითარების ხელშეწყობა.
<b>სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა</b>	სერვისები, რომელიც ხელს უწყობს განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებისა და მათი ოჯახების ქალების, ხანდაზმულებისა და სხვათა მხარდაჭერას. შესაბამისად, ზემო სვანეთის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი ხელს შეუწყობს მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებზე მორგებული სოციალური მომსახურებების განვითარებას.
<b>ძირითადი სამიზნე ჯგუფ(ებ)ი</b>	განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირები, ხანდაზმულები, ქალები და ბავშვები, სხვა განსაკუთრებული საჭიროების მქონე ჯგუფები.
<b>პასუხისმგებელი პირები/ორგანოები</b>	მესტიის მუნიციპალიტეტის მერია, ზემო სვანეთის LAG
<b>ზემო სვანეთის LAG-ის პასუხისმგებლობა და როლი</b>	ზემო სვანეთის LAG მხარს დაუჭერს (დააფინანსებს) განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებისათვის დღის ცენტრების დაარსებას.
<b>ნებისმიერი პარტნიორი ორგანიზაცია</b>	ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, კერძო სექტორი, საინიციატივო ჯგუფები, რეგიონში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები.
<b>განხორციელების ვადა</b>	2020 – 2021წწ
<b>მოსალოდნელი შედეგები / ინდიკატორები და სამიზნეები</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მოწყვლადი ჯგუფის საჭიროებაზე მორგებული სოციალური სერვისების რაოდენობა, მათ შორის, ხანდაზმულებისთვის შინმოვლის სერვისები, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირების დღის ცენტრით და პირველადი მედიკამენტებითა და ჰიგიენის საშუალებებით უზრუნველყოფის სერვისები, ძალადობის მსხვერპლი ქალებისა და ბავშვების მხარდაჭერის სერვისები და ა.შ.;</li> <li>• სოციალური სერვისებით მოსარგებლე ადამიანების რაოდენობა (სქესის, ასაკისა და სხვა ნიშნით სეგრეგირებული);</li> <li>• სოციალური სერვისით მოსარგებლე პირების (სეგრეგირებული სქესის, ასაკისა და სხვა ნიშნით) და მათი ოჯახის წევრების კმაყოფილება.</li> </ul>
<b>პრიორიტეტი</b>	<b>საშუალო</b>

## 4. ბანათლება, კულტურა, სპორტი, ახალგაზრდობა და ჯანდაცვა

### 4.1. საბანათლებლო დანახარჯებები

მესტიის მუნიციპალიტეტში 24 საჯარო (5 საბაზო და 19 საშუალო) და 1 კერძო (საპატრიარქოს) სკოლაა. 2019 წლის ნოემბრის მონაცემებით,<sup>13</sup> მოსწავლეების რაოდენობა შეადგენს 1492-ს, საიდანაც 1373 ბავშვი სწავლობს საჯარო სკოლაში, ხოლო 119 – კერძოში. 2019 წელს, „ათასწლეულის გამოწვევის ფონდის“ მიერ განხორციელებული სკოლების შენობების მდგომარეობის შეფასების შედეგად გამოვლინდა, რომ მესტიის მუნიციპალიტეტში მხოლოდ 8 სკოლის შენობაა დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში, დანარჩენების მდგომარეობა კი ცუდია.<sup>14</sup> ამჟამად სოფელ წვირში შენდება 60 ბავშვზე გათვლილი ახალი საჯარო სკოლა.<sup>15</sup> ასევე, ჭუბერსა და ყარ-სგურიში იგეგმება სკოლების აშენება 2020 წელს.

მესტიაში, ასევე, ფუნქციონირებს პროფესიული კოლეჯი „თეთნულდი“ (130 სტუდენტი), რომელსაც აუშენდა საერთო საცხოვრებელიც, თუმცა ექსპლოატაციაში ჯერ ვერ შევიდა იურიდიული პრობლემების გამო. მესტიაში ასევე არის სახელოვნებო სკოლა.

მესტიის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდის 22 დაწესებულებაა (537 აღსაზრდელით), საიდანაც 7 ახალი აშენებულია. 2018-2019 წლებში რეაბილიტაცია ჩატარდა 6 ბაღს. ამჟამად მიმდინარეობს ორი ბაღის მშენებლობა ლატალსა და ცხუმარში. მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ მიმდინარე წლებში იგეგმება 5 საბავშვო ბაღის მშენებლობა ჭუბერში, ლახამში, მამერში, ჭოლასა და მესტიაში.

2019 წლის გაზაფხულზე CRRC Georgia-ს მიერ ზემო სვანეთის 17-ვე თემში ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, საბავშვო ბაღზე წვდომა არ აქვს ფარის, ლატალისა და კალას თემის მოსახლეობის დაახლოებით 70%-ს, ასევე, ეცერის (51%), ლახამულას (33%), მულახის (24%), ლენჯერისა (21%) და წვირის (20%) მცხოვრებლებს. ამავ კვლევის მიხედვით, ზემო სვანეთის მოსახლეობის უმრავლესობამ იცის, რომ საბავშვო ბაღების პრობლემების მოგვარება მუნიციპალიტეტის პასუხისმგებლობაა (იხ. ცხრილი №18).

### 4.2. კულტურა / ბართობა

მესტიის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ლეო ფილფანის სახელობის განახლებული სახალხო და ფოლკლორის თეატრი, სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი, მარგიანების მარხები (ძველი საცხოვრებელი სახლის კომპლექსი), მიხეილ ხერგიანის სახლ-მუზეუმი და მეგლუდ ჩანქელიანის ეთნოგრაფიული მუზეუმი უშგულში.

მესტიის მუნიციპალიტეტში მრავლადაა კულტურული და ისტორიული ძეგლები – კოშკები, მარხები, ტაძრები. აღსანიშნავია, რომ 39 ეკლესიაზე შემორჩენილია ადრე შუასაუკუნეების ფრესკული მოხატულობა.<sup>16</sup> მესტიის მუნიციპალიტეტში შემორჩენილია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები – სვანური ენა, მითოლოგია, სამზარეულო, ფოლკლორი, ქორეოგრაფია, მედიაციის ინსტიტუტი.

CRRC Georgia-ს მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, კულტურისა და გართობის მომსახურებებით სარგებლობს ლენჯერისა და ლატალის მოსახლეობის მხოლოდ გარკვეული ნაწილი (27 – 27%), დანარჩენ თემებში კი მაცხოვრებელთა უმეტესობისთვის არ არის ხელმისაწვდომი აღნიშნული სერვისები (იხ. ცხრილი №17).

### 4.3. სპორტი / ახალგაზრდობა

სვანეთში განვითარებულია ზამთრისა და ექსტრემალური სპორტის სახეობები. ჰაწვალზე ფუნქციონირებს 3 სათხილამურო ტრასა, მათ შორის, ერთის სიგრძე 2950 მეტრია და განკუთვნილია სპორტული შეჯიბრებებისთვის. მუნიციპალიტეტში ასევე ფუნქციონირებს მეკლდეურობის, ალპინიზმის, ფეხბურთის, კრივის, მკლავჭიდის, ჭიდაობის, ჭადრაკისა და ბეისბოლის კლუბები. მუნიციპალიტეტში არის სპორტდარბაზები (მულახი, ლატალი, ჭუბერი, იფარი, მესტია) და სტადიონები (ეცერი, მულახი, ბეჩო, მესტია, წვიმრი, უშგული, ხაიში). სპორტული დაწესებულებების დიდი ნაწილი საჭიროებს განახლებასა და ახალ აღჭურვილობას. მესტიის მუნიციპალიტეტის დაკვეთით, დაგეგმილია ფარში სპორტული კომპლექსის აშენება, ჭუბერსა და ლენჯერში კი სპორტული ცენტრების მოწყობა.<sup>17</sup>

CRRC Georgia-ს კვლევის მიხედვით, 13 თემში მცხოვრები მოსახლეობის 50%-ზე მეტს არა აქვს ახალგაზრდულ საჯარო სივრცეებზე (სპორტული ინფრასტრუქტურა, საჯარო სივრცეები, ბიბლიოთეკა) წვდომა (იხ. ცხრილი

<sup>13</sup> წყარო: მესტიის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრი

<sup>14</sup> სკოლების მდგომარეობა შეფასდა საერთაშორისო, FCI ინდექსით. აღსანიშნავია, რომ მესტიის მუნიციპალიტეტში არცერთი სკოლის შენობა არ არის კარგ მდგომარეობაში.

<sup>15</sup> წყარო: მესტიის მუნიციპალიტეტის რესურსების მეფინგი. Care Int.

<sup>16</sup> წყარო: მესტიის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი 2016

<sup>17</sup> წყარო: მესტიის მუნიციპალიტეტის რესურსების მეფინგი. Care Int.

№19). ახალგაზრდული მომსახურებები თემების უმრავლესობაში საერთოდ არ არის განვითარებული, არსებული სერვისების რაოდენობა კი მწირია – მაგალითად, მეწარმეობის სკოლა მულახში, სოციალური საწარმო და ახალგაზრდული ცენტრი ფარში. გარდა ამისა, რეგიონში მოქმედი ზოგიერთი მსხვილი ენერჯეტიკული კომპანია სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში ახორციელებს ახალგაზრდული საქმიანობის გაძლიერებას – მაგალითად, სპორტული და კულტურული ცენტრების რეაბილიტაციას ტუბერში, ბიბლიოთეკების განახლებას დაბა მესტიაში.

#### 4.4. ჰანდაცვა

მესტიის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ერთი საავადმყოფო, 14 ამბულატორია, ტუბერი-უშგულის ამბულატორიული გაერთიანება, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი და სასწრაფო სამედიცინო დახმარების პუნქტი. მესტიის მუნიციპალიტეტს ემსახურება 2 სასწრაფო დახმარების ბრიგადა, განახლებული ავტოპარკით.

ამბულატორიების შენობა-ნაგებობები ავარიულ მდგომარეობაშია, რის გამოც სოფლის ექიმებს სახლში უწევთ პაციენტების მიღება, რაც ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების მიღებას შეუძლებელს ხდის (იხ. ცხრილი №20) ამის გამო, სოფლის მოსახლეობას უწევს მიმართოს მესტიის ცენტრალურ საავადმყოფოს, რაც დამატებითი ტრანსპორტის ხარჯებთან არის დაკავშირებული და განსაკუთრებით მწვავედ აისახება სოციალურად დაუცველი ოჯახების მდგომარეობაზე. 2019 წელს ტუბერში, ლატალში, კალაში (ნაწილობრივ), ლახამულაში, ხაიშსა და უშგულში რეაბილიტირდა ამბულატორიები. 2019 წელს ლენჯერში, ეცერსა და ნაკრაში დაიგეგმა ამბულატორიული კლინიკების მშენებლობა.<sup>18</sup>

მესტიის მუნიციპალიტეტში მწვავედ დგას 24 საათიანი აფთიაქის არსებობის საჭიროება. ერთადერთი მოქმედი აფთიაქი დაბა მესტიაშია, თემში მცხოვრებთათვის კი აფთიაქზე ხელმისაწვდომობა სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს, რაც CRRC Georgia-ს მიერ ჩატარებული კვლევითაც დასტურდება (იხ. ცხრილი №21). ასევე, აღსანიშნავია სამედიცინო პერსონალის დეფიციტი – მუნიციპალიტეტში არ მუშაობს არცერთი სტომატოლოგი, ტრავმატოლოგი (მხოლოდ სემონურადაა მოწვეული), ოფთალმოლოგი, ოტორინოლარინგოლოგი, რენდგენოლოგი, კარდიოლოგი, რეანიმატოლოგი, ნეფროლოგი, ფსიქიატრი (მოწვეული), ონკოლოგი, ექოსკოპისტი. პრობლემას წარმოადგენს ასევე რეანომობილისა და სამამშველო თვითმფრინავის არარსებობა.

#### ბანათლება / კულტურა / სპორტი / ახალგაზრდობა / ჰანდაცვა – SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> <li>• დიდი რაოდენობით კულტურული და ისტორიული ძეგლები (მაჩუბები, კოშკები, ტაძრები);</li> <li>• არსებული კულტურული ცენტრები (მაგალითად, ფოლკლორის თეატრი, მუზეუმები)</li> <li>• განვითარებული ხელოვნების დარგები (ხეზე კვეთა, ფერწერა, ხატწერა, ქარგვა, გობელენი)</li> <li>• მნიშვნელოვანი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა (სვანური ენა, მითოლოგია, სამზარეულო, ფოლკლორი, ქორეოგრაფია, მედიაციის ინსტიტუტი);</li> <li>• ადგილობრივი მედია (SvanetiNEWS, საკრებულოს გაზეთი „ლილე“);</li> <li>• სამთო-სათხილამურო და ექსტრემალური სპორტი;</li> <li>• სპორტული კლუბები (მეკლდეურობა, ალპინიზმი, ფეხბურთი, კრივი, მკლავჭიდი, ჭიდაობა, ცხენოსნობა, ჭადრაკი, ფრენბურთი);</li> <li>• სპორტის კვალიფიციური მწრთვანელები;</li> <li>• სპორტდარბაზები (ბეჩო, მულახი, ლატალი, ხაიში), სტადიონები (ეცერი, მულახი, ბეჩო, მესტია, წვირმი, უშგული, ხაიში) და სპორტული კომპლექსი (მულახი);</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• დაზიანებული კოშკები და მაჩუბები;</li> <li>• კულტურის სფეროში დაბალი ანაზღაურება;</li> <li>• კულტურული ცენტრების (ბიბლიოთეკები, კულტურის სახლები, მუზეუმები) დეფიციტი და შეზღუდული კეთილმოწყობა;</li> <li>• სვანური ენისა და ტრადიციების შესახებ დაბალი ცნობადობა – მივიწყების ტენდენცია;</li> <li>• შეზღუდული ხელმისაწვდომობა საინფორმაციო საშუალებებზე (არ იყიდება პრესა, არ იჭერს არცერთი რადიო);</li> <li>• სუსტი ინტერნეტი;</li> <li>• სპორტული დარბაზების მცირე რაოდენობა /მოუწყვრივებელი ინფრასტრუქტურა და დეფიციტური სპორტული ინვენტარი;</li> <li>• სპორტული მიმართულებების არარსებობა (მაგალითად, რაგბი, ცურვა, კალათბურთი);</li> <li>• სპორტულ ცენტრებზე ხელმისაწვდომობის პრობლემა ტრანსპორტის არარსებობის გამო;</li> <li>• სპორტული კომპლექსების მენეჯმენტის პრობლემა და სპორტის მწრთვანელების გაუმჯობესებლად დაფინანსების სქემა;</li> <li>• ახალგაზრდული ცენტრებისა და ღონისძიებების დეფიციტი (განსაკუთრებით სოფლებში);</li> <li>• კვალიფიციური კადრების დეფიციტი;</li> <li>• სახელმწიფოს ბალანსზე არ არის თავისუფალი მიწის ნაკვეთები, სადაც შეიძლება აშენდეს სპორტული/ახალგაზრდული ცენტრები (განსაკუთრებით ზედა ზონაში);</li> <li>• ბავშვთა გასართობი ცენტრის არარსებობა;</li> <li>• სათამაშოების მაღაზიის არარსებობა;</li> </ul>

<sup>18</sup> წყარო:მესტიის მუნიციპალიტეტის რესურსების მეფინგი. Care Int



<ul style="list-style-type: none"> <li>პროფესიული სასწავლებელი დაბა მესტიაში;</li> <li>კოლეჯსა და სკოლებს შორის თანამშრომლობის პრაქტიკა;</li> <li>სკოლებს შორის თანამშრომლობის პრაქტიკა სხვადასხვა შემეცნებითი და საგანმანათლებლო აქტივობების დასაგეგმად („არქიმედეს თა-სი“, „მოვიშინაუროთ წიგნები“, „შექსპირი ჩვენს სკოლებში“);</li> <li>წარმატებული ეკოკლუბები (მულახსა და ფარში);</li> <li>მეწარმეობის სკოლა (მულახში);</li> <li>სოციალური საწარმო და ახალგაზრდული ცენტრი (ფარში);</li> <li>თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი საავადმყოფო დაბა მესტიაში;</li> <li>სასწრაფო დახმარების მანქანების კარგი მდგომარეობა და ერთეული პროფესიონალი პერსონალი.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>პროფესიონალი კადრების დეფიციტი;</li> <li>ინფრასტრუქტურული პრობლემები სკოლებში, ბალებსა და ბიბლიოთეკებში;</li> <li>პროფესიული სასწავლებლის საერთო საცხოვრებლის ექსპლუატაციაში ვერგაშვება;</li> <li>საგანმანათლებლო ინვენტარის დეფიციტი;</li> <li>მშობლების დაბალი ჩართულობა სასკოლო საკითხებში;</li> <li>პედაგოგების მიერ გაკვეთილების გაცდენის პრაქტიკა ზოგიერთ თემში;</li> <li>სკოლაში არსებული ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის ვერგამოყენება ცოდნის ნაკლებობის გამო;</li> <li>მასწავლებელთა პროფესიული განვითარების შეზღუდული შესაძლებლობები;</li> <li>ლაბორატორიების არარსებობა სოფლების სკოლებში.</li> <li>პროფესიონალი კადრების დეფიციტი ჯანდაცვის სფეროში;</li> <li>არასაკმარისი სასწრაფო დახმარების მანქანები (მხოლოდ ორია);</li> <li>ვერტმფრენის არარსებობა გადაუდებელი სიტუაციებისთვის;</li> <li>რენომობილის არარსებობა გადაუდებელი სიტუაციებისთვის;</li> <li>გზების მოუწესრიგებელი მდგომარეობა ზამთარში, რის გამოც სასწრაფო დახმარების მანქანას უჭირს გამოძახების ადგილამდე მისვლა;</li> <li>სოფლის ამბულატორიები არ არის ფუნქციური;</li> <li>აფთიაქების დეფიციტი (24 საათიანი აფთიაქის არარსებობა);</li> <li>სანიტარული ნორმების დარღვევა სამედიცინო პერსონალის მხრიდან;</li> <li>სპეციალისტების დეფიციტი (მუნიციპალიტეტში არ არის არცერთი ტრავმატოლოგი, სტომატოლოგი, ოფთალმოლოგი, ოტორინოლარინგოლოგი, რენდგენოლოგი, ექოსკოპისტი).</li> </ul>
<b>შესაძლებლობები</b>	<b>საფრთხეები</b>
<ul style="list-style-type: none"> <li>კულტურის სახლების არსებული უფუნქციო შენობების გამოყენება – აღდგენა;</li> <li>არსებული კულტურული ცენტრების პოპულარიზაცია – ხელმისაწვდომობის გაზრდა თემის ახალგაზრდებისთვის აბონემენტებითა და ტრანსპორტით უზრუნველყოფის გზით;</li> <li>სახელოვნობო და ცეკვის კონკურსების, ფესტივალებისა და გამოფენების ორგანიზება.</li> <li>სათხილამურო სპორტის განვითარება სხვადასხვა თემში;</li> <li>ახალგაზრდული მრავალფუნქციური სივრცეების შექმნა;</li> <li>ახალგაზრდული ღონისძიებებისა და ფესტივალების ჩატარება;</li> <li>არსებული ახალგაზრდული ცენტრების მუშაობის მასშტაბის გაზრდა;</li> <li>სოფლებს შორის გამოცდილების გაზიარება;</li> <li>კვალიფიციური ტრენერების არსებობა აუთვისებელ სპორტის სახეობებში (მაგალითად, რაგბი)</li> <li>სპორტული დარბაზების რეაბილიტაცია/აღდგენა;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ნეპოტიზმი;</li> <li>კორუფცია;</li> <li>ახალგაზრდების გადინება;</li> <li>ასაკოვანი მწვრთნელები, მასწავლებლები, სამედიცინო პერსონალი;</li> <li>მიწების გაყიდვა/გასხვისების არაგამჭვირვალე პროცესი;</li> <li>კერძო მესაკუთრეების დავა საზოგადოებრივ სივრცეებზე (მაგალითად, ლენჯერის და მუჟალის სკოლები);</li> <li>ტრადიციების / კულტურული მემკვიდრეობის დავიწყება;</li> <li>ბუნების ხელყოფა (ჰესები, ხე-ტყის ტრა);</li> <li>კატაკლიზმები/სტიქიური მოვლენები.</li> </ul>

**განათლება / კულტურა / სპორტი / ახალგაზრდობა / ჰანდაკვა – ამოცანები და სტრატეგიული აქტივობები**

**ამოცანა 2.1**

კულტურის / განათლების / სპორტისა და ახალგაზრდული ცენტრების ინფრასტრუქტურისა და პროგრამების განვითარების ხელშეწყობა მესტიის მუნიციპალიტეტის თემებში.

**დასაბუთება** – მესტიის მუნიციპალიტეტის თემებში საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული მომსახურებების მწვავე დეფიციტია. არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება შესაძლებელია ინფრასტრუქტურის განახლებითა და ისეთი პროგრამების შექმნით, რომლებსაც კვალიფიციური კადრები განახორციელებენ. ამის შედეგად, გაიზრდება ადგილობრივი მცხოვრებლების, ქალების, ხანდაზმულების, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების, განსაკუთრებით კი ახალგაზრდების დაინტერესება და ჩართულობა საზოგადოებრივ საქმიანობაში – სპორტულ, სახელოვნებო და საგანმანათლებლო აქტივობებში.

<b>სტრატეგიული აქტივობა 2.1.1</b>	
<b>სტრატეგიული აქტივობის დასახელება</b>	არსებული კულტურული / საგანმანათლებლო / სპორტული და ახალგაზრდული ცენტრების ინფრასტრუქტურის განახლებისა და ახალი ახალგაზრდული ობიექტების შექმნის ხელშეწყობა
<b>სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა</b>	აქტივობა უზრუნველყოფს არსებული მომსახურებების არეალის გაფართოებასა და ახალი შესაძლებლობების შექმნას ახალგაზრდების (გოგონებისა და ბიჭების) კულტურულ / საგანმანათლებლო / სპორტულ ღონისძიებებში ჩასართავად. აქტივობა შეიძლება მოიცავდეს აღჭურვილობით უზრუნველყოფას, არსებული ცენტრების განახლებასა და განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებისთვის ადაპტირებას, ახალი ობიექტების შექმნას.
<b>ძირითადი სამიზნე ჯგუფ(ებ)ი</b>	მესტიის მუნიციპალიტეტის თემებში მცხოვრები ბავშვები და ახალგაზრდები
<b>პასუხისმგებელი პირები/ორგანოები</b>	მესტიის LAG; მესტიის მუნიციპალიტეტის მერია
<b>ზემო სვანეთის LAG-ის პასუხისმგებლობა და როლი</b>	აქტივობის განხორციელება LAG-ის მიერ შესაძლებელია მოხდეს 3 გზით: 1) ინფრასტრუქტურის განახლებისა და ახალი ობიექტების შექმნის ადვოკატირება; 2) დონორების მოძიება; 3) თანადაფინანსება საგარანტო კონკურსის გზით LAG-ის ბიუჯეტიდან.
<b>ნებისმიერი პარტნიორი ორგანიზაცია</b>	მესტიის მუნიციპალიტეტის მერია; საგანმანათლებლო რესურსცენტრები; ადგილობრივი საგანმანათლებლო, ახალგაზრდული და კულტურული ობიექტები
<b>განხორციელების ვადა</b>	2020 – 2022წწ
<b>მოსალოდნელი შედეგები / ინდიკატორები და სამიზნეები</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• არსებული მომსახურებების სპექტრის არეალის გაფართოება;</li> <li>• ახალი ობიექტები, მათ შორის, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკები და ა.შ. შეიქმნა და ფუნქციონირებს, რომელიც პასუხობს მოწყვლადი ჯგუფების მოთხოვნებს;</li> <li>• ინფრასტრუქტურით სარგებლობენ ახალგაზრდები (გოგონები, ბიჭები, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირები და ა.შ.)</li> <li>• რეაბილიტირებული ობიექტების რაოდენობა;</li> <li>• ახალშექმნილი ობიექტების რაოდენობა;</li> <li>• გადაამზადებული თანამშრომლების (ქალები, მამაკაცები, გოგონები, ბიჭები, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირები და ა.შ.) რაოდენობა</li> <li>• დასაქმებული ადამიანების (ქალები, მამაკაცები, გოგონები, ბიჭები, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირები და ა.შ.) რაოდენობა</li> <li>• ადგილობრივ ბიუჯეტში კულტურული / საგანმანათლებლო / სპორტული და ახალგაზრდული ცენტრების ინფრასტრუქტურის განახლებისა და ახალი ახალგაზრდული ობიექტების შექმნისთვის გამოყოფილი თანხების წილის გაზრდილი მაჩვენებელი;</li> <li>• ახალგაზრდების (გოგონები, ბიჭები) გაზრდილი რაოდენობა, ვინც სარგებლობს ინფრასტრუქტურით.</li> <li>• სკოლამდელ და სასკოლო საფეხურზე ჩარიცხულ გოგონებსა და ბიჭებს შორის რაოდენობის სხვაობის შემცირება;</li> <li>• სპორტის სახეობებში სქესის ნიშნით სეგრეგაციის შემცირება;</li> <li>• მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდის სერვისით მოსარგებლე აღსაზრდელთა რაოდენობის შეფარდება ნ წლამდე ბავშვთა რაოდენობასთან;</li> <li>• მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების 9%, სადაც ფუნქციონირებს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება;</li> <li>• სპორტული და სახელოვნობო წრეებით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობის (ქალები, მამაკაცები, გოგონები, ბიჭები, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირები და ა.შ.) შეფარდება შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფის ახალგაზრდების რაოდენობასთან;</li> </ul>
<b>პრიორიტეტი</b>	<b>მაღალი</b>

<b>სტრატეგიული ამოცანა 2.1.2</b>	
<b>სტრატეგიული აქტივობის დასახელება</b>	ადგილობრივი მოსახლეობის, მათ შორის, ახალგაზრდების, ქალების, ხანდაზმულების, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების გაძლიერებისკენ მიმართული და მათი ინტეგრაციის ხელშეწყობი პროგრამებისა და ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა.
<b>სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა</b>	აქტივობა ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის, მათ შორის, ახალგაზრდების, ქალების, ხანდაზმულების, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების ინტერესებსა და საჭიროებებზე მორგებული საგანმანათლებლო პროგრამების შექმნას და/ან არსებული პროგრამების მასშტაბების გაზრდას. აქტივობა ასევე გულისხმობს ისეთი ღონისძიებების მხარდაჭერას, რომლებიც ორიენტირებული იქნება ახალგაზრდების, ქალების, ხანდაზმულების, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების გაძლიერებაზე, თავიანთი წვლილი შეიტანონ თემის სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკურ განვითარებაში და ხელი შეუწყონ განათლების, სპორტის კულტურის სფეროში არსებული გენდერული როლებისა და ნეგატიური სტერეოტიპების გადააზრებას.
<b>ძირითადი სამიზნე ჯგუფ(ებ)ი</b>	მესტიის მუნიციპალიტეტის თემებში მცხოვრები ადამიანები, მათ შორის, ახალგაზრდები, ქალები, ხანდაზმულები, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირები და სხვა მოწყვლადი ჯგუფები
<b>პასუხისმგებელი პირები/ორგანოები</b>	მესტიის LAG; მესტიის მუნიციპალიტეტის მერია
<b>ზემო სვანეთის LAG-ის პასუხისმგებლობა და როლი</b>	LAG-ის მიერ აღნიშნული აქტივობის განხორციელება შესაძლებელია მოხდეს შემდეგი გზებით: 1) მესტიის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების, ქალების, ხანდაზმულების, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების ინტერესებისა და ცოდნის მიღების მოტივაცია/დემოტივაციის განმსაზღვრელი ფაქტორების შესწავლა და ანალიზი; 2) ახალგაზრდების, ქალების, ხანდაზმულების, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების განმავითარებელი პროგრამებისა და ღონისძიებების განხორციელების ადვოკატირება; 3) პროფესიულ კოლეჯებთან აქტიური თანამშრომლობა სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების დროს; 4) დონორების მოძიება; 5) თანადაფინანსება საგრანტო კონკურსის გზით LAG-ის ბიუჯეტიდან.
<b>ნებისმიერი პარტნიორი ორგანიზაცია</b>	მესტიის მუნიციპალიტეტის მერია; ადგილობრივი სათემო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები; სკოლები; პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები
<b>განხორციელების ვადა</b>	2020 – 2022წწ
<b>მოსალოდნელი შედეგები / ინდიკატორები და სამიზნეები</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მესტიის მოსახლეობა, მათ შორის, ახალგაზრდები, ქალები, ხანდაზმულები, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირები და სხვა მოწყვლადი ჯგუფები;</li> <li>• გენდერულად მგრძობიარე კულტურული / საგანმანათლებლო / სპორტული პროგრამებისა და ღონისძიებების რაოდენობა მოსახლეობის (სეგრეგირებული სქესის, ასაკისა და სხვა ნიშნით) ვინც სარგებლობს ახალი/გაუმჯობესებული კულტურული / საგანმანათლებლო/სპორტული პროგრამებით;</li> <li>• რაოდენობა მოსახლეობის (სეგრეგირებული სქესის, ასაკისა და სხვა ნიშნით) ვინც დაასრულა პროფესიული გადამზადების პროგრამები და დასაქმდა;</li> <li>• რაოდენობა პროგრამების, ღონისძიებების, რომელიც სკოლის მიღმა დარჩენილი პირებისთვის არის მიმართული;</li> <li>• რაოდენობა საინფორმაციო კამპანიების, რომელიც ტექნიკური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით ქალების დაინტერესებისკენ არის მიმართული;</li> <li>• რაოდენობა პროგრამების, რომელიც ხანდაზმულების ინტეგრაციისკენ არის მიმართული;</li> <li>• რაოდენობა პროგრამების/ინიციატივების, რომელიც ნაადრევი ქორწინების პრევენციისკენ არის მიმართული და წაახალისებს განათლების სრულად მიღებას;</li> <li>• რაოდენობა ინიციატივების, რომელიც არსებული გენდერული როლებისა და სტერეოტიპების გადააზრებას წაახალისებს;</li> <li>• რაოდენობა გადამზადებული პედაგოგების (სეგრეგირებული სქესის, ასაკისა და სხვა ნიშნით);</li> <li>• მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების %, სადაც ხორციელდება შესაბამისი ახალგაზრდული პროგრამა;</li> <li>• ახალგაზრდული წრეებით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობის შეფარდება შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფის ახალგაზრდების რაოდენობასთან;</li> <li>• მესტიის მოსახლეობის წიგნიერების მაჩვენებლის გაუმჯობესება;</li> <li>• ახალგაზრდულ პროგრამებსა და ღონისძიებებში ჩართული მონაწილეების რაოდენობა.</li> </ul>
<b>პრიორიტეტი</b>	<b>მაღალი</b>

<b>სტრატეგიული აქტივობა 2.1.3</b>	
<b>სტრატეგიული აქტივობის დასახელება</b>	სვანური ტრადიციებისა და ენის პოპულარიზაციის ხელშეწყობა.
<b>სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა</b>	აქტივობა გულისხმობს სვანეთის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის (მაგალითად, სვანური ენა, მითოლოგია, სამზარეულო, ფოლკლორი, ქორეოგრაფია, მედიაციის ინსტიტუტი) აღორძინება-პოპულარიზაციას.
<b>ძირითადი სამიზნე ჯგუფ(ებ)ი</b>	მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა
<b>პასუხისმგებელი პირები/ორგანოები</b>	მესტიის LAG; მესტიის მუნიციპალიტეტის მერია; საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო.
<b>ზემო სვანეთის LAG-ის პასუხისმგებლობა და როლი</b>	LAG-მა აღნიშნული აქტივობა შესაძლოა განხორციელოს შემდეგი გზებით: 1) კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციისთვის LAG-ის ადამიანური და ორგანიზაციული რესურსის გამოყენება; 2) ადვოკატირების კამპანიის განხორციელება; 3) აღორძინება-პოპულარიზაციის ღონისძიებების თანადაფინანსება.
<b>ნებისმიერი პარტნიორი ორგანიზაცია</b>	მესტიის მუნიციპალიტეტის მერია; ადგილობრივი სათემო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები; საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
<b>განხორციელების ვადა</b>	2020 – 2022წწ
<b>მოსალოდნელი შედეგები / ინდიკატორები და სამიზნეები</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სვანეთის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ცნობადობა და ინტერესი გაზრდილია;</li> <li>• იდენტიფიცირებულია და გავრცელებულია ტრადიციები/თქმულებები/სიმღერები და სხვა არტეფაქტები, რომელიც გენდერულ ნორმებსა და სხვადასხვა ჯგუფის მიმართ არსებულ ნეგატიურ სტერეოტიპებს გადაიაზრებს და თანასწორობას წაახალისებს;</li> <li>• თემის ავტორიტეტული პირები თანასწორობას წაახალისებენ;</li> <li>• რაოდენობა ტრადიციების/თქმულებების/სიმღერებისა და სხვა არტეფაქტების, რომელიც სხვადასხვა ჯგუფის მიმართ არსებულ ნეგატიურ სტერეოტიპებს გადაიაზრებს და თანასწორობას წაახალისებს;</li> <li>• სვანეთის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ცნობადობის გაზრდის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების რაოდენობა;</li> <li>• ამ ღონისძიებებში მონაწილე ადამიანების (სეგრეგირებული სქესის, ასაკისა და სხვა ნიშნით) რაოდენობა;</li> <li>• წარმატების ისტორიები, რომელიც სვანურ ტრადიციებში/სიმღერებში/თქმულებებსა და სხვა არტეფაქტებში თანასწორობის წაახალისების მაგალითებს აჩვენებს;</li> <li>• სვანეთის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობით დაინტერესებული პირების რაოდენობა.</li> </ul>
<b>პრიორიტეტი</b>	<b>საშუალო</b>

## ამოცანა 2.2

ჯანდაცვის მომსახურებების განვითარების ხელშეწყობა მესტიის მუნიციპალიტეტში.

**დასაბუთება** – მესტიის მუნიციპალიტეტის თემებში სამედიცინო მომსახურების დაბალი ხარისხი პირდაპირ კავშირშია მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან და მის თანმდევ მიგრაციის პროცესებთან.<sup>19</sup> გარდა ამისა, მუნიციპალიტეტში არ არის სტომატოლოგის მომსახურება. ასევე, ექსტრემალური ტურიზმის გაზრდილი პოპულარობის კვალდაკვალ, გაიზარდა ტრავმატოლოგის მომსახურების საჭიროებაც. რეანომობილის არარსებობა, ასევე, ჯანმრთელობისთვის სერიოზული საფრთხეების / რისკების წინაშე ტოვებს როგორც ადგილობრივ მოსახლეობას, ასევე ტურისტებს. მუნიციპალიტეტში არ არის 24 საათიანი აფთიაქი.

<sup>19</sup> მესტიის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი 2016



<b>სტრატეგიული აქტივობა 2.2.1</b>	
<b>სტრატეგიული აქტივობის დასახელება</b>	მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის მომსახურებების განვითარების ხელშეწყობა და ახალი მომსახურებების შექმნა.
<b>სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა</b>	აქტივობა გულისხმობს მესტიის მუნიციპალიტეტში არსებული და დეფიციტური სამედიცინო მომსახურებების განვითარების ხელშეწყობას.
<b>ძირითადი სამიზნე ჯგუფ(ებ)ი</b>	მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა, განსაკუთრებით ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ადამიანები, სოციალურად დაუცველი პირები და სხვა მოწყვლადი ჯგუფები.
<b>პასუხისმგებელი პირები/ორგანოები</b>	ჯანდაცვის სამინისტრო; მესტიის მუნიციპალიტეტის მერია; მესტიის LAG
<b>ზემო სვანეთის LAG-ის პასუხისმგებლობა და როლი</b>	LAG-ის მიერ აღნიშნული აქტივობის განხორციელება შესაძლებელია: 1) ადვოკატირების მექანიზმების გამოყენებით; 2) თანადაფინანსების უზრუნველყოფით; 3) კერძო სექტორთან აქტიური თანამშრომლობით (მაგალითად, აფთიაქების ქსელებთან შუამდგომლობით).
<b>ნებისმიერი პარტნიორი ორგანიზაცია</b>	მესტიის მუნიციპალიტეტის მერია; ჯანდაცვის სამინისტრო; სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი; ჯანდაცვის მომსახურებების კერძო პროვაიდერები.
<b>განხორციელების ვადა</b>	2020 – 2022წწ
<b>მოსალოდნელი შედეგები / ინდიკატორები და სამიზნეები</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ჯანდაცვის ინფრასტრუქტურისა და ახალი მიმართულებების განვითარების შედეგად, მოსახლეობის (მათ შორის, ქალების, ახალგაზრდების, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების) ხელმისაწვდომობა ხარისხიან სამედიცინო მომსახურებაზე გაზრდილია;</li> <li>• განახლებული ჯანდაცვის ცენტრების რაოდენობა;</li> <li>• შობადობის გაზრდილი მაჩვენებელი;</li> <li>• სიკვდილიანობის შემცირებული მაჩვენებელი;</li> <li>• სამედიცინო დაწესებულებების მიმართვიანობის გაზრდილი მაჩვენებელი (სეგრეგირებული სქესის, ასაკისა და სხვა ნიშნით) პაციენტების (ქალების, მამაკაცების, ახალგაზრდებისა და ა.შ) კმაყოფილების ხარისხი;</li> <li>• ქალების გაუმჯობესებული ხელმისაწვდომობა მშობიარობასთან დაკავშირებულ სერვისებთან;</li> <li>• პრენატალური და პოსტნატალური სერვისების რაოდენობა და ხარისხი;</li> <li>• რაოდენობა ქალების და მამაკაცების, ვისაც აქვს გაუმჯობესებული ცოდნა რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე და ოჯახის დაგეგმვის სტრატეგიებზე;</li> <li>• პრევენციული სამედიცინო შემოწმებების უფასო პროგრამების რაოდენობა, განსაკუთრებით საფრთხისშემცველ სამუშაო პირობებში მყოფი ჯგუფებისთვის.</li> <li>• ახალი ჯანდაცვის მომსახურებების რაოდენობა;</li> <li>• განახლებული / ახალი მომსახურებებით მოსარგებლე პირების მაჩვენებელი.</li> </ul>
<b>პრიორიტეტი</b>	<b>მაღალი</b>

## 5. ტურიზმი

### 5.1. ეროვნული კონტექსტი

ბოლო წლებში საქართველოში საერთაშორისო ტურისტების რაოდენობა გაიზარდა და 2018 წელს ამ რიცხვმა რეკორდულ მაჩვენებელს, 8.7 მილიონს მიაღწია, რაც 2017 წლის ვიზიტებს 9,8 %-ით აღემატება.<sup>20</sup> რაც შეეხება 2019 წელს, II და III კვარტლებში, საქართველოში 5.6 მილიონი უცხოელი ტურისტის ვიზიტი დაფიქსირდა, 8.5%-ით მეტი წინა წლის იგივე პერიოდთან შედარებით.<sup>21</sup>

2018 წლის მონაცემებით,<sup>22</sup> საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებულ ვიზიტებში უმეტესი წილი, 77.3% მეზობელ ქვეყნებს უკავიათ, მხოლოდ 22.7% მოდის სხვა ქვეყნებზე. თუმცა, ბოლო წლების სტატისტიკა აჩვენებს, რომ არამეზობელი ქვეყნებიდან ვიზიტების რაოდენობა უფრო სწრაფად იზრდება (+18.1%) მეზობელ ქვეყნებთან შედარებით (+9.8%). ყველაზე პოპულარული ზაფხულის სეზონია, 2.5 მილიონი ვიზიტი, რაც მთლიანი ვიზიტების 34.6%-ს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ 2018 წელს შემოსული ტურისტების 53.7% პირველად იყო საქართველოში, 46.3% კი განმეორებითი ვიზიტით იმყოფებოდა. საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებულ აქტივობებში შოპინგი (67%), ქართული სამზარეულოს/ღვინის დაგემოვნება (66.6%) და ღირსშესანიშნაობების მონახულება (42.4%) გამოირჩევა.

მონახულებულ ქალაქებს შორის კი პირველ ადგილზეა თბილისი (52.3%), რომელსაც მოსდევს ბათუმი (29%), მარნეული (11.7%), მცხეთა (9.9%) და ყაზბეგი (8.9%). მესტია 1.3%-ით მე-19 ადგილს იკავებს. განთავსების საშუალებებიდან საერთაშორისო ტურისტების ყველაზე დიდმა ნაწილმა ისარგებლა სასტუმროთი (39.6%), მეგობრის/ნათესავის სახლით (26.5%), სასტუმროთი, სახლი/პოსტელით (12.7%) და ნაქირავები ბინით (11.7%).

### 5.2. ტურიზმი სამეგრელო – ზემო სვანეთში

სამეგრელო-ზემო სვანეთს აქვს ტურიზმის განვითარების მძლავრი პოტენციალი, რაც განპირობებულია შემდეგი ფაქტორების ერთობლიობით – კოლხეთისა და სვანეთის უძველესი კულტურა, უნიკალური კულტურულ-ისტორიული ძეგლები, მუზეუმები, მღვიმეები და გამოქვაბულები, საჯომარდო და საპიკნიკო ადგილები, რეგიონის გეოგრაფიული თავისებურება (ლანდშაფტური მონაპოვო და ბიოლოგიური მრავალფეროვნება), ზემო სვანეთის მყინვარები, შავი ზღვის აკვატორია და განვითარებადი საკურორტო ზონები.

ზემოთ ჩამოთვლილი რესურსების მრავალფეროვნება განსაკუთრებულ პირობებს ქმნის სხვადასხვა სახის ტურიზმის განვითარებისთვის – სავტომობილო, საცხენოსნო, საფეხმავლო, ეკოტურიზმი, საზღვაო-სანაოსნო, სამდინარო-სანაოსნო, სამთო-სათხილამურო, პილიგრიმული, ექსტრემალური, შემეცნებითი, აგროტურიზმი, სამოყვარულო თევზჭერა, ფრინველებზე დაკვირვება.

ზემო სვანეთის არაჩვეულებრივი ლანდშაფტი, ბოლო წლებში განვითარებულ ინფრასტრუქტურასთან ერთად, იზიდავს როგორც ადგილობრივ, ასევე შემოსულ ვიზიტორებს. 2018 წლის მონაცემებით, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში 485 განთავსების საშუალებაა, 2961 ოთახითა და 7446 საწოლით.

ცხრილი №22 – ვიზიტორების რაოდენობა სამეგრელო – ზემო სვანეთში 2015-2019 წლებში.

სამეგრელო – ზემო სვანეთი	2015	2016	2017	2018	2019
შიდა ვიზიტორები	1,008,344	978,424	928,609	917,972	484,859 <sup>23</sup>
გარე ვიზიტორები	170,618	182,777	230,891	151,350	160,904 <sup>24</sup>

წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

### 5.3. ტურიზმი მესტიის მუნიციპალიტეტში

ტურიზმი შეიძლება ჩაითვალოს მესტიის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის წამყვან დარგად. ბოლო წლებში სატრანსპორტო, კომუნალური და სამთო-სათხილამურო ინფრასტრუქტურის განვითარების შედეგად, ტურისტული სეზონი აქ მთელი წლის განმავლობაში გრძელდება. განსაკუთრებული პოპულარულობით გამოირჩევა ტურიზმის ისეთი სახეობები, როგორცაა: სამთო მოგზაურობა, კულტურული ტურები, ექსტრემალური ტურიზმი და ეკო ტურიზმი.

<sup>20</sup> [https://www.geostat.ge/media/9294/ucxoel-vizitorta-statistika\\_2018.pdf](https://www.geostat.ge/media/9294/ucxoel-vizitorta-statistika_2018.pdf)

<sup>21</sup> <https://www.geostat.ge/media/25473/ucxoel-vizitorta-statistika-14.08.2019-%28geo%29.pdf>  
<https://www.geostat.ge/media/27704/ucxoel-vizitorta-statistika-14.11.2019-%28geo%29.pdf>

2018 წლის I კვარტლის მონაცემები ხელმისაწვდომი არ არის, ამიტომ შედარებულია მხოლოდ II და III კვარტლები

<sup>22</sup> <https://gnta.ge/wp-content/uploads/2019/08/prezentacia-2018.pdf>

<sup>23</sup> 2019 წლის I და II კვარტლის მონაცემები

<sup>24</sup> 2019 წლის I, II და III კვარტლის მონაცემები

სვანეთის კავკასიონზე ზამთარ-ზაფხულ თოვლით დაფარული მრავალი მწვერვალია. მათ შორის გამოირჩევა შხარა (საქართველოს ყველაზე მაღალი მწვერვალი, 5203 მ), თეთნულდი (4858 მ) და უშბა (4700 მ).

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არის შემდეგი ზამთრის კურორტები: „უშგული“, სამთო-სათხილამურო კურორტი „ჭაწვალი“ – ნკმ-იანი სათხილამურო ტრასით. სამთო-სათხილამურო კურორტი „თეთნულდი“ – ამიერკავკასიაში ყველაზე გრძელი (9,5 კმ) და ყველაზე დიდი ვერტიკალური ვარდნის მქონე (1,7 კმ). თეთნულდს ერთდროულად 6,806 დამსვენებლის მიღება შეუძლია.

მესტიის მუნიციპალიტეტში 28 გიდია<sup>25</sup>, რომლებსაც გავლილი აქვთ გადამზადების სერტიფიცირებული კურსები, ფლობენ ინგლისურ და რუსულ ენებს. აღსანიშნავია, რომ 28 სერტიფიცირებული გიდიდან 2 ქალია. აღსანიშნავია ასევე საცხენოსნო ტურებიც, რომლებიც სულ უფრო მეტ პოპულარობას იძენს. ამ სფეროში ასამდე ახალგაზრდა დასაქმებული 9 სხვადასხვა თემიდან.

2019 წელს CRRC Georgia-ს მიერ ზემო სვანეთში ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მოსახლეობის 16,3% ჩართულია ტურისტულ საქმიანობაში. ჩართულობის განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებელია მესტიასა (36,8%) და უშგულში (36,4%) (იხ. ცხრილი №23). 2019 წლის პირველ სამ კვარტალში მესტიასა და უშგულში საერთაშორისო ტურისტების 118,760 ვიზიტი დაფიქსირდა, რაც აღემატება 2018 წლის ჯამურ რაოდენობას (89,081). ბოლო წლებში მესტიის მუნიციპალიტეტში განხორციელებული ვიზიტების დეტალური მონაცემები იხილეთ ცხრილებში №24 და №25.

2018 წელს მესტიის ტურიზმის ცენტრის მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული იყო სულ 425 განთავსების საშუალება, მათ შორის, 402 სასტუმრო სახლი, 19 სასტუმრო, 3 ჰოსტელი და ზამთრის კურორტი „თეთნულდი“, რომელიც ჯამში 3550 საწოლს მოიცავს. აღსანიშნავია, რომ სასტუმროს მეპატრონეებს შორის 28.7% ქალია. 2020-2021 წლებში დაგეგმილია 9 სასტუმროს მშენებლობა, რის შემდეგაც დამატებით 711 საწოლი შეემატება მესტიის მუნიციპალიტეტს ტურისტების განსათავსებლად.

## ტურიზმი - SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> <li>• ბუნებრივი რესურსები და ღირებულებები;</li> <li>• ტრადიციული კერძები და მათი დამზადების ტექნოლოგია;</li> <li>• კულტურული და ისტორიული ძეგლები;</li> <li>• ადგილმდებარეობა;</li> <li>• მრავალფეროვანი მარშრუტების დაგეგმვის შესაძლებლობა;</li> <li>• ოთხსეზონიანი ტურისტული აქტივობები;</li> <li>• ალპინიზმი;</li> <li>• „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის არსებობა</li> <li>• უფასო ელექტროენერგია;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• გაუმართავი ინფრასტრუქტურა და გზები;</li> <li>• სუსტი ელექტროენერგია;</li> <li>• ენობრივი ბარიერი;</li> <li>• ადგილობრივად წარმოებული, ნატურალური პროდუქტის სიმცირე;</li> <li>• საზოგადოებრივი საპირფარეშოების არარსებობა;</li> <li>• ბილიკებზე მარკირების არარსებობა;</li> <li>• ინფორმაციის დეფიციტი;</li> <li>• უკონტროლო მშენებლობები;</li> <li>• მოუწესრიგებელი სატრანსპორტო სისტემა;</li> <li>• ნაგავსაყრელების არარსებობა;</li> <li>• დაბალი ცნობადობა.</li> </ul>
შესაძლებლობები	საფრთხეები
<ul style="list-style-type: none"> <li>• გზებისა და ინფრასტრუქტურის განვითარება;</li> <li>• საოჯახო სასტუმროების რაოდენობის გაზრდა და მათი კეთილმოწყობა;</li> <li>• ახალი საფეხმავლო, ველო და საცხენოსნო ტურების დაგეგმვა;</li> <li>• საზოგადოებრივი ტრანსპორტის სერვისის დაწესება, რომელიც გაამარტივებს სხვადასხვა თემების სოფლებს შორის გადაადგილებას;</li> <li>• სოფლის მეურნეობის განვითარება და სავარგულების შექმნა, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივების მიერ სამეურნეო საქმიანობის წამოწყებას და შესაძლებელი გახდება სასტუმროებისა და რესტორნების ნატურალური პროდუქტით მომარაგება, ეკოტურიზმი;</li> <li>• ადგილობრივ მეწარმეთა გადამზადება, რაც სამომავლოდ განაპირობებს სხვადასხვა სერვისის დახვეწასა და ხარისხის ამაღლებას.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ტრადიციული და თანამედროვე სასტუმრო ინდუსტრიის შერწყმა;</li> <li>• ავთენტურობისა და კულტურული იდენტობის საფრთხეებთან დაკავშირებული რისკები;</li> <li>• ადგილობრივი მომსახურების გამოცდილების, ვიზიტორთა მოლოდინებისა და მოთხოვნების გაგების ნაკლებობა, რაც იწვევს ტურისტების დაკარგვას;</li> <li>• კლიმატური ცვლილებები, რამაც შეიძლება გაართულოს ტურისტების მოზიდვა;</li> <li>• ბუნებრივი კატასტროფები;</li> <li>• ქაოსური, არარეგისტრირებული, სვანური არქიტექტურისა და ლანდშაფტისათვის შეუსაბამო მშენებლობა;</li> <li>• გამოუცდელი, არაკვალიფიციური კადრები (გიდები, სასტუმრო და სარესტორნო ბიზნესში ჩართული ადამიანები);</li> </ul>

<sup>25</sup> ENPARD III/Mestia პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევა: „რესურსების, დაინტერესებული მხარეების, პროგრამების, პოლიტიკის და პროექტების რუქა მესტიის მუნიციპალიტეტში“. 2019 წელი.

# ტურიზმი – ამოსანები და სტრატეგიული აქტივობები

## ამოსანა 3.1

მესტიის მუნიციპალიტეტის თემებში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა.

დასაბუთება – ზემო სვანეთის ბევრ თემში ისტორიულ-კულტურული ძეგლები, ტურისტული და საგზაო ინფრასტრუქტურაც მდგომარეობაშია, რაც დაბრკოლებებს უქმნის როგორც ტურისტებს, ასევე ადგილობრივ მოსახლეობას. სახელმწიფოს მხრიდან მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების კვალდაკვალ (მაგ.: სოფლებს შორის დამაკავშირებელი გზები, ინტერნეტი), მნიშვნელოვანია შეიქმნას კულტურულ-ისტორიული ძეგლების მოვლა-პატრონობის სისტემა და განვითარდეს ტურისტული მომსახურებები – მარკირებები (რეკომენდებულია როგორც ბილიკების, ასევე საჯომარდო და საკაიაკე ტრასების მარკირება), კემპინგის პუნქტები, სწრაფი კვების ობიექტები, განთავსების საშუალებები და სხვა. აღნიშნული აქტივობების შედეგად მოხდება ტურისტული მარშრუტების დივერსიფიკაცია, რაც გამოიწვევს ვიზიტორების კმაყოფილებას და, შესაბამისად, მათი რაოდენობის ზრდას.

სტრატეგიული აქტივობა 3.1.1	
სტრატეგიული აქტივობის დასახელება	მესტიის მუნიციპალიტეტის თემებში კულტურულ-ისტორიული ძეგლების კონსერვაციისა და მოვლა-პატრონობისათვის მიზნობრივი პროექტების ხელშეწყობა
სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა	ზემო სვანეთში არსებობს ბევრი კულტურულ-ისტორიული ნაგებობა, რომელთა ნაწილი საჭიროებს დაცვასა და კონსერვაციას. საჭიროა მათი მოვლა-პატრონობის სწორად დაგეგმვა და განხორციელება.
ძირითადი სამიზნე ჯგუფ(ებ)ი	კულტურული ნაგებობების ვიზიტორები
პასუხისმგებელი პირები/ორგანოები	მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ტურიზმის განვითარების სამსახური, მუნიციპალიტეტის თემები, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო.
ზემო სვანეთის LAG-ის პასუხისმგებლობა და როლი	კულტურულ-ისტორიული ძეგლების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოგროვება, მოსახლეობის ჩართულობის უზრუნველყოფა ძეგლების კონსერვაციის პროცესში, მოვლა-პატრონობის აქტივობების ხელშეწყობა.
ნებისმიერი პარტნიორი ორგანიზაცია	საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია და სხვადასხვა კერძო ორგანიზაციები.
განხორციელების ვადა	2020 – 2022წწ
მოსალოდნელი შედეგები / ინდიკატორები და სამიზნეები	<ul style="list-style-type: none"> <li>• კულტურულ-ისტორიული ძეგლები კონსერვირებულია/რეაბილიტირებულია და ვიზიტორთა რაოდენობა გაზრდილია;</li> <li>• კონსერვირებული/რეაბილიტირებული კულტურულ-ისტორიული ძეგლების რაოდენობა;</li> <li>• კონსერვირებული/რეაბილიტირებული კულტურულ-ისტორიული ძეგლების რაოდენობა, რომელიც LAG-ის წევრების (ქალების, მამაკაცების, ახალგაზრდებისა და ა.შ.) ადვოკატირების შედეგად გაკეთდა;</li> <li>• კონსერვირება/რეაბილიტაციაში ჩართული პირების რაოდენობა (სეგრევირებული ასაკის, სქესისა და სხვა ნიშნებით) და შემოსავალი (სეგრევირებული ასაკის, სქესისა და სხვა ნიშნებით);</li> <li>• კულტურულ-ისტორიული ძეგლების მიმართ ვიზიტორთა გაზრდილი ინტერესი და მათ მოსახლეობებზე მისული დამთავალიერებლების გაზრდილი რაოდენობა (სეგრევირებული სქესის, ასაკისა და სხვა ნიშნებით);</li> <li>• ტურიზმიდან მიღებული გაზრდილი შემოსავალი მოსახლეობისთვის თითო სულზე.</li> </ul>
პრიორიტეტი	მაღალი



<b>სტრატეგიული აქტივობა 3.1.2</b>	
სტრატეგიული აქტივობის დასახელება	მესტიის მუნიციპალიტეტის თემებში არსებული ტურისტული მარშრუტების მარკირების ხელშეწყობა.
სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა	ტურისტული მარშრუტები ყოველწლიურად საჭიროებს მარკირებას, რათა მოხდეს მათი დივერსიფიკაცია. განსაკუთრებით საგულისხმოა საფეხმავლო მარშრუტების მარკირება.
ძირითადი სამიზნე ჯგუფ(ებ)ი	ტურისტულ მარშრუტებზე მოძრავი ადგილობრივი და უცხოელი ტურისტები.
პასუხისმგებელი პირები/ორგანოები	მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ტურიზმის განვითარების სამსახური, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტრო; ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი;
ზემო სვანეთის LAG-ის პასუხისმგებლობა და როლი	თემების მოსახლეობისგან მაქსიმალური ინფორმაციის მიღება აღნიშნული ძეგლების მდგომარეობის შესახებ და მათი ჩართულობა კულტურულ-ისტორიული ძეგლების კონსერვაციის პროცესში.
ნებისმიერი პარტნიორი ორგანიზაცია	საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, ეკოტურიზმის ასოციაცია; საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტრო.
განხორციელების ვადა	2020 – 2022წწ
მოსალოდნელი შედეგები / ინდიკატორები და სამიზნეები	<ul style="list-style-type: none"> <li>• ტურისტული მარშრუტები მარკირებულია და ბილიკების უსაფრთხოება უზრუნველყოფილია;</li> <li>• მარკირებული ტურისტული მარშრუტები და უსაფრთხო ტურისტული ბილიკები არსებობს;</li> <li>• არის მარკირებული ტურისტული მარშრუტების რაოდენობა, რომელიც LAG-ის წევრების (ქალების, მამაკაცების, ახალგაზრდებისა და ა.შ.) ადვოკატირების შედეგად გაკეთდა;</li> <li>• გაზრდილია მარკირებაში ჩართული პირების რაოდენობა (სეგრევირებული ასაკის, სქესისა და სხვა ნიშნებით) და შემოსავალი (სეგრევირებული ასაკის, სქესისა და სხვა ნიშნებით);</li> <li>• გაზრდილია მარკირებული მარშრუტებით მოსარგებლე ვიზიტორთა რაოდენობა;</li> <li>• ტურიზმიდან მიღებულია გაზრდილი შემოსავალი თითო სულზე.</li> </ul>
პრიორიტეტი	მაღალი

<b>სტრატეგიული აქტივობა 3.1.3</b>	
სტრატეგიული აქტივობის დასახელება	ტურისტულად ნაკლებად განვითარებულ ადგილებში ტურისტული ობიექტების შექმნისა და გაფართოების ხელშეწყობა.
სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა	განთავსების საშუალებების, კვების მომსახურებების, კემპინგის პუნქტებისა და სხვა ტურისტული ობიექტების შექმნა, არსებული სერვისების მასშტაბების გაზრდა.
ძირითადი სამიზნე ჯგუფ(ებ)ი	ადგილობრივი და საერთაშორისო ტურისტები
პასუხისმგებელი პირები/ორგანოები	მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ტურიზმის განვითარების სამსახური, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტრო; ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი.
ზემო სვანეთის LAG-ის პასუხისმგებლობა და როლი	ახალი ტურისტული ობიექტების შექმნისა და არსებული ობიექტების გაფართოების თანადაფინანსება.
ნებისმიერი პარტნიორი ორგანიზაცია	საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტრო.
განხორციელების ვადა	2020 – 2022წწ
მოსალოდნელი შედეგები / ინდიკატორები და სამიზნეები	<ul style="list-style-type: none"> <li>• ახალი და განახლებული (გაფართოებული) ტურისტული ობიექტების რაოდენობა გაზრდილია;</li> <li>• ქალების საკუთრებაში არსებული ტურისტული ობიექტების რაოდენობა გაზრდილია;</li> <li>• გაზრდილია ახალი ტურისტული ობიექტების რაოდენობა;</li> <li>• არსებობს ქალებისთვის შემოსავლის ზრდის პერსპექტივა;</li> <li>• გაზრდილია ტურისტულ ობიექტებში დასაქმებული ადამიანების (ქალები, მამაკაცები, ახალგაზრდები და ა.შ.) რაოდენობა;</li> <li>• შეინიშნება მაღალანაზღაურებად პოზიციებზე ქალების რაოდენობის ზრდა;</li> <li>• გაზრდილია ახალი ობიექტებით მოსარგებლე ტურისტების რაოდენობა;</li> <li>• გაზრდილია ტურისტული ბიზნესების მეპატრონეთა შემოსავალი.</li> </ul>
პრიორიტეტი	მაღალი

**ამოცანა 3.2**

მესტიის მუნიციპალიტეტში ინოვაციური ტურისტული და სხვა არასასოფლო სამეურნეო ბიზნესის/პროდუქტების/სერვისების შექმნის ხელშეწყობა.

**დასაბუთება** – ტურისტული მომსახურებების გამრავალფეროვნებისა და შემოსავლების გაზრდის მიღების მიზნით, მნიშვნელოვანია ისეთი ინოვაციური ტურისტული პროდუქტების შექმნა და განვითარება, როგორცაა: ექსტრემალური ტურიზმი, გასტრონომიული, აგრო, ინკლუზიური და ეკოტურიზმი, სხვა ინოვაციური მიმართულებები.

ექსტრემალური ტურიზმი სვანეთში ტურიზმის ერთ-ერთი სწრაფად განვითარებადი სახეობაა. იგი მოიცავს ველოტურებს, ჯომარდობას, ჯირითს, პარაპლანით ფრენას, სამთო-სათხილამურო სპორტის სახეობებს. აქ შესაძლებელია მოიაზროდეს ინფრასტრუქტურის მოწყობა სათხილამურო ტრასებზე (ტრამპლინები, სხვადასხვა სირთულის დაბრკოლებები), ზიპლაინის კონსტრუქციის შექმნა, ველო ბილიკებისა და პარაპლანისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნის ხელშეწყობა. ტრადიციული ექსტრემალური სპორტის სახეობების (მეკლდეურობა, ალპინიზმი) განვითარება ალპინიზმისა და მეკლდეურობის შემსწავლელი სკოლების ხელშეწყობითა და პოპულარიზაციით.

ინკლუზიური ტურიზმი მსოფლიოში და, მათ შორის, საქართველოშიც ტურიზმის სწრაფად განვითარებადი და მოთხოვნადი სახეობაა, რომელიც განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებისთვის ტურისტული პაკეტების, ინფრასტრუქტურისა და რესურსების ხელმისაწვდომობას გულისხმობს.

აგრო და ეკოტურიზმის განვითარება მნიშვნელოვნად გაზრდის ტურიზმიდან მიღებულ შემოსავალს. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია ადგილობრივი სოფლის პროდუქციის წარმოების ხელშეწყობა, რაც არსებული კვების ობიექტების ძირითად ნედლეულს უნდა წარმოადგენდეს. შესაძლებელია შინამეურნეობების მხარდაჭერა ტექნოლოგიებითა და ცოდნით, რათა მათ შეძლონ ტურისტებისთვის ხარისხიანი პროდუქტის შეთავაზება. ადგილობრივი პროდუქციის პოპულარიზაცია შესაძლებელია ორი ძირითადი მიმართულების საფუძველზე:

1. ეკოლოგიურად სუფთა, ბიოპროდუქტებით შექმნილი ადგილობრივი სამზარეულო;
2. უძველესი ტრადიციული ადგილწარმოშობის კერძები.

გასტრონომიული ტურიზმის განსავითარებლად საჭიროა: მოსახლეობის ინფორმირება, გასტრონომიული ტურების, როგორც მნიშვნელოვანი ტურისტული პროდუქტის, შეთავაზება ტურისტებისთვის, მათთვის მასტერკლასების მოწყობა და გასტრონომიული ფესტივალების ორგანიზება.

სტრატეგიული ამოცანა 3.2.1	
<b>სტრატეგიული აქტივობის დასახელება</b>	ექსტრემალური, გასტრონომიული, აგრო, ეკო, ინკლუზიური ტურიზმისა და ასევე სხვა არასასოფლო სამეურნეო ბიზნესის/მომსახურებების გაფართოებისა და შექმნის ხელშეწყობა.
<b>სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა</b>	ისეთი ინიციატივების მხარდაჭერა, რომლებიც ტურიზმის დივერსიფიცირებული სახეობების განვითარებას უწყობს ხელს. ძველი ტრადიციული მიდგომების ინოვაციური განახლება. ტურები, რომლებიც ხელს შეუწყობს ტყისა და, ზოგადად, ბუნებრივი ლანდშაფტის განვითარებას. გაზრდის ადგილობრივი გიდეებისა და ტურისტების, ასევე სხვა დაინტერესებული პირების ცნობადობას ტყის მასივების, მახასიათებლების, ტყის შენახვა-განვითარების სფეროში (მაგალითად: „ტყის ტური“, „მდინარის ტური“).
<b>ძირითადი სამიზნე ჯგუფ(ებ)ი</b>	ტურისტულ საქმიანობაში ჩართული ან ტურიზმით დაინტერესებული თემის მცხოვრებლები, ასევე, სხვადასხვა მეწარმეები და მეწარმეობით დაინტერესებული პირები, რომელთა საქმიანობა შესაძლოა პირდაპირ არ იყოს დაკავშირებული ტურიზმთან, თუმცა ემსახურებოდეს ეკონომიკურ განვითარებას.
<b>პასუხისმგებელი პირები/ორგანოები</b>	მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ტურიზმის განვითარების სამსახური, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.
<b>ზემო სვანეთის LAG-ის პასუხისმგებლობა და როლი</b>	საგრანტო პროგრამის ფარგლებში, შესაბამისი ტურისტული მომსახურებების შექმნის თანადაფინანსება.
<b>ნებისმიერი პარტნიორი ორგანიზაცია</b>	ფერმერთა ასოციაცია, ეკოტურიზმის ასოციაცია
<b>განხორციელების ვადა</b>	2020 – 2022წწ

<b>მოსალოდნელი შედეგები / ინდიკატორები და სამიზნეები</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ტურისტული მომსახურებები დიფერსიფიცირებულია, ახალი, ინოვაციური ტურისტული პროდუქტები შექმნილი და განვითარებულია;</li> <li>• ექსტრემალური, გასტრონომიული, აგრო, ეკო, ინკლუზიური ტურიზმისა და სხვა ინოვაციური ტურისტული მომსახურებების რაოდენობა გაზრდილია;</li> <li>• ინკლუზიური ტურისტული პაკეტების რაოდენობა გაზრდილია (მათ შორის, ადაპტირებული ლოკაციების, სიმულაციური არტეფაქტებისა და ა.შ.);</li> <li>• განსაკუთრებული საჭიროების მქონე ვიზიტორებისა და ინკლუზიური ტურისტული პაკეტებით მოსარგებლე პირების რაოდენობა გაზრდილია (სეგრეგირებული სექსის, ასაკისა და სხვა ნიშნებით);</li> <li>• განსაკუთრებული საჭიროების მქონე ვიზიტორები კმაყოფილებას გამოხატავენ;</li> <li>• ახალი/განახლებული ტურისტული მომსახურებებით მოსარგებლე ტურისტების რაოდენობა გაზრდილია (მათ შორის, ქალები, მამაკაცები, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირები და ა.შ.);</li> <li>• ახალი ტურისტული მომსახურების მიწოდებაში ჩართული ადამიანების რაოდენობა გაზრდილია (სეგრეგირებული სექსის, ასაკისა და სხვა ნიშნით);</li> <li>• ახალი საწარმოები შექმნილია;</li> <li>• არსებული საწარმოები გაფართოებულია.</li> </ul>
<b>პრიორიტეტი</b>	<b>მაღალი</b>

### ამოცანა 3.3

მესტიის მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული მომსახურებების ტექნიკური შესაძლებლობების გაუმჯობესების ხელშეწყობა და სფეროსთვის სამუშაო ძალის განვითარება.

**დასაბუთება** – არსებული ტურისტული პოტენციალის ასათვისებლად და ზემო სვანეთის, როგორც უნიკალური ტურისტული ზონის, პოპულარობის გასაზრდელად აუცილებელია კომპლექსური ღონისძიებების გატარება. ერთის მხრივ, საჭიროა არსებული რესურსების შესახებ ცნობადობის გაზრდა საერთაშორისო დონეზე, გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ენების შესწავლა და კვალიფიკაციის ამაღლება თეორიული ცოდნის მიღებით და პრაქტიკული უნარების ათვისებით ტურისტული მომსახურების სფეროში ჩართული პირებისთვის, კერძოდ, გიდებისთვისა და მასპინძლებისთვის. ასევე, შესაძლებლობების განსავითარებლად მიზანშეწონილია ტექნოლოგიური სიახლეებისა და „ნოუჰაუების“ ინტეგრირება ტურისტულ ბიზნესებში.

<b>სტრატეგიული აქტივობა 3.3.1</b>	
<b>სტრატეგიული აქტივობის დასახელება</b>	მესტიის მუნიციპალიტეტის 17-ვე ტერიტორიულ ერთეულის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაცია.
<b>სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა</b>	გენდერულად მგრძობიარე მარკეტინგული კამპანიების, ფესტივალების, პრესტურების ორგანიზებისა ან ნებისმიერი ისეთი ინიციატივის მხარდაჭერა, რომელიც ორიენტირებული იქნება ზემო სვანეთის ტურისტული პოტენციალის წარმოჩენაზე. ასევე, ადგილობრივი პროდუქტის ბრენდირება და წარმატებული ისტორიების შესახებ ინფორმაციის გავრცელება.
<b>ძირითადი სამიზნე ჯგუფ(ებ)ი</b>	თემის ტურისტულ საქმიანობაში ჩართული მოსახლეობა.
<b>პასუხისმგებელი პირები/ორგანოები</b>	მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ტურიზმის განვითარების სამსახური, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი.
<b>ზემო სვანეთის LAG-ის პასუხისმგებლობა და როლი</b>	LAG-ს, ერთი მხრივ, თავად შეუძლია პოპულარიზაციის კამპანიის დაგეგმვა/განხორციელება და, მეორე მხრივ, შესაძლებელია მსგავსი ინიციატივების დაფინანსება.
<b>ნებისმიერი პარტნიორი ორგანიზაცია</b>	სარეკლამო ორგანიზაციები, ჟურნალისტთა ასოციაციები და ქსელები.
<b>განხორციელების ვადა</b>	2020-2022 წწ

მოსალოდნელი შედეგები / ინდიკატორები და სამიზნეები	<ul style="list-style-type: none"> <li>• ზემო სვანეთის, განსაკუთრებით კი ნაკლებად პოპულარული ტურისტული ლოკაციების, შესახებ ცნობადობა გაზრდილია როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ტურისტებს შორის;</li> <li>• პოპულარიზაციაზე ორიენტირებული გენდერულად მგრძობიარე კამპანიების/ ლონისძიებების რაოდენობა და მასშტაბი გაზრდილია;</li> <li>• საინფორმაციო კამპანიაში მონაწილე ადამიანების რაოდენობა (სქესის, ასაკისა და სხვა ნიშნით სეგრეგირებული) გაზრდილია;</li> <li>• მედიაპროდუქტების რაოდენობა გაზრდილია;</li> <li>• გაზრდილია ტურისტების რაოდენობა ობიექტებზე, რომლის პოპულარიზაციაც განხორციელდა.</li> </ul>
პრიორიტეტი	მაღალი

სტრატეგიული აქტივობა 3.3.2	
სტრატეგიული აქტივობის დასახელება	მესტიის მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული მომსახურებების ტექნიკური შესაძლებლობების გაუმჯობესების ხელშეწყობა და სფეროსთვის სამუშაო ძალის განვითარება.
სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა	აქტივობა გულისხმობს: 1) ტურისტულ ბიზნესში ჩართული პირების (მაგალითად, გიდების, მასპინძლების) კვალიფიკაციის ამაღლებას; 2) ისეთი ტექნოლოგიური ნიუშაუების დანერგვას, რაც პირდაპირ გააუმჯობესებს ტურისტული მომსახურების ხარისხს.
ძირითადი სამიზნე ჯგუფ(ებ)ი	გიდები, სასტუმროსა და სხვა ტურისტული ობიექტების მფლობელები და იქ დასაქმებული პირები.
პასუხისმგებელი პირები/ორგანოები	მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ტურიზმის განვითარების სამსახური, ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი.
ზემო სვანეთის LAG-ის პასუხისმგებლობა და როლი	საჭიროებების დადგენა, მომსახურების მომწოდებელი ორგანიზაციების მოძიება და დაკავშირება ტურისტულ საქმიანობაში ჩართულ პირებთან. გადამზადების კურსების მხარდაჭერა, ტექნოლოგიების დანერგვის თანადაფინანსება.
ნებისმიერი პარტნიორი ორგანიზაცია	პროფესიული სასწავლებლები, ტურისტული მომსახურების სტანდარტებზე მომუშავე ორგანიზაციები, ტურისტული ტექნოლოგიების მიმართულებით მომუშავე კომპანიები.
განხორციელების ვადა	2020-2022 წწ
მოსალოდნელი შედეგები / ინდიკატორები და სამიზნეები	<ul style="list-style-type: none"> <li>• ტურისტული მომსახურებების ხარისხი გაუმჯობესებულია;</li> <li>• კვალიფიკაცია ამაღლებული პირების რაოდენობა/ დანერგილი ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების რაოდენობა და მასშტაბი გაზრდილია;</li> <li>• ტურისტების კმაყოფილების ხარისხი ამაღლებულია;</li> <li>• განმეორებითი ვიზიტების რაოდენობა გახშირებულია;</li> <li>• ტურისტული ბიზნესების, განსაკუთრებით ქალებისა და ახალგაზრდების საკუთრებაში არსებული მომსახურებების გაუმჯობესებული ხარისხი შეინიშნება;</li> <li>• მოწყვლადი ჯგუფებისთვის შექმნილი (ქალები, ახალგაზრდები, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირები და ა.შ.) სამუშაო ადგილების რაოდენობა გაზრდილია;</li> <li>• მომსახურების სფეროში უკვე დასაქმებული სამუშაო ძალის, განსაკუთრებით ქალებისა და ახალგაზრდების, უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციის განმავითარებელი პროგრამების რაოდენობა გაზრდილია;</li> <li>• მაღალანაზღაურებად პოზიციებზე დასაქმებული მოწყვლადი ჯგუფების (ქალები, ახალგაზრდები, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირები და ა.შ.) რაოდენობა გაზრდილია;</li> <li>• ტურიზმის სფეროში მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობის წამახალისებელი კამპანიები იმართება.</li> </ul>
პრიორიტეტი	მაღალი



## 6. სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობა მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ზემო სვანეთის ეკონომიკაში. ადგილობრივი მოსახლეობის თითქმის 90% დასაქმებულია ამ სექტორში, შესაბამისად, პრიორიტეტულია აღნიშნული სექტორის განვითარება და პოტენციალის გამოყენება.<sup>26</sup> ძირითად შემთხვევაში სექტორში დასაქმებულები თვითდასაქმებულთა კატეგორიას განეკუთვნებიან. მცირე ფერმერები მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა 99%-ზე მეტს შეადგენენ, ხოლო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის უმეტეს ნაწილს გლეხური მეურნეობები აწარმოებენ.<sup>27</sup> მიუხედავად სექტორის მნიშვნელობისა, მესტიის სოფლის მეურნეობა არ არის სათანადოდ განვითარებული და ძირითადად თემების მოსახლეობის პირველადი მოთხოვნების დაკმაყოფილებაზეა ორიენტირებული. წამყვან სასოფლო-სამეურნეო საქმიანობებს შორისაა: მეცხოველეობა, მემცენარეობა, განსაკუთრებით – მეკარტოფილეობა, მეფუტკრეობა და მეხილეობა.

აღსანიშნავია, რომ მესტიის მუნიციპალიტეტში ფერმერთა უმრავლესობა, სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთს ფლობს. მუნიციპალიტეტში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების საერთო ფართობი 94279 ჰა-ს შეადგენს, რაც მისი ტერიტორიის 30%-ია. აქედან 3091 ჰა ადგილობრივი შინამეურნეობების მფლობელობაშია, ხოლო დანარჩენი 91188 ჰა სახელმწიფო საკუთრებაში<sup>28</sup> (იხ. ცხრილი №26) ზემო სვანეთის სათიბ-საძოვრები რთულ და დანაწევრებულ რელიეფზეა განლაგებული. რელიეფისთვის დამახასიათებელია ფერდობების დახრილობა, რაც მუნიციპალიტეტის კლიმატური პირობების გათვალისწინებით, განსაკუთრებით კი მაღალი ატმოსფერული ნალექების პირობებში, ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენს ნიადაგსა და მცენარეულ საფარზე.<sup>29</sup> გეოგრაფიული ფაქტორები კი ძალზე ართულებს სოფლის მეურნეობის განვითარებასა და, შესაბამისად, მუნიციპალიტეტში არსებული მეურნეობების გამსხვილებას.

მესტიის მუნიციპალიტეტში კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება მიწების დარეგისტრირების საკითხი. მუნიციპალიტეტში, მიწის მესაკუთრეთა მხოლოდ 14%-ს აქვს სასოფლო-სამეურნეო მიწა დარეგისტრირებული საჯარო რეესტრში არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს კომერციული სასოფლო-სამეურნეო ბაზრის განვითარებას და დაბრკოლებებს წარმოშობს სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო და სალიზინგო სისტემით სარგებლობის პროცესში<sup>30</sup> მესტიის მუნიციპალიტეტში, ENPARD III პროექტის გუნდის მიერ სოფლის მეურნეობის მიმართულებით პრობლემების გამოვლენის მიზნით ჩატარებული კვლევა ცხადყოფს, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწების რეგისტრაცია ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას წარმოადგენს სოფლის მეურნეობის სექტორისთვის.<sup>31</sup> კერძოდ, მუნიციპალიტეტის 16 თემში ჩატარებული კვლევის მიხედვით, დაურეგისტრირებელი მიწები მეორე ყველაზე მწვავე პრობლემას წარმოადგენს (იხ. ცხრილი №4), ამავე კვლევის თანახმად, მიწების რეგისტრაციისა და ფლობის პრობლემა, მუნიციპალიტეტის თემების უმრავლესობაში [კალა – 50%; ხაიში – 39%; იდლიანი – 36%; ბეჩო – 29%] სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში არჩართვის ერთ-ერთი მთავარი მიზეზიცაა (იხ. ცხრილი №27), რადგან დაურეგისტრირებელი მიწები დამატებით ბარიერს წარმოადგენს ფინანსებზე ხელმისაწვდომობის მხრივ, ართულებს რა საფინანსო ინსტიტუტებთან ურთიერთობასა და სახელმწიფო პროგრამებით სარგებლობის შესაძლებლობას.

კვლევის მიხედვით, საირიგაციო სისტემასთან დაკავშირებული პრობლემები, კერძოდ კი სისტემების ტექნიკური გაუმართავობა, ხშირ შემთხვევაში კი მისი არარსებობა, მესტიის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის სექტორის წინაშე არსებული კიდევ ერთი გამოწვევაა. მუნიციპალიტეტის მასშტაბით, საირიგაციო სისტემა, მხოლოდ 700 ჰექტარზეა ხელმისაწვდომი. პრობლემათა ანალიზი ცხადყოფს, რომ სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია: (1) არსებული სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია და მოდერნიზაცია (2) თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა სამელიორაციო სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის.

### 6.1. მცენარეები

მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული მდებარეობისა და კლიმატური პირობების გავლენით, სოფლის მეურნეობა არც თუ ისე მრავალფეროვანია. მკაცრი ზამთარი არ იძლევა მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის განვითარების შესაძლებლობას. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ეკოლოგიურად სუფთა გარემო ნაყოფიერ ფონს ქმნის სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით, კი მემცენარეობისა და მეხილეობის განვითარებისთვის. მემცენარეობა წამყვანი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაა. მესტიის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა თემში განსხვავებული კულტურების წარმოებაა გავრცელებული, რაც ძირითად შემთხვევაში კონკრეტულ თემში არსებული ნიადაგის ტიპზე, თემის სასოფლო-სამეურნეო ტრადიციაზე, მიწის ნაკვეთის ფართობსა და

<sup>26</sup> კლიმატის ცვლილებასთან ზემო სვანეთის ადაპტაციის სტრატეგია, 2014 წელი, გვ. 154.

<sup>27</sup> კლიმატის ცვლილებასთან ზემო სვანეთის ადაპტაციის სტრატეგია, 2014 წელი, გვ. 154.

<sup>28</sup> მესტიის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი 2016.

<sup>29</sup> კლიმატის ცვლილებასთან ზემო სვანეთის ადაპტაციის სტრატეგია, 2014 წელი, გვ. 154.

<sup>30</sup> საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020 წწ.

<sup>31</sup> საზოგადოებრივი აზრის კვლევა, მესტიის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული პრობლემები სოფლის მეურნეობის მიმართულებით, CRRC საქართველო.

ოჯახების რაოდენობაზე დამოკიდებული. ამ ეტაპზე, მუნიციპალიტეტში ყველაზე მეტად გავრცელებულია: კარტოფილის, სიმინდის, ხილის, ბოსტნეულისა და პარკოსნების/ვარსების წარმოება, ხოლო კომერციული თვალსაზრისით ყველაზე გავრცელებულ კულტურებს შორის კარტოფილი და სიმინდი სახელდება. ზემო სვანეთში, ეკოლოგიურად სუფთა გარემო და შესაფერისი კლიმატი ქმნის შესაძლებლობას, როგორც გასტრონომიული, ასევე სამკურნალო პროდუქტების წარმოების განვითარების – ამ მიზნით შესაძლებელია ადგილობრივი ჩაის, ასევე მოცვის წარმოება.

## 6.2. ერთწლიანი კულტურები

მუნიციპალიტეტში 2018 წელს მოწეული კულტურების საერთო რაოდენობიდან ერთწლიანი კულტურები: კარტოფილი და სიმინდი ყველაზე გავრცელებულ მცენარეთა შორის მოხვდა. (იხ. ცხრილი №28).

რაც შეეხება მუნიციპალიტეტის ყველაზე გავრცელებულ კულტურას, კარტოფილს, 2018 წელს მოსავალმა სულ 4728 ტონა შეადგინა (იხ. ცხრილი №29), ხოლო ჰექტარზე საშუალო მოსავლიანობა 10 ტონა იყო. მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება მცენარეული კულტურების მოყვანის სფეროში თანამედროვე ტექნოლოგიების, განსაკუთრებით კი ნიადაგთან შესაბამისობის მიხედვით თესლის შერჩევის ცოდნის დეფიციტი. სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა კი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მაღალი ხარისხის თესლისა და სარგავი მასალის გამოყენებაზე. დაბალი ხარისხის თესლის გამოყენება გავლენას ახდენს როგორც მოსავლიანობაზე, ასევე პროდუქციის ხარისხზე. მაღალი ხარისხის თესლის გამოყენება და აღნიშნული მიმართულებით ფერმერების ცნობიერების ზრდა ხელს შეუწყობდა: (1) მოსავლიანობის ზრდას ერთ ჰექტარზე; (2) პროდუქციის ხარისხის ზრდას; (3) პროდუქციის კონკურენტუნარიან ფასს ბაზარზე; (4) სოფლის მეურნეობის სექტორში შემოსავლების ზრდას.

სხვა ერთწლიან კულტურებს შორის 2018 წელს ყველაზე მოსავლიანი პომიდორი (5 ტონა) და კომბოსტო გახლდათ (4,8 ტონა) (იხ. ცხრილი №30).

## 6.3. მრავალწლიანი კულტურები

ერთწლიან კულტურებთან შედარებით, რომლებიც კომერციული თვალსაზრისით ყველაზე მომგებიან სოფლის მეურნეობის პროდუქტებს შორის ხვდება, მრავალწლიანი კულტურების ეკონომიკური რენტაბელურობა საკმაოდ შეზღუდულია. 2018 წლის მონაცემებით, მესტიის მუნიციპალიტეტში მრავალწლოვანი ნარგავები 31 ჰექტარზეა წარმოდგენილი, ხოლო მოსავლიანობა 60 ტონას შეადგენს. (იხ. ცხრილი №31) მუნიციპალიტეტში არსებული მრავალწლიანი კულტურების ნარგავები განახლებას საჭიროებს.

## 6.4. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაცია – ბაზრების განვითარება

როგორც ზემოთ აღინიშნა, მესტიის მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის უმეტეს ნაწილს გლეხური მეურნეობები აწარმოებენ, შესაბამისად, სოფლის მეურნეობის სექტორში მოყვანილი პროდუქცია თემების პირველადი მოთხოვნების დაკმაყოფილებაზეა ორიენტირებული.<sup>32</sup> გარდა ამისა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავების, შენახვის სერვისების არარსებობა პრობლემას წარმოადგენს პროდუქციის შემდგომი რეალიზაციისთვის, რაც ფერმერებს იძულებულს ხდის პროდუქციის რეალიზაცია პირველადი სახით მოახდინონ, ხოლო სოფლის მეურნეობის პირველად პროდუქციას დაბალი ღირებულება აქვს ბაზარზე. რომ არაფერი ვთქვათ საერთაშორისო ბაზრებზე წვდომასა და ექსპორტზე, განუვითარებელია შიდა ბაზრებიც, რის მთავარ მიზეზადაც, მუნიციპალიტეტში შესაბამისი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის არარსებობა სახელდება. იმ კულტურების რეალიზაციაც კი, რომლებიც კომერციული თვალსაზრისით სოფლის მეურნეობის ყველაზე შემოსავლიან პროდუქციად მიიჩნევა, ძირითადად ზუგდიდის ბაზარზე ხდება.

მუნიციპალიტეტში ჩატარებული კვლევის მიხედვით, ძირითად შემთხვევაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების რეალიზაცია დისტრიბუტორების ჩართულობით ხდება [ლატალი 38%; იფარი 20%; ეცერი 19.6%], რაც, მოსახლეობის ხედვით, ამცირებს მათ მიერ მიღებულ შემოსავალს (იხ. ცხრილი №32). სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციის კუთხით მნიშვნელოვანია: (1) ადგილობრივი ბაზრების განვითარება; (2) იმ ნიშური პროდუქციის იდენტიფიცირება, რომლის ექსპორტი შესაძლებელია საერთაშორისო ბაზრებზე, განსაკუთრებით კი ევროკავშირის ერთიან ბაზარზე; (3) გადამამუშავებელი საწარმოების განვითარება, პირველადი დამამუშავების, დახარისხების, დაფასოების, შეფუთვისა და ეტიკეტირების სისტემის დანერგვა, რაც, საბოლოო ჯამში, მუნიციპალიტეტში სარეალიზაციო ჯაჭვის განვითარებას შეუწყობდა ხელს.

## 6.5. მცხოვრებლობა – მსხვილფეხა საქონელი

მკაცრი კლიმატისა და მთიანი რელიეფის გამო, მუნიციპალიტეტში ძირითადად განვითარებულია მცხოვრებლობა, განსაკუთრებით კი მსხვილფეხა მცხოვრებლობა.<sup>33</sup> 2018 წლის მონაცემებით, მუნიციპალიტეტის მასშტაბით მოსახლეობის საკუთრებაშია 11357 პირუტყვი, რომელთაგან 8870 მსხვილფეხა რქოსანი

<sup>32</sup> კლიმატის ცვლილებასთან ზემო სვანეთის ადაპტაციის სტრატეგია, 2014 წელი, გვ. 154.

<sup>33</sup> კლიმატის ცვლილებასთან ზემო სვანეთის ადაპტაციის სტრატეგია, 2014 წელი, გვ. 127.

პირუტყვია, 1305 ლორი, 419 თხა და 763 ცხვარი (იხ. ცხრილი №33). რაც შეეხება ფრინველთა რაოდენობას, ის 3499 ფრთა ფრინველს შეადგენს. მუნიციპალიტეტში წელიწადში საშუალოდ 50-60 ტონა ხორცი და 15 ტონა ადგილობრივი ყველი და სულგუნი იწარმოება.<sup>34</sup> ხოლო დანარჩენი პირუტყვი მხოლოდ საოჯახო დანიშნულებით გამოიყენება. მუნიციპალიტეტში არსებული საძოვრების ფართობის გათვალისწინებით, შესაძლებელია მნიშვნელოვნად გაიზარდოს პირუტყვების რაოდენობა, თუმცა გამოწვევას წარმოადგენს ვეტერინარულ მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს მესაქონლეობის განვითარების პერსპექტივას.

არასათანადო ვეტერინარული მომსახურება მესტიის მუნიციპალიტეტში, არა მხოლოდ ხელს უშლის მეცხოველეობის განვითარებას, არამედ დაბალი პროდუქტიულობის გამომწვევი ძირითადი მიზეზიცაა. მუნიციპალიტეტში ჩატარებული კვლევის მიხედვით,<sup>35</sup> ცხოველების გაზრდის პროცესში, ცხოველთა დაავადებები ერთ-ერთ მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენს [იდლიანი – 100%; ეცერი – 76%; ლატალი – 75%; ბეჩო – 63%.] რაც ვეტერინარული სერვისების სიმცირითა და ცხოველთა დაავადებების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობითაა განპირობებული (იხ. ცხრილი №34). მოსახლეობის დროული ინფორმირებულობა მოსალოდნელ დაავადებებთან დაკავშირებით და დაავადებათა პრევენცია მნიშვნელოვნად შეამცირებდა მუნიციპალიტეტში არსებულ მდგომარეობას და ხელს შეუწყობდა როგორც მესაქონლეობის განვითარებას, ასევე, მესაქონლეობის შედეგად წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ზრდას. აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით საჭიროა კერძო ბიზნესის დაინტერესებაც. სექტორის განვითარება კი, თავის მხრივ თანხვედრილი იქნებოდა საქართველოში სურსათის უვნებლობისა და ვეტერინარიის სისტემის დანერგვის ინკლუზიურ პროცესთან, „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების ფარგლებში.<sup>36</sup>

## 6.6. სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქცია

მიუხედავად მკაცრი კლიმატური პირობებისა, მეფუტკრეობა სვანეთში ნაკლებად განვითარებული, თუმცა გავრცელებული მეურნეობაა. ფუტკრების ოჯახების საერთო რაოდენობამ 2018 წელს 3089 შეადგინა.<sup>37</sup> მუნიციპალიტეტში არსებული თაფლოვანი კულტურების მარაგი და დაუშუშავებელი მინდვრების სიმრავლე მეფუტკრეობის განვითარების საშუალებას იძლევა, თუმცა მნიშვნელოვანი გამოწვევები არსებობს ფუტკრის მოვლისა და ზამთრის პერიოდში მისი შენარჩუნების მიმართულებით. სწორედ შეწამვლა და ზამთრის პერიოდში არსებული ყინვა სახელდება მესტიისა და ლატალის თემებში ფუტკრის გაწყვეტის მთავარ მიზეზებად. აღსანიშნავია, რომ სვანეთში გავრცელებული მონაცრისფრო შეფერილობის ფუტკარი ენდემური სახეობისაა, რაც ადგილობრივი კლიმატური პირობების გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტში ეკოლოგიურად სუფთა, მაღალი ხარისხის ორგანული თაფლის წარმოების შესაძლებლობას ქმნის.

მესტიის მუნიციპალიტეტში შესაძლებელია, ასევე, თევზის მეურნეობის განვითარება. ამჟამად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებობს 5 თევზსაშენი ტბორი, რომლის სარკის ფართობი 0,14 ჰა-ს შეადგენს და წლის განმავლობაში საშუალოდ 2 ტონა ტბის თევზს აწარმოებს.<sup>38</sup> ასევე მოქმედია 3 საკალმახე მეურნეობა, რომელთა საერთო წლიური წარმადობა 3 ტონას შეადგენს. არსებული კლიმატური პირობების გათვალისწინებით, აღნიშნულ მეურნეობას განვითარების პოტენციალი გააჩნია, თუმცა გამოწვევები არსებობს (1) ბაზრის არასტაბილურობის; (2) თანამედროვე ტექნოლოგიების არცოდნის; (3) მეურნეობის განვითარებისთვის საჭირო კაპიტალის ნაკლებობის მიმართულებით. შესაბამისად, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა და თევზის მეურნეობაში ჩართული ფერმერების ცნობიერების ამაღლება თევზის მოშენებასა და დაავადებების პრევენციასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს სექტორის განვითარებას.

## 6.7. სოფლის მეურნეობისთვის საჭირო მანქანა-დანადგარები

სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების თვალსაზრისით მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს თანამედროვე ტექნიკის გამოყენება და საჭირო დანადგარებზე ხელმისაწვდომობა. თანამედროვე ტექნიკასა და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის საჭირო ინვენტარზე ხელმისაწვდომობის დაბალი დონე მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო სექტორის დაბალ პროდუქტიულობას განაპირობებს. მესტიის მუნიციპალიტეტი ხასიათდება სასოფლო-სამეურნეო მიწის მთავორიანი და მოსახლეობისთვის ძნელად მისაღწეომი ლანდშაფტით, თუმცა აღნიშნულ ადგილებში არსებული ნიადაგი გამოირჩევა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოყვანისთვის განსაკუთრებით მაღალი ხარისხით, რაც შესაძლებელს გახდიდა სასუქების გარეშე, მაღალი ხარისხის კონკურენტუნარიანი ბოსტნეულის, მათ შორის, ჭარხლის, სტაფილოს, პარკოსნების მოყვანას.<sup>39</sup>

<sup>34</sup> მონაცემები არსებული ძირითადი ტერიტორიული რესურსებისა და ადგილობრივი ალტერნატიული რესურსების შესახებ (Resource mapping)

<sup>35</sup> CRR Georgia, მარტი-მაისი 2019, N=484, საშუალო ცდომილება 2.4%

<sup>36</sup> ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთის მხრივ, საქართველოსა და, მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, 27 ივნისი 2014.

<sup>37</sup> მესტიის მუნიციპალიტეტიდან გამოთხოვილი სტატისტიკა, 2018 წელი.

<sup>38</sup> მესტიის მუნიციპალიტეტის ხედვისა და საშუალო ვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტი 2016.

<sup>39</sup> ინტერვიუ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მესტიის მუნიციპალიტეტის სამსახურის წარმომადგენელთან, 1 ნოემბერი, 2019.



მუნიციპალიტეტში ჩატარებული კვლევის მიხედვით, მოსახლეობა დღემდე მიმართავს მიწის დამუშავების ტრადიციულ წესს და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს ფიზიკური ძალის გამოყენებით, ძირითადად კი, გუთნის დახმარებით ამუშავებს.<sup>40</sup> შესაბამისად, მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის აღჭურვა მაღალმთიანი რეგიონისთვის შესაფერისი ტექნიკით, კერძოდ კი მცირე გაბარიტიანი სასოფლო-სამეურნეო დანადგარებით, რაც: (1) მნიშვნელოვნად შეამცირებს ადამიანების ფიზიკურ შრომას; (2) შეამცირებს მიწის დამუშავებისთვის დახარჯულ დროს; (3) შესაძლებელს გახდის ძნელად მისადგომი სასოფლო-სამეურნეო მიწების ათვისებას, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს მიწის დამუშავების პროცესის ეფექტიანობის ამაღლებასა და, შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდას.

მესტიის ამ ეტაპზე არ ფუნქციონირებს მექანიზაციის სერვისცენტრი. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მასშტაბით, სოფლის მეურნეობის ლოგისტიკისა და სერვისების კომპანია, „შპს მექანიზატორი“ აბაშაში მდებარეობდა. რაც მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას შესაძლებლობას აძლევდა სპეციალური ვაუჩერების გამოყენებით ესარგებლა აბაშის სერვისცენტრში არსებული ტექნიკით, ნიადაგის თესვის წინა და შემდგომი სამუშაოების ჩატარებისთვის. აღსანიშნავია, რომ 2016 წლიდან აღარ ფუნქციონირებს აბაშის სერვისცენტრი, რამაც გააუარესა, ზემო სვანეთის სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ჩართული ოჯახების მდგომარეობა.<sup>41</sup>

## 6.8. სახელმწიფო პროგრამები და ტექნიკური მხარდაჭერა

მესტიის მუნიციპალიტეტის დაახლოებით მესამედს აქვს ინფორმაცია სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს (ARDA) სოფლის მეურნეობის მხარდაჭერი პროექტების შესახებ, ასევე მცირე მათი რიცხვი, ვინც იცის, თუ სად უნდა მოიძიოს ინფორმაცია პროგრამების შესახებ, მასში მონაწილეობასთან დაკავშირებით არსებულ მოთხოვნებთან დაკავშირებით.<sup>42</sup> სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, მესტიის მუნიციპალიტეტის მხოლოდ 13-მა ოჯახმა ისარგებლა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მხარდაჭერი სახელმწიფო პროგრამით. ადგილობრივი ოჯახების უმრავლესობა ისურვებდა დამატებითი ინფორმაცია მიეღო არსებულ პროგრამებთან დაკავშირებით, მათ შორის, ტექნიკური მხარდაჭერის მიღების, სადაზღვევო სქემების, სუბსიდიებისა და სხვა ხელმისაწვდომი და სათანადო ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ.

## სოფლის მეურნეობა - SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> <li>• ჯანსაღი პროდუქცია/ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია;</li> <li>• ადგილობრივ პროდუქციაზე მზარდი მოთხოვნა;</li> <li>• განსაკუთრებული გეოგრაფიული; მდებარეობა/ ალპური მდებარეობა;</li> <li>• აგროტურიზმის მომგებიანობა და პოპულარობა;</li> <li>• მიწაზე მუშობის ტრადიცია და ახალგაზრდებისათვის ცოდნის გაზიარების შესაძლებლობა;</li> <li>• სახელმწიფო პროგრამების არსებობა „აწარმოე საქართველო“, შეღავათიანი აგროკრედიტი;</li> <li>• მიმდინარე პროგრამა „დანერგე მომავალი“;</li> <li>• მეფუტკრე კოოპერატივების ხელშეწყობის პროგრამა;</li> <li>• მაღალმთიან რეგიონებში სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისა და საძოვრების რაციონალურად გამოყენების სახელმწიფო პროგრამა;</li> <li>• მთის სტატუსი, რომელიც ამარტივებს სოფლის მეურნეობის მიმართულებით კოოპერატივების დაარსებას (სამ კაცს შეუძლია დააარსოს კოოპერატივი);</li> <li>• სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო, მესტიის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ტექნიკის არქონა;</li> <li>• მკაცრი კლიმატი (შემოდგომაზე მოუსწრებს ხოლმე ყინვა);</li> <li>• სარწყავი სისტემების გაუმართავობა/არარსებობა;</li> <li>• მიწების დაურეგისტრირებლობა;</li> <li>• მცირემიწიანობა;</li> <li>• რისკის შიში;</li> <li>• ვეტერინალურ სერვისებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა;</li> <li>• პრეპარატების არარსებობა/დეფიციტი (შხამქიმიკატები მსხვილფეხა საქონლის სამკურნალოდ);</li> <li>• პროდუქტების დაბალი ფასები;</li> <li>• ფერმერებში ცნობიერების დაბალი დონე როგორც გადაჭრან ესა თუ ის პრობლემა სოფლის მეურნეობის მიმართულებით;</li> <li>• ფერმერებში მოტივაციის ნაკლებობა გასაღების ბაზრის არქონის გამო;</li> <li>• პროდუქციის რეალიზაციისათვის შორი მანძილის გავლა;</li> <li>• სასოფლო სამეურნეო სავარგულებთან მისასვლელი გზების პრობლემა;</li> <li>• ჯიშობრივი გაუმჯობესების (მცენარეებისა და ცხოველების) არარსებობა;</li> <li>• სახელმწიფო პროგრამების შესახებ ცნობიერების დაბალი დონე ფერმერებში;</li> <li>• ფერმერების კვალიფიკაციის პრობლემა;</li> </ul>

<sup>40</sup> ინტერვიუ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მესტიის მუნიციპალიტეტის სამსახურის წარმომადგენელთან, 1 ნოემბერი, 2019.

<sup>41</sup> ინტერვიუ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მესტიის მუნიციპალიტეტის სამსახურის წარმომადგენელთან, 1 ნოემბერი, 2019.

<sup>42</sup> ინტერვიუ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მესტიის მუნიციპალიტეტის სამსახურის წარმომადგენელთან, 1 ნოემბერი, 2019.



<ul style="list-style-type: none"> <li>• უფასო ელექტროენერჯია;</li> <li>• სურსათის უვნებლობის ოფისი/ლაბორატორია;</li> <li>• წყლისა და მიწის რესურსი/ნაყოფიერი მიწა;</li> <li>• ენდემური ჯიშის კულტურები: შვრია, ფეტვი;</li> <li>• ევროკავშირთან DCFTA;</li> <li>• წარსულის გამოცდილება;</li> <li>• დაუბეგრავი მიწები;</li> <li>• საგადასახადო შეღავათები;</li> <li>• სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურებზე წვდომა; გომურები;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ინფორმაციის დეფიციტი (როგორ გაუმკლავდეს სხვადასხვა ტიპის დაავადებებს, რისკების ანალიზი და შეფასება);</li> <li>• შესაწამლი პრეპარატების არასწორად გამოყენება;</li> <li>• მოსახლეობას არ აქვს ინფორმაცია სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს, მესტიის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის შესახებ;</li> <li>• უხარისხო ელექტროენერჯიის მიწოდება;</li> <li>• გარეული ცხოველებსგან პირუტყვის დაუცველობა;</li> <li>• ხარისხიანი შხამ-ქიმიკატების შესახებ ფერმერების გაუთვითცნობიერებლობა;</li> <li>• საქონლის დაავადებები/პრევენციის შესაძლებლობის ნაკლებობა;</li> <li>• აგროგანათლების ნაკლებობა;</li> <li>• ლოკალური ბაზრების არარსებობა;</li> <li>• ადგილობრივი ლაბორატორიების არარსებობა;</li> <li>• კომუნიკაციების ნაკლებობა;</li> <li>• ინტერნეტიზაციის ნაკლებობა;</li> <li>• დაბალ და შეღავათიან აგროკრედიტზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა;</li> <li>• ინფრასტრუქტურა/გზები/ტრანსპორტი;</li> </ul>
<b>შესაძლებლობები</b>	<b>საფრთხეები</b>
<ul style="list-style-type: none"> <li>• მცირე საოჯახო სასტუმროების დაფინანსების ხელშეწყობა ტურისტულად ნაკლებად განვითარებულ თემებში;</li> <li>• აგროტურიზმის განვითარების ხელშეწყობა ზემო-სვანეთში;</li> <li>• ტურისტულად ნაკლებად განვითარებულ თემებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების განვითარების ხელშეწყობა;</li> <li>• მუნიციპალური ბაზრის განვითარება;</li> <li>• სადისტრიბუციო ქსელის ჩამოყალიბება;</li> <li>• გადამამუშავებელი საწარმოების შექმნის ხელშეწყობა;</li> <li>• სამაცივრე და სასაწყობე მეურნეობის განვითარება;</li> <li>• მოთხოვნა-მიწოდების ჯაჭვის შექმნის ხელშეწყობა;</li> <li>• პროფესიული კოლეჯების მხარდაჭერით ფერმერების კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა;</li> <li>• საერთაშორისო გრანტების (გრეტა, ენპარდი) არსებობა;</li> <li>• სასათბურე მეურნეობის შექმნის ხელშეწყობა (მწვანელი, ბოსტნეული, მარწყვი);</li> <li>• სადემონსტრაციო ნაკვეთის შექმნის ხელშეწყობა (ადამიანები მივლენ და დააკვირდებიან როგორ ხდება);</li> <li>• უცხო კულტურების განვითარების შექმნის ხელშეწყობა;</li> <li>• ადგილობრივი პროდუქციის ევროკავშირის ბაზარზე გატანა;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სტიქიური მოვლენები (წვიმა, სეტყვა, გვალვა);</li> <li>• მიწის დაავადებები;</li> <li>• არასტაბილური პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა ქვეყანაში;</li> <li>• ცენტრალურ და საერთაშორისო ბაზრებზე არასტაბილურობა;</li> <li>• კონკურენცია/ბაზრის მონოპოლიზაცია;</li> <li>• საბანკო სექტორის მონოპოლიზაცია;</li> <li>• ინფლაციის დონე/ლარის გაუფასურება;</li> <li>• ადგილობრივი ბაზრის განვითარების შემზღვევა/იმპორტით დაინტერესება;</li> <li>• მიწების უცხოელებზე გასხვისება;</li> <li>• სუბსიდიების არამიზნობრივი ხარჯვა;</li> <li>• ეპიდემიების გავრცელება;</li> <li>• ტყის გაკაფვა;</li> <li>• დიდი ჰესების მშენებლობა;</li> <li>• გლობალური დათბობა.</li> </ul>

# სოფლის მეურნეობა – ამოცანები და სტრატეგიული აქტივობები

## ამოცანა 4.1.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის საჭირო მექანიზმების ხელმისაწვდომობის გაზრდა.

**დასაბუთება** – სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს თანამედროვე ტექნიკის გამოყენება და საჭიროებებზე ხელმისაწვდომობა. თანამედროვე ტექნიკაზე და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის საჭირო ინვენტარზე ხელმისაწვდომობის დაბალი დონე მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო სექტორის დაბალ პროდუქტიულობას განაპირობებს. მოსახლეობა დღემდე მიმართავს მიწის დამუშავების ტრადიციულ წესს და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს ფიზიკური ძალის გამოყენებით, ძირითადად კი გუთნის დახმარებით ამუშავებს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის ალტერნატიული რეგიონისთვის შესაფერისი ტექნიკით, კერძოდ მცირე გაბარიტიანი სასოფლო-სამეურნეო დანადგარებით რაც: (1) მნიშვნელოვნად შეამცირებს ადამიანების ფიზიკურ შრომას, (2) შეამცირებს მიწის დამუშავებისთვის დახარჯულ დროს, (3) შესაძლებელს გახდის ძნელად მისადგომი სასოფლო-სამეურნეო მიწების ათვისებას, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს მიწის დამუშავების პროცესის ეფექტიანობის ამაღლებას და, შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდას.

სტრატეგიული აქტივობები	
<b>სტრატეგიული აქტივობა 4.1.1</b>	
<b>სტრატეგიული აქტივობის დასახელება</b>	სოფლის მეურნეობისთვის აუცილებელი მანქანა-დანადგარებით მოსახლეობის უზრუნველყოფის მხარდაჭერა
<b>სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა</b>	სტრატეგიული აქტივობა შესაძლებელია სამი ძირითადი მიმართულებით წარიმართოს: <b>კომპლექსური კვლევა/ანალიზი</b> – საჭიროა თემების მიხედვით ჩატარდეს კვლევა, რომელიც შეისწავლის არსებულ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას და განსაზღვრავს, საჭირო ტექნიკის რაოდენობასა და პრიორიტეტებს თემების მიხედვით; <b>სესხის მოპოვებისთვის ტექნიკური მხარდაჭერა</b> – მესტიის LAG უზრუნველყოფს მოსახლეობის ინფორმირებასა და ტექნიკურ მხარდაჭერას, თუ რა პროცედურები უნდა გაიარონ და რა მოთხოვნები უნდა დააკმაყოფილონ საჭირო ტექნიკის შეძენისთვის აუცილებელი ფინანსური რესურსების მისაღებად, მათ შორის სახელმწიფო პროგრამებით სარგებლობის პროცესში; <b>ადვოკატირება</b> – პრობლემის სიმწვავის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია ადვოკატირების სხვადასხვა მეთოდების გამოყენება საკითხის აქტუალიზაციისთვის, როგორც სახელმწიფო სტრუქტურებთან, ასევე საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან, რათა ტექნიკაზე მოსახლეობის წვდომის გასაუმჯობესებლად შემუშავდეს გარკვეული პროგრამები, რომლებიც მორგებული იქნება კონკრეტულ რეგიონზე. პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს მცირეგაბარიტიანი ტექნიკას, რომელიც ხელს შეუწყობს მისადგომად ძნელი ნიადაგების ათვისებასა და კომერციული თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანი კულტურების მოსავლიანობის ზრდას: სიმინდი, ბოსტნეული, კარტოფილი და სხვა.
<b>ძირითადი სამიზნე ჯგუფ(ებ)ი</b>	სოფლის მეურნეობის სექტორში ჩართული პირები.
<b>პასუხისმგებელი პირები/ორგანოები</b>	მესტიის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG), საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი უწყებები, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები.
<b>ზემო სვანეთის LAG-ის პასუხისმგებლობა და როლი</b>	აღნიშნული აქტივობის განხორციელებისთვის მესტიის LAG-მა უნდა განახორციელოს: (1) კვლევის კოორდინაცია: სტრატეგიული აქტივობის განხორციელებისთვის შესაძლებელია პროექტის შემუშავება. LAG-ის უმთავრესი როლი იქნება ექსპერტების მოძიება და ტექნიკური ანალიზისთვის საჭირო კვლევის კოორდინაცია; (2) ტექნიკური მხარდაჭერა: LAG-ის წევრები სპეციალურად ორგანიზებული სამუშაო შეხვედრების ფარგლებში, ტექნიკურ მხარდაჭერას გაუწევენ ფერმერებს ფინანსური რესურსების მოძიებისთვის საჭირო პროცედურების შესასრულებლად. აუხსნიან სესხის მიღების პროცესს, მიაწვდიან საჭირო ინფორმაციას და შეამოწმებენ განაცხადის შესაბამისობას არსებულ მოთხოვნებთან; (3) ადვოკატირება: შემუშავდება ადვოკატირებისა და დაფინანსების მოპოვების სპეციალური სამოქმედო გეგმა, რომელსაც განახორციელებენ LAG-ის წევრები.
<b>ნებისმიერი პარტნიორი ორგანიზაცია</b>	მესტიის მუნიციპალიტეტის მერია, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისა და პროგრამების წარმომადგენლები.
<b>განხორციელების ვადა</b>	2020 – 2022წწ

<p><b>მოსალოდნელი შედეგები / ინდიკატორები და სამიზნეები</b></p>	<p>გაიზრდება:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• გაცემული სესხების მოცულობა (სეგრეგირებული სქესის, ასაკის და სხვა ნიშნით);</li> <li>• მხარდაჭერილი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების რაოდენობა, მათ შორის, ქალთა კოოპერატივების რაოდენობა;</li> <li>• კმაყოფილება – ფერმერების მიერ მიწის დამუშავებისთვის დახარჯული დროისა და ფიზიკური რესურსის შემცირების ხარჯზე;</li> <li>• პროფესიული პროგრამების/მოკლევადიანი კურსების რაოდენობა, რომელიც უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობისთვის აუცილებელი მანქანა-დანადგარების მოხმარების ცოდნისა და უნარ-ჩვევების შექმნას;</li> <li>• სოფლის მეურნეობისთვის აუცილებელი მანქანა-დანადგარების მოხმარებაზე გადაამზადებული ფერმერების რაოდენობა (სეგრეგაცია სქესის, ასაკის ნიშნით);</li> <li>• სოფლის მეურნეობის წარმოების მოდერნიზაციის დონე.</li> <li>• სოფლის მეურნეობის ერთწლოვანი კულტურების წარმოება;</li> <li>• სოფლის მეურნეობის პროდუქტების მოცულობა;</li> <li>• დამუშავებული მიწის ფართობი (სქესის, ასაკის ნიშნით სეგრეგირებული);</li> <li>• ადგილობრივი ფერმერების (სქესის, ასაკის ნიშნით სეგრეგირებული) საშუალო შემოსავლები ერთი წლის განმავლობაში;</li> <li>• ახალი სამუშაო ადგილების რაოდენობა (სქესის, ასაკისა და სხვა ნიშნით სეგრეგირებული);</li> <li>• სესხებზე ქალების ხელმისაწვდომობა;</li> <li>• ქალი ფერმერების მანქანა-დანადგარებზე ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი.</li> </ul>
<p><b>პრიორიტეტი</b></p>	<p><b>მაღალი</b></p>

**ამოცანა 4.2**

მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდის ხელშეწყობა.

**დასაბუთება** – მესტიის მუნიციპალიტეტში გამოწვევად რჩება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, რაც კომერციული თვალსაზრისით სექტორის განვითარებისთვის ყველაზე მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს. გარდა ტექნოლოგიებისა და მექანიზაციაზე წვდომის ნაკლებობისა, რაც წინა სექციაში განვიხილეთ, პრობლემას წარმოადგენს მოძველებული და ამორტიზებული გენეტიკური მასალა, ექსტენციისა და მომსახურების ცენტრების სიმცირე, სავარგულების დეგრადაცია და ამორტიზება. მუნიციპალიტეტში ძირითადად გავრცელებულია მცენარეთა ფიტოსოკოვანი დაავადებები, რომელიც საჭიროებს დროულ რეაგირებასა და საჭირო სასასუქე და შესაწამლი ნივთიერებების გამოყენებას.<sup>43</sup>

ამასთან, შესაბამისი ხარისხის თესლებსა და სასუქებზე ხელმისაწვდომობის ზრდას შეუძლია მუნიციპალიტეტში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის რაოდენობა რამდენჯერმე გაზარდოს. პროდუქტიულობის თვალსაზრისით, ასევე არადამაკმაყოფილებელია მეცხოველეობაში არსებული მდგომარეობა, რაც ძირითადად ცხოველთა გამრავლების მოძველებული ტექნოლოგიებისა და ვეტერინალურ მომსახურებაზე არასათანადო ხელმისაწვდომობითაა განპირობებული. ამასთან, გამოწვევად რჩება ხელოვნური განაყოფიერებისთვის შესაბამისი პროცედურების გამოყენება, ცხოველებში მიმდინარე დაავადებებზე დროული რეაგირება და პრევენციულ ვაქცინაციაზე შეზღუდული წვდომა.

<sup>43</sup> ინტერვიუ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მესტიის მუნიციპალიტეტის სამსახურის წარმომადგენელთან, 1 ნოემბერი, 2019.

სტრატეგიული აქტივობა 4.2.1	
სტრატეგიული აქტივობის დასახელება	ორგანული თესლებითა და სასუქებით უზრუნველყოფის მხარდაჭერა
სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა	ბაზრებში ხელმისაწვდომი ორგანული თესლებისა და სასუქების შესახებ ინფორმაციის უზრუნველყოფა. ბიზნესგეგმების მომზადების პროცესში დახმარება. ამასთან, ადგილზე გადამზადება/მენტორობა დარგვასა და სასუქების სათანადო გამოყენებაში. მაღალი ხარისხის, სერთიფიცირებული და ადაპტირებული თესლების. ამასთანავე საინტერესოა გავითვალისწინოთ სამეწარმეო სიმძლავრეებისათვის განკუთვნილი სათესლე მასალა. პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს კომერციული თვალსაზრისით ყველაზე მომგებიან კულტურებს მათ შორის, როლმეტიც ტრადიციულად მესტიის მუნიციპალიტეტისათვის იყო დამახასიათებელი.
ძირითადი სამიზნე ჯგუფ(ებ)ი	სოფლის მეურნეობის სექტორში ჩართული პირები
პასუხისმგებელი პირები/ორგანოები	მესტიის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG), საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი უწყებები.
ზემო სვანეთის LAG-ის პასუხისმგებლობა და როლი	ამ აქტივობის ფარგლებში მესტიის LAG ადვოკატირებას გაუწევს და მოიძიებს დამატებით ფინანსებს, რათა განახორციელოს პროექტი ფერმერებისთვის თესლისა და სასუქების უზრუნველყოფად. ამასთან, მესტიის LAG შეიმუშავებს ადვოკატირებისა და დაფინანსების მოპოვების სპეციალურ სამოქმედო გეგმას, რომელსაც შესაბამისი ადგილობრივი, თუ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით განახორციელებენ.
ნებისმიერი პარტნიორი ორგანიზაცია	მესტიის მუნიციპალიტეტი, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, თესლეულითა და სასუქებით მოვაჭრეები, ბანკები და MFI-ები.
განხორციელების ვადა	2021 – 2024წწ
მოსალოდნელი შედეგები / ინდიკატორები და სამიზნეები	<ul style="list-style-type: none"> <li>• მემცენარეობაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვა;</li> <li>• ფერმერების (ქალების, მამაკაცების, ახალგაზრდებისა და ა.შ.) ცნობიერების ამაღლება თესლეულითა და სასუქების გამოყენების პროცედურებში;</li> <li>• პროფესიული პროგრამების/მოკლევადიანი კურსების რაოდენობის ზრდა მემცენარეობაზე;</li> <li>• თესლეულითა და სასუქების გამოყენების პროცედურებში გადამზადებული ფერმერების რაოდენობის ზრდა (სეგრეგაცია სქესის, ასაკის ნიშნით);</li> <li>• სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტების გაზრდილი პროდუქტიულობა ერთ ჰა-ზე;</li> <li>• თესლისა და სასუქების საჭირო რაოდენობის მობილიზაცია;</li> <li>• შექმნილი ახალი სამუშაო ადგილების გაზრდილი რაოდენობა (სეგრეგირებული სქესის, ასაკისა და სხვა ნიშნით)</li> </ul>
პრიორიტეტი	საშუალო

სტრატეგიული აქტივობა 4.2.2	
სტრატეგიული აქტივობის დასახელება	ხელოვნური განაყოფიერებისა და ცხოველთა დაავადებების პრევენციის მხარდაჭერა
სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა	აღნიშნულმა აქტივობამ უნდა უზრუნველყოს ფერმერების ფინანსური და ტექნიკური დახმარება. ტექნიკური მხარდაჭერა, შესაძლებელია იყოს შემდეგი სახის: უპირველესად ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა, ბაზარზე ხელმისაწვდომი ვაქცინებისა და ხელოვნური განაყოფიერების კომპლექტაციის შესახებ. ადგილზე გადამზადება/მენტორობა ხელოვნურ განაყოფიერებასა და ვაქცინაციაში და ა.შ. პრიორიტეტები შეიძლება მიენიჭოს მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს.
ძირითადი სამიზნე ჯგუფ(ებ)ი	უმეტესად მეცხოველეობაში ჩართული ფერმერები.
პასუხისმგებელი პირები/ორგანოები	მესტიის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG), საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი უწყებები, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები.
ზემო სვანეთის LAG-ის პასუხისმგებლობა და როლი	მესტიის LAG შეიმუშავებს ადვოკატირებისა და დაფინანსების მოპოვების სპეციალურ სამოქმედო გეგმას, რომელსაც შესაბამისი ადგილობრივი, თუ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით განახორციელებს, რათა ხელი შეეწყოს ხელოვნურ განაყოფიერებასა და დაავადებების პრევენციას.
ნებისმიერი პარტნიორი ორგანიზაცია	მესტიის მუნიციპალიტეტი, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, კერძო ბიზნესი, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები.
განხორციელების ვადა	2020 – 2024წწ



<p><b>მოსალოდნელი შედეგები / ინდიკატორები და სამიზნეები</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• დაავადებული ცხოველების რაოდენობის შემცირება;</li> <li>• ფერმერების (ქალების, მამაკაცების, ახალგაზრდებისა და ა.შ.) ცნობიერების ამაღლება ხელოვნური განაყოფიერებისა და ცხოველთა დაავადებების შესახებ;</li> <li>• მეცხოველეობაზე პროფესიული პროგრამების/მოკლევადიანი კურსების რაოდენობის ზრდა;</li> <li>• გადამზადებული ფერმერების რაოდენობის ზრდა (სეგრეგაცია სქესის, ასაკის ნიშნით) გაზრდილი პროდუქტიულობა, ძირითადად რძის წარმოების მიმართულებით;</li> <li>• შექმნილი სამუშაო ადგილების რაოდენობის ზრდა (სეგრეგირებული სქესის, ასაკისა და სხვა ნიშნით);</li> <li>• ხელოვნური განაყოფიერებისა და ვაქცინების საჭირო რაოდენობით მომარაგების უზრუნველყოფა.</li> </ul>
<p><b>პრიორიტეტი</b></p>	<p><b>მაღალი</b></p>

**ამოცანა 4.3**

სოფლის მეურნეობის მხარდამჭერი პროგრამების შესახებ ცნობიერების ამაღლება და ფერმერების, განსაკუთრებით ქალებისა და ახალგაზრდებისთვის, ინფორმაციაზე წვდომის გაუმჯობესება.

**დასაბუთება** – სოფლის მეურნეობის განვითარება როგორც სახელმწიფო, ასევე საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. სექტორის მხარდაჭერისათვის არსებობს როგორც სახელმწიფო, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების პროგრამები. თუმცა მესტიის მუნიციპალიტეტში ჩატარებული კვლევა ცხადყოფს, რომ მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე არსებულ პროგრამებთან დაკავშირებით დაბალია. ადგილობრივი ოჯახების უმრავლესობა ისურვებდა, მიეღო დამატებითი ინფორმაცია, მათ შორის, ტექნიკური მხარდაჭერის, სადაზღვევო სქემების, სუბსიდიებისა და სხვა ხელმისაწვდომი ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ.

სტრატეგიული ამოცანა 4.3.1	
<p><b>სტრატეგიული აქტივობის დასახელება</b></p>	<p>სოფლის მეურნეობის მხარდამჭერი პროგრამების შესახებ საინფორმაციო სესიებისა და სამუშაო შეხვედრების ორგანიზება</p>
<p><b>სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა</b></p>	<p>შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან თანამშრომლობით, მნიშვნელოვანია, LAG-ის კოორდინაციით მოეწყოს საინფორმაციო შეხვედრები მოსახლეობასთან და ადგილობრივ ფერმერებთან სოფლის მეურნეობის მხარდამჭერი პროგრამების შესახებ. საინფორმაციო შეხვედრებს ექნება ორი კომპონენტი:</p> <p>(1) <b>ინფორმირების კომპონენტი</b> – რომელიც მიზნად ისახავს დეტალური ინფორმაცია მიწოდოს არსებული პროგრამების შესახებ სოფლის მეურნეობის სექტორში ჩართულ მოსახლეობას/ფერმერებს. განუმარტოს მონაწილეობის წესები და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაცია გაუწიოს მონაწილეობისთვის აუცილებელი პროცედურებისა და მოთხოვნების მიმართულებით.</p> <p>(2) <b>უკუკავშირის კომპონენტი</b> – რომლის თანახმადაც ფერმერები ინფორმაციას მოგვაწვდიან სახელმწიფო და საერთაშორისო მხარდამჭერი პროგრამებით სარგებლობის პროცესში წამოჭრილი პრობლემებისა და ბარიერების შესახებ, ამასთან, თუ როგორ შეიძლება აღნიშნული პროგრამების ადგილობრივი კონტექსტისათვის კიდევ უფრო მეტად მორგება.</p> <p>მესტიის მუნიციპალიტეტში, სოფლის მეურნეობის მიმართულებით არსებული პრობლემების ანალიზზე დაყრდნობით, რეკომენდებულია ინფორმაციის მიწოდება შემდეგ პროგრამებთან დაკავშირებით:</p> <p><b>სახელმწიფო პროგრამები:</b> დანერგე მომავალი, შეღავათიანი აგროკრედიტი, აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა, გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი, აგროდაზღვევა, ფერმერის/ფერმერთა რეგისტრაციის პროექტი.</p> <p><b>დონორების მიერ დაფინანსებული პროგრამები:</b> GRETA – ტურიზმისა და ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდაჭერის პროგრამა, „ENPARD III მესტია“- სოფლების განვითარების მხარდაჭერის პროგრამა.</p> <p>უცნებელი სურსათის წარმოების შესახებ ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება.</p>
<p><b>ძირითადი სამიზნე ჯგუფ(ებ)ი</b></p>	<p>მესტიის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის სექტორში ჩართული მოსახლეობა/ფერმერები. ასევე, სახელმწიფო სტრუქტურებისა და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები.</p>

<b>პასუხისმგებელი პირები/ორგანიზაციები</b>	მესტიის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG), შესაბამისი არასამთავრობო და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.
<b>ზემო სვანეთის LAG-ის პასუხისმგებლობა და როლი</b>	აღნიშნული აქტივობის განხორციელებისთვის მესტიის LAG-მა უნდა უზრუნველყოს: <ol style="list-style-type: none"> <li>(1) <b>საინფორმაციო კამპანიის განხორციელება:</b> სტრატეგიული აქტივობის განხორციელებისთვის შესაძლებელია პროექტის შემუშავება. რომელიც გამოიკვლევს იმ მიმართულებებს, რომელზედაც მესტიის ფერმერებს (ქალებს, მამაკაცებს, ახალგაზრდებსა და ა.შ.) სურთ ინფორმაციის მიღება. შეიმუშავებს საინფორმაციო ბროშურებს მხარდაჭერი პროგრამების შესახებ;</li> <li>(2) <b>საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება:</b> მნიშვნელოვანია გაიმართოს შეხვედრები კონკრეტული პროგრამების გარშემო, რომლის ფარგლებშიც შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები მიაწვდიან ინფორმაციას ფერმერებს (ქალებს, მამაკაცებს, ახალგაზრდებს და ა.შ.);</li> <li>(3) <b>სამუშაო შეხვედრების ორგანიზება:</b> გარდა ინფორმაციის მიწოდებისა, ხშირ შემთხვევაში, ფერმერებს (ქალებს, მამაკაცებს, ახალგაზრდებსა და ა.შ.) დამატებითი კითხვები უჩნდებათ კონკრეტული პროგრამებით სარგებლობისთვის განაცხადის შემუშავების პროცესში, შესაბამისად, მნიშვნელოვანია მესტიის LAG-მა უზრუნველყოს ტექნიკური მხარდაჭერა სპეციალური სამუშაო შეხვედრების ფარგლებში.</li> </ol>
<b>ნებისმიერი პარტნიორი ორგანიზაცია</b>	მესტიის მუნიციპალიტეტი, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, APMA, FAO, USAID, ENPARD, GRETA და სხვა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისა და პროგრამების წარმომადგენლები.
<b>განხორციელების ვადა</b>	2020 – 2022წწ
<b>მოსალოდნელი შედეგები / ინდიკატორები და სამიზნეები</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• როგორც სახელმწიფო, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ინიცირებული პროექტების ბენეფიციართა (სეგრეგირებული სქესის, ასაკისა და სხვა ნიშნით) რაოდენობის გაზრდა;</li> <li>• სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის პროგრამების შესახებ ცნობიერების გაზრდა;</li> <li>• ფერმერების (სეგრეგირებული სქესის, ასაკისა და სხვა ნიშნით) მიერ ინიცირებული პროექტების რაოდენობის ზრდა;</li> <li>• ფერმერების მიერ დაფინანსების მოპოვების შემთხვევების გაზრდა;</li> <li>• ინფორმირებული ფერმერების რაოდენობის ზრდა (სეგრეგაცია სქესის, ასაკის ნიშნით);</li> <li>• სახელმწიფო პროგრამებისა და დონორების წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლება იმ დაბრკოლებების შესახებ, რომელსაც აწყდებიან ფერმერები (ქალები, მამაკაცები, ახალგაზრდები და ა. შ.) პროგრამებით სარგებლობის პროცესში/ვერს ახერხებენ პროგრამებით სარგებლობას.</li> </ul>
<b>პრიორიტეტი</b>	<b>მაღალი</b>

#### ამოცანა 4.4.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის გადამამუშავებელი/შემნახველი ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა

**დასაბუთება** – დამატებული ღირებულების ზრდა სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. მესტიის მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავების (მუნიციპალიტეტში მხოლოდ რძის საწარმოა), შენახვის სერვისების, მათ შორის, სასაკლაოს (მუნიციპალიტეტში მხოლოდ ერთი სასაკლაოა, დაბა მესტიაში) არარსებობა მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. საჭირო ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო, ფერმერები (ქალები, მამაკაცები, ახალგაზრდები და ა.შ.) ვერ ახერხებენ პროდუქციის გადამამუშავებას, შესაბამისად, მოსავლის აღებისთანავე პირველადი სახით ყიდიან სოფლის მეურნეობის პროდუქტს.

მესტიის მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის გადამამუშავებელი/შემნახველი ინფრასტრუქტურის არსებობა ღირებულებას შესძენდა სოფლის მეურნეობის პირველად წარმოებას, გაზრდიდა სოფლის მეურნეობაში შექმნილ დამატებულ ღირებულებას, განავითარებდა ადგილობრივ ბაზარს, ხელს შეუწყობდა ბაზარზე (მათ შორის, ექსპორტზე) ორიენტირებული ჯაჭვის შექმნას, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში წაახალისებდა საოჯახო მეურნეობიდან მსხვილ ფერმერულ მეურნეობებზე გადასვლას. აღნიშნულ პროცესში მნიშვნელოვანია ტერიტორიული ერთეულის მახასიათებლების გათვალისწინება, ამასთან სასაწყობო და გადამამუშავებელი საწარმოების არსებული პოტენციალის შესწავლა.

სტრატეგიული აქტივობა 4.4.1	
სტრატეგიული აქტივობის დასახელება	გადამამუშავებელი საწარმოების შექმნის ხელშეწყობა
სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა	<p>აღნიშნული აქტივობის ფარგლებში უზრუნველყოფილი უნდა იყოს შემდეგი მიმართულებები, რომელიც ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოს შექმნას.</p> <p>(1) <b>საბაზისო კვლევის ჩატარება:</b> უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია ტერიტორიული ერთეულის მახასიათებლებისა და წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის გათვალისწინებით, განისაზღვროს რა ტიპის გადამამუშავებელი საწარმოა შესაბამისი. რა ტიპის მოთხოვნა არსებობს ბაზარზე და როგორია თანამედროვე საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკა/ტექნოლოგიები მსგავსი საწარმოს მშენებლობისთვის;</p> <p>(2) <b>ფინანსური მხარდაჭერა:</b> სახელმწიფო პროგრამა, რომელიც გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების დაფინანსებას უზრუნველყოფს, საჭიროებს ბენეფიციარის 50%-იან თანამონაწილეობას, რაც მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს დაფინანსების მოძიების კუთხით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, კერძო ბიზნესის დაინტერესება აღნიშნული მიმართულებით;</p> <p>(3) <b>ტექნიკური მხარდაჭერა:</b> მოიცავს ბიზნესგეგმის შემუშავების პროცესში ფერმერების (ქალები, მამაკაცები, ახალგაზრდები და ა.შ.) დახმარებასა და პოტენციური პარტნიორების მოძიების პროცესში მხარდაჭერას.</p> <p>პრიორიტეტი შესაძლებელია მიენიჭოს ხორცისა და რძის პროდუქტების გადამამუშავებას.</p>
ძირითადი სამიზნე ჯგუფ(ებ)ი	მესტიის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის სექტორში ჩართული მსხვილი ფერმერები და მეწარმეები, ეროვნული და საერთაშორისო ინვესტორები, კერძო ბიზნესის წარმომადგენლები.
პასუხისმგებელი პირები/ორგანოები	მესტიის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG), შესაბამისი საჯარო და კერძო ინსტიტუტები.
ზემო სვანეთის LAG-ის პასუხისმგებლობა და როლი	ამ აქტივობის ფარგლებში LAG ჩართული იქნება სამ აქტივობაში: (1) კვლევის კოორდინაციაში; (2) ფინანსური რესურსების მოპოვებისთვის შესაბამისი პროცედურების მხარდაჭერის პროცესში; (3) გრანტის მოსაპოვებლად ტექნიკური მხარდაჭერის გაწევაში.
ნებისმიერი პარტნიორი ორგანიზაცია	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო (APMA); ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები.
განხორციელების ვადა	2020 – 2022წწ
მოსალოდნელი შედეგები / ინდიკატორები და სამიზნეები	<ul style="list-style-type: none"> <li>• ახალი მცირე გადამამუშავებელი საწარმოების რაოდენობის ზრდა;</li> <li>• პირველადი სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების დადგენილი გადამამუშავებელი</li> <li>• საწარმოების რაოდენობისა და სახეობის ზრდა;</li> <li>• ადგილობრივი წარმოების მოცულობის ზრდა;</li> <li>• არსებული საწარმოების, განსაკუთრებით ქალებისა და ახალგაზრდების საკუთრებაში არსებული, გაზრდილი მაჩვენებლები;</li> <li>• მოწყვლადი ჯგუფებისთვის შექმნილი (ქალები, ახალგაზრდების, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირების და ა.შ.) სამუშაო ადგილების რაოდენობის ზრდა;</li> <li>• საწარმოებში დასაქმებული სამუშაო ძალის, განსაკუთრებით ქალებისა და ახალგაზრდების, უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციის განმავითარებელი პროგრამების რაოდენობის ზრდა;</li> <li>• მაღალანაზღაურებად პოზიციებზე დასაქმებული მოწყვლადი ჯგუფების (ქალები, ახალგაზრდების, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირების და ა.შ.) რაოდენობის ზრდა.</li> </ul>
პრიორიტეტი	საშუალო

სტრატეგიული აქტივობის დასახელება	
სტრატეგიული აქტივობის დასახელება	სამაცივრე და სასაწყობე ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა
სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა	<ul style="list-style-type: none"> <li>• აღნიშნული აქტივობის ფარგლებში უზრუნველყოფილი უნდა იყოს შემდეგი მიმართულებები, რომელიც ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობების პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოს შექმნას.</li> <li>• საბაზისო კვლევის ჩატარება: უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია ტერიტორიული ერთეულის მახასიათებლებისა და წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის გათვალისწინებით, განისაზღვროს რა ტიპის სამაცივრე და სასაწყობე ინფრასტრუქტურაზე მოთხოვნა. ასევე გაირკვეს, თუ როგორია თანამედროვე საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკა/ტექნოლოგიები მსგავსი ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის;</li> <li>• ფინანსური მხარდაჭერა: სახელმწიფო პროგრამა, რომელიც შემნახველი საწარმოების დაფინანსებას უზრუნველყოფს, საჭიროებს ბენეფიციარის 50%-იან თანამონაწილეობას, რაც მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს დაფინანსების მოძიების კუთხით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, კერძო ბიზნესის დაინტერესება აღნიშნული მიმართულებით;</li> <li>• ტექნიკური მხარდაჭერა: მოიცავს ბიზნესგეგმის შემუშავების პროცესში ფერმერების (ქალების, მამაკაცების, ახალგაზრდებისა და ა.შ.) დახმარებასა და პოტენციური პარტნიორების მოძიების პროცესში მხარდაჭერას.</li> <li>• პრიორიტეტი შესაძლებელია მიენიჭოს ბოსტნეულისა და ხილის სასაწყობე და სამაცივრე მეურნეობების განვითარებას.</li> </ul>
ძირითადი სამიზნე ჯგუფ(ებ)ი	მესტიის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის სექტორში ჩართული მსხვილი ფერმერები და მეწარმეები, ეროვნული და საერთაშორისო ინვესტორები, კერძო ბიზნესის წარმომადგენლები.
პასუხისმგებელი პირები/ორგანოები	მესტიის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG), შესაბამისი საჯარო და კერძო ინსტიტუტები.
ზემო სვანეთის LAG-ის პასუხისმგებლობა და როლი	ამ აქტივობის ფარგლებში LAG ჩართული იქნება სამ აქტივობაში: (1) კვლევის კოორდინაციაში; (2) ფინანსური რესურსების მოპოვებისთვის შესაბამისი პროცედურების მხარდაჭერის პროცესში; (3) გრანტის მოსაპოვებლად ტექნიკური მხარდაჭერის გაწევაში.
ნებისმიერი პარტნიორი ორგანიზაცია	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო (APMA); ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები.
განხორციელების ვადა	2020 – 2024წწ
მოსალოდნელი შედეგები / ინდიკატორები და სამიზნეები	<ul style="list-style-type: none"> <li>• სასაწყობე ობიექტების რაოდენობის ზრდა;</li> <li>• სამუშაო ადგილების რაოდენობის ზრდა;</li> <li>• ადგილობრივი ნედლი მასალის რაოდენობის ზრდა, რომელიც მიეწოდა სასაწყობე ობიექტებს;</li> <li>• ფერმერების (ქალების მამაკაცების, ახალგაზრდებისა და ა.შ.) ცნობიერების ამაღლება სამაცივრე და სასაწყობე ინფრასტრუქტურის განვითარების შესახებ;</li> <li>• პროფესიული პროგრამების/მოკლევადიანი კურსების რაოდენობის ზრდა, რომლებიც შეეხება სამაცივრე და სასაწყობე ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხებს;</li> <li>• გადამზადებული ფერმერების რაოდენობის ზრდა (სეგრეგირებული სქესის, ასაკის ნიშნით).</li> </ul>
პრიორიტეტი	საშუალო

#### ამოცანა 4.5

სოფლის მეურნეობისათვის საჭირო ცოდნისა და უნარ-ჩვევების გაუმჯობესების ხელშეწყობა ადგილობრივი ფერმერებისათვის.

**დასაბუთება** – თანამედროვე ტექნოლოგიების არცოდნა, მათ შორის, დაავადებათა მართვის მიმართულე-ბით, მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის თვალსაზრისით. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, როგორც მეცხოველეობის, ასევე მემცენარეობის მიმართულე-ბით, დაავადებათა დროული პრევენცია, მნიშვნელოვნად შეამცირებდა მუნიციპალიტეტში არსებულ გამოწვევას. ამასთან, თანამედროვე მეთოდების ცოდნა და დანერგვა გაზრდის სოფლის მეურნეობით მიღებულ შემოსავლებს. ამ მიმართულებით, რესურსების სწორი მობილიზაცია ხელს შეუწყობს პროდუქციის ისეთ ფასწარმოქმნას, რომელიც უფრო მომგებიანი იქნება ფერმერებისთვის. მესტიის მუნიციპალიტეტში ჩატარებული კვლევის პროცესში გამოვლინდა, რომ მესტიის მუნიციპალიტეტის ფერმერებს არ აქვთ ინფორმაცია თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკებისა და ახალი ტექნოლოგიების შესახებ, რასაც შეუძლია



მნიშვნელოვნად გაზარდოს სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობა. აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრას ფერმერები, როგორც მოკლევადიან, ასევე გრძელვადიან პერსპექტივაში ხედავენ.

- 1) **მოკლევადიანი პერსპექტივა:** სხვადასხვა ტრენინგებისა და გადამზადების კურსები ფერმერებისთვის, რომლებიც უზრუნველყოფს ფერმერების (ქალების, მამაკაცების, ახალგაზრდებისა და ა.შ.) ახალი უნარებითა და ტექნიკური ცოდნით აღჭურვას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს თანამედროვე მეთოდების დანერგვას. ასევე დაეხმარება მათ სოფლის მეურნეობის საქმიანობაში ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებასა და ბაზრის მოთხოვნების უკეთ დაკმაყოფილებაში;
- 2) **გრძელვადიანი პერსპექტივა:** ადგილობრივი ფერმერების (ქალების, მამაკაცების, ახალგაზრდების და ა.შ.) ხედვით მნიშვნელოვანია, სასოფლო-სამეურნეო მიმართულებით განათლების სისტემური პოპულარიზაცია და ადგილზე პროფესიონალების უწყვეტი განვითარების ხელშეწყობა, რაც გააუმჯობესებს ფერმერთა (ქალების, მამაკაცების, ახალგაზრდებისა და ა. შ.) პროფესიულ უნარებს და ხელს შეუწყობს ოპტიმალური წარმოების მიღწევას გრძელვადიან პერსპექტივაში.

სტრატეგიული აქტივობა 4.5.1	
<b>სტრატეგიული აქტივობის დასახელება</b>	პროფესიული შესაძლებლობების გაძლიერება და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა სასწავლო ღონისძიებების მეშვეობით.
<b>სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა</b>	სტრატეგიული აქტივობის განხორციელება მნიშვნელოვანია წარიმართოს სამი მიმართულებით: (1) <b>კვლევა:</b> გაირკვეს, თუ რა სახის ტექნოლოგიების შესწავლას საჭიროებენ ფერმეები და უზრუნველყოფილი იქნეს თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაყრდნობით ტრენინგების თემატიკის შემუშავება; (2) <b>ტრენინგები:</b> ტრენინგები ჩატარდეს სოფლის მეურნეობის პრიორიტეტულ მიმართულებებზე სხვადასხვა ექსპერტებთან ერთად; (3) <b>პრაქტიკული აქტივობები:</b> უზრუნველყოფილი იყოს ფერმერების მონაწილეობა პრაქტიკულ (გადამზადების) აქტივობებში, როგორც საქართველოში, ასევე საქართველოს ფარგლებს გარეთ. გათვალისწინებულ იქნას კულტურების წარმოებაში ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: მავნებლებისა და დაავადებების კონტროლის, სასუქების გამოყენება, მცენარეების დარგვის მეთოდები, ნარგავებისათვის ნიადაგის მომზადება, მარკეტინგი, მოსავლის დივერსიფიკაცია, წყლის რესურსების მართვა, მოსავლის აღება და მოსავლის აღების შემდგომი საქმიანობა.
<b>ძირითადი სამიზნე ჯგუფ(ებ)ი</b>	ფერმერები, რომლებიც ძირითადად ჩართული არიან ბოსტნეულის (განსაკუთრებით კარტოფილის), ხორცის, რძის, ხილის (მათ შორის, კენკროვანების) წარმოებაში.
<b>პასუხისმგებელი პირები/ორგანოები</b>	მესტიის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG), შესაბამისი საჯარო და კერძო ინსტიტუტები.
<b>ზემო სვანეთის LAG-ის პასუხისმგებლობა და როლი</b>	ამ აქტივობის ფარგლებში LAG ჩართული იქნება სამ აქტივობაში: (1) ტრენინგებისთვის მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო მიმართულებების გამოვლენა; (2) ტრენინგების ორგანიზება; (3) ინფორმაციის მიწოდება ფერმერებისთვის, რომლებსაც მონაწილეობა არ მიუღიათ ტრენინგებში.
<b>ნებისმიერი პარტნიორი ორგანიზაცია</b>	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო (APMA), საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები.
<b>განხორციელების ვადა</b>	2020 – 2022წწ
<b>მოსალოდნელი შედეგები / ინდიკატორები და სამიზნეები</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• დაავადებების პრევენცია, დაავადებული ცხოველებისა და მცენარეების რაოდენობის შემცირება;</li> <li>• გაზრდილი პროდუქტიულობა მეცენარეობისა და მეცხოველეობის მიმართულებით;</li> <li>• შექმნილი ახალი სამუშაო ადგილების რაოდენობა;</li> <li>• ფერმების გაზრდილი შემოსავალი;</li> <li>• სოფლის მეურნეობის სფეროში მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობის წამახალისებელი კამპანიების რაოდენობის გაზრდა;</li> <li>• სოფლის მეურნეობის სფეროში ჩართული და სფეროთი დაინტერესებული ქალებისთვის მოკლევადიანი საგანმანათლებლო კურსებისა და საგრანტო მექანიზმების შექმნა;</li> <li>• სოფლის მეურნეობის სფეროთი ქალებისა და ახალგაზრდების დაინტერესების გასაზრდელად საინფორმაციო კამპანიების წარმოება.</li> </ul>
<b>პრიორიტეტი</b>	მაღალი

## 7. გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსები

გარემოს დაცვა გულისხმობს არსებული ბუნებრივი გარემოს დაცვასა და შენარჩუნებას, შესაძლო ზიანის აღმოფხვრასა და გამოსწორებას, სწორი ტენდენციების დანერგვასა და ბუნებრივი ბალანსის აღდგენას.

მსოფლიოს უმეტესი ქვეყნისათვის და, მათ შორის, საქართველოსთვის გარემოს დაცვა, ეკოსისტემების შენარჩუნება და ბუნებრივი ბალანსის აღდგენა უმნიშვნელოვანესი პრობლემა გახდა, რაც აისახება სოციალურ, ეკონომიკურ, დემოგრაფიულ და ეკოლოგიურ პირობებზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ზემო სვანეთის მაღალმთიანეთი თავისი უნიკალური ბუნებრივი ლანდშაფტით, მრავალი ხუროთმოძღვრული, ეთნოგრაფიული, ისტორიულ-კულტურული ძეგლით, სადაც ალპინიზმისა და სამთო ტურიზმის განვითარების დიდი პოტენციალი არსებობს, რაც რეგიონის გარემოს დაცვის ზოგიერთ საკითხზე მკვეთრად აისახება და შესაძლოა მომავალში ძირეული ცვლილებები გამოიწვიოს.

### 7.1. სტიქიური პროცესები

სტიქიური პროცესების საშიში გამოვლინების თვალსაზრისით, ზემო სვანეთის რეგიონი (მესტიის მუნიციპალიტეტი) გამორჩეულია საქართველოს რეგიონებს შორის. აღნიშნულს განაპირობებს მდ. ენგურის წყალშემკრები აუზის მთიანი, ძლიერ დანაწევრებული რელიეფი და რთული გეოლოგიური აგებულება, კლიმატურ-მეტეოროლოგიური პირობები და გეოლოგიურ გარემოზე ანთროპოგენული ზემოქმედების მზარდი მასშტაბები.

მესტიის მუნიციპალიტეტში სტიქიური პროცესების ექსტრემალური გამოვლინება არაერთხელ გამხდარა დიდი ზიანის მიზეზი. მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან დღემდე, მესტიის მუნიციპალიტეტი ეკომიგრანტის სტატუსით დატოვა რამდენიმე ასეულმა ოჯახმა. მესტიის მუნიციპალიტეტში ფიქსირდება მთელი რიგი ბუნებრივი საფრთხეები, როგორებიცაა: მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზვავი, ქვათაცვენა, წყალდიდობა, წყალმოვარდნა, თოვლის ზვავი, ეროზია, შვავი და გამოფიტვის პროცესები.

მდ. ენგურის პირველი რიგის შენაკადებს ახასიათებს პერიოდული წყალდიდობა-წყალმოვარდნა, ხოლო მეორე რიგის შენაკადები თითქმის ყველა ღვარცოფულია, უმეტესი მათგანის სათავეებში კი მეწყრული კერებია განვითარებული.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით, 2018 წლის მონაცემებით დაფიქსირდა აქტიური 70 მეწყრული უბანი, 45 ღვარცოფული ხევი, 16 ეროზიის უბანი და 15 კლდეზვავი-ქვათაცვენის უბანი (გრაფიკი №1).

### 7.2. მესტიის მუნიციპალიტეტში ბუნებრივი საფრთხეების მაგალითები

**დაბა მესტიაში** – განვითარებულია მეწყრული და ღვარცოფული პროცესები, თუმცა დღეის მდგომარეობით ყველაზე აქტიურია მდ. მესტიაჭალაზე მიმდინარე პროცესები:

2019 წლის ივლისის თვეში უხვმა ატმოსფერულმა ნალექმა და თოვლის ინტენსიურმა დნობამ გამოიწვია მდ. მესტიაჭალის ადიდება და მშენებარე ჰესის ინფრასტრუქტურის დაზიანება, ასევე წაიღო საფეხმავლო ხიდი და გზა; ხოლო 2018 წელს დაფიქსირებულმა უხვმა ატმოსფერულმა ნალექებმა (ივნისში – 80 მმ, ივლისში – 220.8 მმ, აგვისტო – 87.9 მმ), გამოიწვია მდ. მესტიაჭალის ადიდება, მდინარის მიერ გამოტანილმა მასალამ დააზიანა საავტომობილო გზა, საფეხმავლო ხიდი და არსებული გაბიონები<sup>44</sup>.

2017 წლის 1 სექტემბერშიც ადიდდა მდ. მესტიაჭალა და მისი მარჯვენა შენაკადი მდ. ჭალაათი. მდინარეების მიერ გამოტანილმა მყარმა ნატანმა მშენებარე ჰესის კომპლექსის ინფრასტრუქტურა დაფლა და სერიოზული ზიანი მიაყენა.

**ჭუბერის თემი** – 2018 წლის 4-5 ივლისს მოსულმა ჭარბმა ატმოსფერულმა ნალექებმა მდ. ნენსკრას სათავეებში ღვარცოფული პროცესი გაააქტიურა. ს. სგურიშის ჩრდილოეთ ნაწილში ღვარცოფის გავლის დროს ღვარცოფული ნაკადი მარჯვენა ნაპირისკენ გაედინებოდა და მდ. ნენსკრას ადიდებულმა ნაკადმა, რომელიც გადავსებული იყო ხემცენარეებით, წაიღო მდ. ნენსკრაზე არსებული ს. სგურიში, ს. ტიტას დამაკავშირებელი გზის მონაკვეთი და საავტომობილო ხიდი. ს. ლეწფერში მდ. ნენსკრას მარჯვენა ჭალის მაღალ ტერასაზე ღვარცოფის გავლისას კალაპოტი ჩაიხერგა ჩამონატანი ხემცენარეებით, რის გამოც ნაკადმა წარეცხა მარჯვენა ნაპირი დაახლოებით 50-55 მეტრის სიგანეზე. ღვარცოფული პროცესების მოქმედებით ასევე დაზიანდა ჭუბერის თემის შემდეგი სოფლები: სგურიში, ყარი, დევრა, ლეწფერი, ქვემო მარლი, ლეკალმახე და ლუხა. ღვარცოფულმა ნაკადმა დააზიანა: საცხოვრებელი სახლები, საკარმიდამო ნაკვეთები, საავტომობილო გზის მონაკვეთები და სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტები (ფოტომასალა).

<sup>44</sup> საინფორმაციო ბიულეტენი – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის სტიქიური გეოლოგიური პროცესების მონიტორინგის ყოველწლიური ანგარიში, თბილისი. 2018-2019 წწ.



**ხაიშის თემი** – 2018 წლის ივლისის თვეში ხაიშურას ხეობაში მოსული ნალექების დიდმა რაოდენობამ (220 მმ) განაპირობა, მდ. ხაიშურასა და მდ. ვედრულას ადიდება, ღვარცოფულმა ნაკადებმა დააზიანა შიდა საუბნო გზების მონაკვეთები. ღვარცოფი ასევე განვითარდა მდ. შავი ლელის კალაპოტში, ს. ვედის ტერიტორიაზე, სადაც ღვარცოფმა გამოიწვია შიდა საუბნო გზისა და ხიდის დაზიანება.<sup>45</sup>

**ბეჩოს თემი** – მდ. დოლრას მარცხენა შენაკადზე ს. მაზერთან 2017 წლის 1 სექტემბერს უხვმა ატმოსფერულმა ნალექმა გააქტიურა კალაპოტში დაგროვილი მასალა და წარმოშვა ქვატალახიანი ტიპის ღვარცოფული ნაკადის გააქტიურება. ღვარცოფულმა ნაკადმა დააზიანა არსებული ნაპირსამაგრი და სასოფლო-სამეურნეო სავარგულები. მდინარის სათავეში არსებული მეწყრული პროცესები ერთ-ერთი მაპროვოცირებელი ფაქტორი იყო ღვარცოფული ნაკადის გააქტიურებისათვის.

**ზუგდიდი-ჯვარი-მესტია-ლასდილის საავტომობილო გზა** – წელიწადის ყველა სეზონზე მეწყრულ-გრავეიტაციული პროცესები, ღვარცოფული ნაკადები და თოვლის ზვავები დიდ ზიანს აყენებს საავტომობილო გზას, რომელიც მუნიციპალიტეტისთვის ერთადერთი დამაკავშირებელია რეგიონთან. სტიქიური პროცესები ხელს უშლის გზის უსაფრთხო ფუნქციონირებას და, ასევე, რეგიონში აფერხებს ტურიზმის განვითარებას. პროცესების გააქტიურება აზიანებს ბეტონისა და ასფალტის საფარს, რასაც გზის გარკვეულ უბნებზე მოჭყვება დეფორმაცია ან სრული ჩაწყვეტა<sup>4</sup>. საავტომობილო გზაზე განვითარებული გრავეიტაციული პროცესები, ხშირ შემთხვევაში, ხერგავს გზას და მხოლოდ სპეცტექნიკის გაწმენდითი სამუშაოების შემდგომ ხდება შესაძლებელი მოძრაობის აღდგენა (ფოტომასალა).



ზემო სვანეთის რეგიონში სტიქიური პროცესების გააქტიურება განაპირობა კლიმატის ცვლილებამ, ადამიანის გაზრდილმა ზემოქმედებამ გარემოზე და რეგიონში მიწისძვრების გახშირებამ (იხ. ცხრილი №35).

მესტიის მუნიციპალიტეტის 6 თემში (ბეჩოში, ლენჯერში, მესტიაში, მულახში, ნაკრასა, ჭუბერში) 2014–2015 წლებში განხორციელდა ბუნებრივი საფრთხეების ზონირება და დეტალური საფრთხეების რუკების შედგენა, რომელიც შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს დაფინანსებითა და სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ხელშეწყობით მომზადდა, ასევე სხვადასხვა ინსტიტუციების მიერ რეგიონში

<sup>45</sup> საინფორმაციო ბიულეტენი – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის სტიქიური გეოლოგიური პროცესების მონიტორინგის ყოველწლიური ანგარიში, თბილისი. 2018–2019 წწ.



ჩატარებულია სხვადასხვა სამეცნიერო კვლევა.<sup>46 47</sup> რეგიონში საჭიროა ყველა თემს დამტკიცებული ჰქონდეს განაშენიანების გეგმა, ხოლო ნებისმიერი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებამდე აუცილებელია ჩატარდეს შესაბამისი კვლევები, შეფასდეს რისკები, შემოქმედება გარემოზე და ამის შემდგომ დაიგეგმოს ბუნებრივი რესურსების ათვისების საკითხი.

### 7.3. კლიმატური პირობები

ზემო სვანეთის აღმოსავლეთ ნაწილისათვის ნოტიო კლიმატია დამახასიათებელი, ცივი, ხანგრძლივი ზამთრითა და ხანმოკლე ზაფხულით. ნალექების რაოდენობა 2000-2400 მმ-დან 2200-3200 მმ-მდე აღწევს. თოვლის საფარი 5-6 თვეს გრძელდება. მესტიის მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემებზე დაყრდნობით, 1936-1960 პერიოდისთვის, საშუალო წლიური ტემპერატურა შეადგენდა +5.7°C-ს. იანვრის საშუალო წლიური ტემპერატურა -6.0°C-ს, ხოლო ივლისის საშუალო ტემპერატურამ +16.4°C-ი შეადგინა. აბსოლუტური მინიმუმი -35°C-ია, ხოლო აბსოლუტური მაქსიმუმი +35°C. მონაცემების შედარებამ აჩვენა, რომ მესტიის მუნიციპალიტეტში საშუალო წლიური ტემპერატურა +0.4°C-ით გაიზარდა, ხოლო კლიმატის ცვლილების ფონზე საუკუნის ბოლოს ზემო სვანეთში საშუალო წლიური ტემპერატურა სავარაუდოდ გაიზარდება +4.0°C-ით.<sup>48</sup>

**წყლის რესურსები** – მესტიის მუნიციპალიტეტი მოიცავს მდ. ენგურის აუზის ზემო წელს და მორფოლოგიურად წარმოადგენს მაღალმთიან ჩაკეტილ ე.წ. ზემო სვანეთის ქვაბულს, რომელიც ჩრდილოეთიდან შემოსაზღვრულია კავკასიონის მთავარი ქედით, ხოლო სამხრეთიდან სვანეთის ქედით. მდინარე ენგურის სიგრძე 213 კმ-ია, ხოლო 4060 კმ<sup>2</sup>-ს შეადგენს ფართობი აუზისა, რომელიც იწყება შხარის მყინვარიდან და ერთვის შავ ზღვას სოფ. ანაკლიასთან. მდ. ენგურის მარჯვენა შენაკადებია – ადიშტალა, ხალდეჭალა, მულხრა, დოღრა, ნაკრა, ნენსკრა; მარცხენა – ხაიშურა, ხუმფრერი, ლასილი, მაგანა, ჯუმი და სხვა. მდ. ენგური შერეული საზრდოობის მდინარეა: ზემო წელში წლ. ჩამონადენის 66%-ს შეადგენს თოვლისა და მყინვარის წყალი, 22%-ს – გრუნტის წყალი, 12%-ს – წვიმის წყალი; ქვემო წელში, შესაბამისად – 18%, 26% და 56%-ს. წყალდიდობა იცის გაზაფხულსა და ზაფხულში, წყალმცირეა ზამთარში. საშ. წლ. ხარჯი სოფ. ხაიშთან 109 მ<sup>3</sup>/წმ შეადგენს. მდინარე ენგურზე აგებულია ჯვრის წყალსაცავი ე.წ. „ენგურჰესი“, რომელიც ექსპლუატაციაში 1978 წელს შევიდა.<sup>49</sup> წყლის რესურსების დიდი რაოდენობა განაპირობებს რეგიონის ენერგეტიკულ პოტენციალს. რეგიონში დაგეგმილია და ასევე მიმდინარეობს რამდენიმე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა (ჰესები მდ. მესტიაჭალაზე, ნენსკრაზე, ნაკრაზე).

### 7.4. მყინვარები

თანამედროვე მყინვარების რაოდენობისა და ფართობის მიხედვით მდ. ენგურის აუზი უდიდესია საქართველოში. იგი აღემატება ყველა დანარჩენ აუზებს ერთად აღებულს. 2014 წლის მონაცემებით კი აქ 269 მყინვარია, (ლ. ტიელიძის მიხედვით) საერთო ფართობით 223.39 კმ<sup>2</sup>. 1960-2014 წლებში ენგურის აუზში მყინვარების რაოდენობა 30-ით შემცირდა (10.03%), ხოლო ფართობმა 109.08 კმ<sup>2</sup>-ით დაიკლო (32.78%) (იხ. გრაფიკი №2).

### 7.5. სეისმურობა

საქართველო კავკასიაში წარმოადგენს სეისმურად ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ რეგიონს. მაკროსეისმური დარაიონების სქემისა და საქართველოს სამშენებლო ნორმებისა და წესების მიხედვით ზემო სვანეთის რეგიონი მდებარეობს 9 ბალიანი ინტენსივობის მიწისძვრის ზონაში. სეისმური ბიძგები დიდ ზიანს აყენებს ადგილობრივ მოსახლეობას, არსებულ ინფრასტრუქტურას, გარემოს, ეკოლოგიას და მაღალი რისკის ქვეშ აქცევს ადამიანთა სიცოცხლეს. ზემო სვანეთის რეგიონში სეისმური ბიძგები ერთ-ერთი მაპროვოცირებელი ფაქტორია გეოლოგიური პროცესების გააქტიურებისთვის.

### 7.6. ნიადაგი

ზემო სვანეთში, ისევე, როგორც სხვა მთიან რეგიონებში, ნიადაგწარმოქმნის პროცესი ემორჩილება ვერტიკალური ზონალურობის პრინციპს. შესაბამისად, ნიადაგების ტიპების გავრცელება ძირითადად ჰიფსომეტრიული კანონზომიერების თანახმად იცვლება: ნიადაგურ საფარს მოკლებული, პრიმიტიული, მთა-მდელო, მთა-ტყე-მდელოს, გაქვერებული ყომრალი, ყომრალი სუსტად არამაძლარი და მთის ხეობების ნიადაგები.<sup>50</sup>

<sup>46</sup> ჩხეიძე ი., ჭყონია ზ., ეგიაზაროვა დ., თედორაძე დ. მესტიის მუნიციპალიტეტში მეწყერების, ღვარცოფების და ქვათაცვენების საფრთხის შეფასების და ტერიტორიის ზონირების გეოლოგიური ანგარიში. თბილისი, 2015, 76 გვ.

<sup>47</sup> ეგიაზაროვა დ., ზემო სვანეთის ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების კვლევა გარემოს დაცვის მიზნით. სადოქტორო დისერტაცია. სტუ. 2018, 150 გვ.

<sup>48</sup> ხარძიაანი თ., ზემო სვანეთის ლანდშაფტურ-ეკოლოგიური ანალიზი და ბუნებათსარგებლობის პრობლემები. სადოქტორო დისერტაცია. თსუ. 2018, 135 გვ.

<sup>49</sup> ტრაპაიძე ვ. წყლის რესურსები (სასწავლო კურსი). თსუ. თბილისი, 2012, 133 გვ.

<sup>50</sup> ხარძიაანი თ., ზემო სვანეთის ლანდშაფტურ-ეკოლოგიური ანალიზი და ბუნებათსარგებლობის პრობლემები. სადოქტორო დისერტაცია. თსუ. 2018, 135 გვ.



## 7.7. ტყის რესურსი

ტყე არის ბიოსფეროს მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი, გეოგრაფიული ლანდშაფტის ელემენტი. რეგიონში შენარჩუნებულია ე.წ. „ხელუხლებელი ტყეები“, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი მაღალი დაქანების ფერდობებზეა განფენილი. ასუფთავებს ჰაერს, არეგულირებს წყლის ნაკადებს, იცავს ნიადაგს ეროზიისაგან, დადებითად მოქმედებს ჰაერის მასების მოძრაობასა და ტემპერატურაზე, არის წყარო მრავალფეროვანი ძვირფასი ნედლეულის. მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დაახლოებით 70–80% ტყიან ლანდშაფტს უჭირავს. ქედებისა და მათი განშტოებების თხემური და მიმდებარე ტერიტორიები სუბალპური და ალპური მდელოებითაა წარმოდგენილი. ტყის ჯიშთა შორის მასობრივი გავრცელებით სარგებლობს მარადმწვანე ჯიშები: ნაძვი და სოჭი. ფრაგმენტების სახით გავრცელებულია ფიჭვნარებიც. მებოფილოურ ჯიშთა შორის აღსანიშნავია: რცხილა, წიფელი, მუხა, ჯაგრცხილა, ნეკერჩხალი. ფრაგმენტულად გვხვდება არყნარიც. წარმოდგენილია მარადმწვანე ტყეც. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ტყის ფართობი 272756 ჰა-ია, საიდანაც ხაიშის უბანი 60700 ჰა-ია, ხოლო მესტიის უბანი – 68933 ჰა. რეგიონის განვითარებასთან ერთად ხე-ტყის სამრეწველო დანიშნულებით დამზადების მასშტაბები იზრდება, რაზედაც გაცემულია სპეციალური ლიცენზიები.

ხე-ტყის დამზადების პარალელურად, აუცილებელია ტყის მოვლისა და აღდგენის ღონისძიებების გატარება. რეგიონის ტყეების დეგრადაციის გამომწვევ ძირითად მიზეზად და სამომავლო რისკფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს ბუნებრივი და ანთროპოგენული წარმოშობის ტყის ხანძრები, სანიტარული მდგომარეობა და არარაციონალური ათვისება.

## 7.8. ბიომრავალფეროვნება

მესტიის მუნიციპალიტეტში ცხოველთა შორის გავრცელებულია: ჯიხვი, არჩვი, მგელი, მელა, კურდღელი, ციყვი. ფრინველთა შორის აღსანიშნავია: მთის არწივი, ჩიხკვი, ბელურა, კოდალა და ა.შ. ზემოთ ჩამოთვლილ ცხოველთა ჯიშებს შორის უმეტესობა შეტანილია საქართველოს წითელ წიგნში. დაცული ტერიტორიები ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების საკვანძო ინსტრუმენტია. რაც უფრო დიდი დაცული ტერიტორიების ფართობი, მით უკეთესი პირობებია შექმნილი გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობებისა და ჰაბიტატებისთვის. არსებობს „სვანეთის გეგმარებითი დაცული ტერიტორია“, რომელზეც მუშაობა მიმდინარეობს. ბიომრავალფეროვნების კომპონენტია იქთიოფაუნა, რომლის დეგრადაციას იწვევს მდინარეში ნახერხის მოხვედრა, უკანონო თევზჭერა, წყლის დაბინძურება.

## 7.9. ნარჩენების მართვა

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 იანვრის N18 განკარგულების მიხედვით დამტკიცდა მესტიის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის 2018-2022 წლების გეგმა, რომელიც მიმართულია ნარჩენის წარმოქმნის პრევენციის, შეგროვების სისტემის სრულყოფის, გადამუშავებადი ნარჩენის რეციკლირებისთვის მომზადებისა და განთავსებისთვის. 2014 წლიდან დღემდე, მუნიციპალიტეტის მასშტაბით შესაბამისი მუნიციპალური სამსახურების მიერ გაუქმდა ცხრა სტიქიური ნაგავსაყრელი და ამავე წლიდან ა(ა)იპ „მესტიის დასუფთავების“ სამსახურს ნარჩენი გამოაქვს მუნიციპალიტეტის დასახლებული პუნქტების 60%-დან, წელიწადში აგროვებს დაახლოებით 7 300 მ<sup>3</sup> მოცულობის ნარჩენს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიის 100%-ით ათვისების შემთხვევაში, ეს მონაცემი გაიზრდება დაახლოებით 25%-ით, რაც ნიშნავს 9 125 მ<sup>3</sup> ნარჩენს.

2019 წელს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ა(ა)იპ მესტიის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურისათვის გადაცემული იქნა მიწის ნაკვეთი (ფართობით 9778კვ.მ ) დაბა მესტიაში. ოფისის მშენებლობის მიზნით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით (170 000 ლარი), სამსახურმა გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი. ყოველწლიურად მიმდინარეობს გეგმით გათვალისწინებული სპეც-ტექნიკების ეტაპობრივი შეძენა. გაუმჯობესებულია ადგილობრივი მოსაკრებლის ადმინისტრირების პროცესიც. მუნიციპალური განვითარების ფონდის დახმარებით 2018 წელს შეიძინეს 80 ერთეული 1,1მ<sup>3</sup> მოცულობის მეტალის კონტეინერები, რომელთა ღირებულება იყო 72 000 ლარი. ნაწილით ჩანაცვლდა ამორტიზებული კონტეინერები, ხოლო დანარჩენი რაოდენობა განთავსდა დასახლებებსა და ქუჩებში. მესტიის მუნიციპალიტეტში 2018 წლის მონაცემებით 1,1მ<sup>3</sup> მოცულობის – 129 კონტეინერია, ხოლო 240 ლიტრიანი – 23 პლასტმასის კონტეინერი და 0,6 ლიტრიანი – 22 პლასტმასის კონტეინერი აღირიცხება.

ნარჩენების გეგმის დამტკიცებამდე შეფასდა და დადგინდა, რომ მუნიციპალიტეტში დაბინძურებული ტერიტორიის ფართობი შეადგენს – 20 173 მ<sup>2</sup>, ხოლო ნარჩენის მოცულობა – 784 მ<sup>3</sup>. აღსანიშნავია, რომ არ ჩატარებულა სპეციფიური კვლევები ნარჩენის ქიმიური შემადგენლობის შესასწავლად და გეგმაში ასახული მაჩვენებელი ემყარება, მხოლოდ ადგილზე დაბინძურებული ტერიტორიების ვიზუალურად შესწავლას.

ფართობი	ნარჩენების სახეობა	მოცულობა	დას. პუნქტების რაოდენობა	კომლთა რაოდენობა	მოსახლეობის რაოდენობა	საწარმოთა რაოდენობა	სასტუმროები
20173 მ²	საყოფაცხოვრებო და საწარმოო	784მ³	160	3 825	11 649	167	277

დაბა მესტიიდან, უშგულის, კალის, იფარის, მულახის, ლენჯერის, ლატალის, ბეჩოს, ეცერის, ფარის, ხაიშის, ნაკრის ტერიტორიული ერთეულების ნაწილიდან, სულ 12 ტერიტორიული ერთეული 17-დან, დასუფთავების სამსახურის მიერ მოგროვილი ნარჩენი თავსდება დაბა მესტიაში, სსიპ „მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ დაქვემდებარებაში მყოფ, მოქმედ ნარჩენების გადამტვირთ სადგურში.

2022 წლისთვის იგეგმება მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით ნარჩენის შეგროვება, სეპარაცია (ორგანული ნარჩენი, მინა, მეტალი, ქსაღადი, პლასტმასი) და მეორადი ნედლეულის რეალიზაცია.<sup>51</sup>

### გარემოს დაცვა – SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> <li>• კარგი გეოგრაფიული მდებარეობა;</li> <li>• მრავალფეროვანი ლანდშაფტი;</li> <li>• მდიდარი ბიომრავალფეროვნება (წითელ წიგნში შეტანილი სახეობები, უნიკალური ფლორა და ფაუნა);</li> <li>• ბუნებრივი რესურსები (თევზი, ტყის კენკრა, სამედიცინო დანიშნულების ფლორა);</li> <li>• სასარგებლო წიაღისეული (ოქრო, ქვიშა-ხრეში);</li> <li>• ტყის მდიდარი რესურსები (ე.წ. ხელუხლებელი ტყეები);</li> <li>• წყლის რესურსი (მდინარეები, ტბები, მყინვარები, სასმელი-მტკნარი და მინერალური წყალი);</li> <li>• ჰიდროენერჯის წარმოების ხელსაყრელი პირობები;</li> <li>• მიკროკლიმატური პირობები;</li> <li>• ჯანსაღი გარემო – სუფთა ჰაერი და წყალი;</li> <li>• ნარჩენების მართვის მუნიციპალური გეგმის არსებობა (მოძიებული დონორები);</li> <li>• გარემოს დაცვის საკითხების მიმართ ადგილობრივი მოსახლეობის მზარდი ინტერესი და ჩართულობა (პროფესიული კოლეჯი, საგანმანათლებლო პროექტები);</li> <li>• მესტიის მუნიციპალიტეტის 6 თემისთვის არსებული სტიქიური პროცესების საფრთხეების რუკები;</li> <li>• ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის წარმოების შესაძლებლობა;</li> <li>• არსებული ტრადიციები (ე.წ. „სვანური სამართალი“ გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე);</li> <li>• არსებული კანონმდებლობა (მთის კანონი)</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• გარემოს დაბინძურება (ავტოსატრანსპორტო საშუალებებით, წყალარინების სისტემის არარსებობით, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ნიტრატებითა და სამრეწველო სექტორის მიერ);</li> <li>• შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და სერვისების არარსებობა/გაუმართავობა (კანალიზაციის, ნარჩენი წყლების ჩადინება მდინარეებში და მათი ბაქტერიული დაბინძურება);</li> <li>• გარემოს დაბინძურების ხარისხის სუსტი მონიტორინგის სისტემა და არასაკმარისი ინფრასტრუქტურა;</li> <li>• ნარჩენების მართვის საკითხები (უკანონო ნაგავსაყრელების არსებობა; ნარჩენების შესაფერისი მართვის და არასათანადო მართვის შედეგების თაობაზე მოსახლეობის არასაკმარისი ინფორმირებულობა და მუნიციპალური ნარჩენების მართვის სერვისის არარსული ხელმისაწვდომობა მოსახლეობისათვის);</li> <li>• განახლებადი ენერჯების გამოყენების შეზღუდული გამოცდილება;</li> <li>• ხე-ტყის უკანონო ჭრა (ხე-ტყის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს არარსებობა);</li> <li>• ბუნებათსარგებლობის პროცესის არასაკარისი მონიტორინგი და რეგულირების მექანიზმები;</li> <li>• სტიქიური გეოლოგიური პროცესების პრევენციულ ღონისძიებათა გეგმის არარსებობა, (მეწყობები, ღვარცოფები, წყალდიდობა, ძლიერი წვიმა და ა.შ.);</li> <li>• რეგიონისთვის სტიქიური პროცესების შეფასების საფრთხეებისა და რისკების რუკები;</li> <li>• დიდი ჰესების მშენებლობა;</li> <li>• წყლის რესურსების არარაციონალური მართვა;</li> <li>• ენერგოეფექტური პროექტების არარსებობა;</li> <li>• ზემო სვანეთის რეგიონში მხოლოდ გეგმარებითი დაცული ტერიტორიების არსებობა;</li> <li>• გენგეგმების არარსებობა (თვითნებური მშენებლობები);</li> <li>• ინფრასტრუქტურის გაუმართავობა (ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა);</li> <li>• მოსახლეობის ცნობიერების დაბალი მაჩვენებელი გარემოს დაცვის სფეროში (მოქალაქეების დაბალი ინფორმირებულობა, დაბალი სამოქალაქო პასუხისმგებლობა);</li> <li>• არასაკმარისი კომუნიკაცია თვითმართველობასა და საზოგადოებას შორის;</li> <li>• არასრულყოფილი კანონმდებლობა;</li> <li>• ფინანსური სიმწირე;</li> <li>• კვალიფიციური კადრების ნაკლებობა;</li> <li>• ტურისტული ნაკადის ზრდის ზემოქმედება გარემოზე.</li> </ul>

<sup>51</sup> საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მესტიის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის 2018-2022 წლების გეგმის დამტკიცების შესახებ – <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3960541?publication=0>

შესაძლებლობები	საფრთხემები
<ul style="list-style-type: none"> <li>• სტიქიური პროცესების მართვის გეგმების შემუშავება, რუკების შედგენა, საფრთხეებისა და რისკების განსაზღვრა, პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა, თანამედროვე ადრეული გაფრთხილების სისტემების შემუშავება და განვითარება;</li> <li>• განაშენიანების გეგმების შემუშავება თითოეული თემისთვის;</li> <li>• დაცული ტერიტორიების განვითარება;</li> <li>• ნარჩენების მართვის მუნიციპალური სისტემისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება (ნარჩენების კონტეინერების, ნაგავსაყრელი მანქანებისა და ა.შ. რაოდენობის გაზრდა);</li> <li>• წყლის რესურსების მდგრადი მართვის გეგმების შემუშავება (მინერალური წყლების სამკურნალოდ გამოყენება);</li> <li>• ტყის რესურსის სწორი ათვისება (ტყის კოდექსი, ხე-ტყის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს მშენებლობა);</li> <li>• სასუქისა და პესტიციდების გამოყენებით გამოწვეული რისკების შემცირება;</li> <li>• ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება;</li> <li>• სხვადასხვა განვითარებული ქვეყნის მაღალმთიანი რეგიონის წარმატებული მაგალითის გაზიარება;</li> <li>• გარემოსდაცვით სფეროში ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროექტები;</li> <li>• მუნიციპალიტეტში LAG-ის არსებობა (ტრენინგები გარემოს დაცვის საკითხებზე, მეტი კომუნიკაცია);</li> <li>• გარემოს მონიტორინგის გამკაცრება (საზოგადოების მხრიდან მონიტორინგის წარმოება, საწარმოებისათვის მკაცრი სანქციების დაწესება);</li> <li>• კანონმდებლობის დახვეწა;</li> <li>• ეკოტურიზმის განვითარების შესაძლებლობა.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• გარემოსა და ბუნებრივი რესურსების არაეფექტიანი გამოყენება;</li> <li>• გარემოს დაბინძურებით გამოწვეული სხვადასხვა საფრთხეები;</li> <li>• ეკონომიკური განვითარებისა და რეგიონში ტურიზმის აქტივობის გაზრდის შედეგად ეკოსისტემაზე უარყოფითი ზეგავლენა (იშვიათი სახეობის მცენარეებისა და ცხოველების გადაშენება);</li> <li>• ბუნებრივი კატასტროფების რიცხვის ზრდა კლიმატის ცვლილებისა და გარემოზე ზემოქმედების გაზრდის ფონზე;</li> <li>• ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას გარემოსდაცვითი საკითხების ნაკლებად გათვალისწინება;</li> <li>• სამრეწველო ავარიები, ტყის ხანძრები;</li> <li>• წყლის რესურსების ჭარბი ათვისება, მყინვარების გაქრობა, გრუნტის წყლების დაკარგვა, მდინარეების დაშრობა, მდინარეში მყარი ნატანის ზრდა, მდინარეების დაბინძურება;</li> <li>• კლიმატის ცვლილება (ატმოსფერული ნალექების მატება, გვალვების ხანგრძლივი პერიოდი, მყინვარების დნობა და უკან დახვევა);</li> <li>• რეგიონში მიწისძვრების გააქტიურება;</li> <li>• ფლორის, ფაუნისა და იქთოოფაუნის დეგრადირება/განადგურება (მაგ. ნახერხის მოხვედრა წყალში);</li> <li>• ინფრასტრუქტურული ობიექტების (გზების, გვირაბების, ჰესების, ხიდების) არასწორი დაგეგმვა/განხორციელება;</li> <li>• დიდი ჰესების მშენებლობა;</li> <li>• პოლიტიკური ვითარების არასტაბილურობა.</li> </ul>

## გარემოს დაცვა – ამოცანები და სტრატეგიული აქტივობები

### ამოცანა 1.

კატასტროფების რისკის შემცირების მართვის გეგმების შემუშავება (რუკების, ადრეული გაფრთხილების სისტემების შემუშავება) და გენგეგმების მომზადება.

**დასაბუთება** – რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე სენსიტიურია მესტიის მუნიციპალიტეტი ბუნებრივი კატასტროფების საფრთხეების წინაშე. მუნიციპალიტეტში განსაკუთრებით აღსანიშნავია ღვარცოფული პროცესების აქტიურობა, რაც დასტურდება ბოლო პერიოდში განვითარებული ფაქტებით: მდ. ხაიშურაზე, მდ. ნენსკარაზე, მდ. მესტიაჭალაზე განვითარებულ ღვარცოფულ პროცესებზე. მდ. ენგური და მისი შენაკადები ძირითადად მყინვარული ტიპის მდინარეებია, ხოლო ეს ფაქტი კლიმატის ცვლილების ფონზე ღვარცოფული პროცესების განვითარების საფრთხის დონეს ზრდის. ასევე, მუნიციპალიტეტში ხშირია მეწყრული და ქვათაცვენის პროცესები, თოვლის ზვავები, წყალდიდობა/წყალმოვარდნა, რაც სერიოზულ ზიანს აყენებს რეგიონში არსებულ ინფრასტრუქტურულ ობიექტებს.

ანთროპოგენული ზემოქმედების ზრდა, კლიმატის ცვლილება და რეგიონში მიწისძვრების გააქტიურება მაჩვენებელია ბუნებრივი საფრთხეების რისკების ზრდის, ამიტომ საჭიროა მზადყოფნა, გენგეგმების შემუშავება და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისთვის მზადყოფნა, რომ გამოწვეული ზარალი მინიმუმამდე იქნას დაყვანილი.

<b>სტრატეგიული აქტივობის დასახელება</b>	
<b>სტრატეგიული აქტივობის დასახელება</b>	კატასტროფის რისკის შემცირების გეგმის (DRR) შემუშავება
<b>სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა</b>	კატასტროფის რისკის შემცირების გეგმა საჭიროა მოიცავდეს შემდეგ აქტივობებს: 1) სტიქიური პროცესების პრევენცია და შემცირება (რისკების შეფასება, ადრეული შეტყობინებების სისტემების შემუშავება, თემების ჩართულობა, რესურსების სწორი გამოყოფა და ა.შ.); 2) სტიქიური პროცესებისთვის მზადყოფნა (სამეცნიერო კვლევები, ტრენინგებისა და სიმულაციების ჩატარება და ა.შ.); 3) რეაგირება სტიქიურ პროცესებზე (ინსტიტუციური მექანიზმების ჩამოყალიბება, სამძებრო-სამაშველო ოპერაციების უნარების გაუმჯობესება); 4) რეაბილიტაცია და აღდგენა (კატასტროფების რისკის შემცირებისთვის მუნიციპალიტეტში შესაბამისი გეგმების გაწერა, სტიქიური პროცესების შედეგების შეფასება და ზარალის დათვლა).
<b>ძირითადი სამიზნე ჯგუფები</b>	სტიქიური პროცესების მაღალი საფრთხის ზონაში მყოფი თემები (მაგ: დაბა მესტია, მულახი, ჭუბერი, ხაიში, ლახამულა)
<b>გეოგრაფიული არეალი</b>	აქტივობა საჭიროა მესტიის მუნიციპალიტეტის 17-ვე თემში.
<b>პასუხისმგებელი ორგანოები</b>	მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი, მესტიის მუნიციპალიტეტი, სახელმწიფო სტრუქტურები.
<b>ზემო სვანეთს LAG-ის პასუხისმგებლობა და როლი</b>	მესტიის მუნიციპალიტეტის LAG-ის ჯგუფმა საჭიროა ითანამშრომლოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან და გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან, ერთობლივად ჩაატარონ მუნიციპალიტეტის თანამშრომლებისათვის და ადგილობრივი მოსახლეობისთვის ტრენინგები და სიმულაციური ვარჯიშები საგანგებო სიტუაციების რეაგირების გეგმებთან დაკავშირებით.
<b>სხვა პარტნიორი ორგანიზაცია</b>	სახელმწიფო უწყებები: გარემოს ეროვნული სააგენტო; გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი; საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური; ჯანდაცვის სამინისტრო; ასევე არასამთავრობო ორგანიზაციები; საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები, კერძო სექტორი.
<b>განხორციელების ვადა</b>	2020 – 2022წწ
<b>მოსალოდნელი შედეგები / ინდიკატორები და სამიზნეები</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ჩატარებული ტრენინგების რაოდენობის ზრდა;</li> <li>• ჩატარებული სიმულაციური ვარჯიშების რაოდენობის ზრდა;</li> <li>• მუნიციპალიტეტში საგანგებო სიტუაციების რეაგირების გეგმების შემუშავება და დამტკიცება;</li> <li>• ევაკუაციის გეგმების შემუშავება და გავრცელება;</li> <li>• საფრთხეების და რისკების რუკის შედგენა;</li> <li>• გენგეგმების შემუშავება და დამტკიცება;</li> <li>• ბუნებრივი კატასტროფებისგან დასაცავად აშენებული და მოწყობილი ნაგებობების რაოდენობის ზრდა (გარდა მონიტორინგის სადგურებისა);</li> <li>• შექმნილი ჰიდრომეტეოროლოგიური, რადარული სადგურების რაოდენობა (მაგ: ადრეული და მონიტორინგული სისტემების ინსტალაცია);</li> <li>• მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესახებ გაცემული გაფრთხილებების გაზრდილი ეფექტურობა;</li> <li>• სამაშველო ჯგუფისა და მოსახლეობის (ქალების, მამაკაცებისა და ა.შ) აუცილებელი უნარების გამომუშავება;</li> <li>• სამაშველო ჯგუფისთვის შესაბამისი აღჭურვილობის არსებობა;</li> <li>• ადგილობრივი მოსახლეობის მზაობა და ცოდნის ამაღლების % წილის ზრდა.</li> </ul>
<b>პრიორიტეტი</b>	<b>საშუალო</b>

<b>სტრატეგიული აქტივობის დასახელება</b>	
<b>სტრატეგიული აქტივობის დასახელება</b>	ადრეული გაფრთხილების სისტემების განვითარებისა და მათ შორის მონიტორინგის ქსელის გაფართოების ხელშეწყობა.
<b>სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა</b>	რეგიონისთვის სპეციალურ კვლევებზე დაყრდნობით გამოვლინდეს ყველაზე მაღალი საფრთხის ზონები, სადაც დამონტაჟდება საქართველოსთვის ადაპტირებული ადრეული გაფრთხილების სისტემები. ასევე ჰიდროლოგიური და მეტეოროლოგიური ქსელის გაფართოება და სატელეტურ მონაცემებზე დაკვირვება ხელს შეუწყობს თემებში სტიქიური პროცესების საშიშროების დონის სწრაფ შეფასებასა და, შესაბამისად, ინფორმაციის სწრაფად გაცვლის საფუძველზე, შესაბამისი უწყებების მხრიდან რეაგირებას.
<b>ძირითადი სამიზნე ჯგუფები</b>	სტიქიური პროცესების მაღალი საფრთხის ზონაში მყოფი თემები (მაგ: დაბა მესტია, მულახი, ჭუბერი, ხაიში)



<b>გეოგრაფიული არეალი</b>	აქტივობა საჭიროა განსაკუთრებით განხორციელდეს: დაბა მესტიაში, მულახში, ჭუბერში, ნაკრაში, ბეჩოში, ხაიშის თემებში.
<b>პასუხისმგებელი ორგანოები</b>	მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი, მესტიის მუნიციპალიტეტის მერია, შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურები.
<b>ზემო სვანეთს LAG-ის პასუხისმგებლობა და როლი</b>	ამ აქტივობაში მესტიის მუნიციპალიტეტის LAG-ის ჯგუფის როლი იქნება დონორი ორგანიზაციების მოძიება და ადვოკატირება, რათა შემუშავდეს ადრეული გაფრთხილების სისტემები.
<b>სხვა პარტნიორი ორგანიზაცია</b>	გარემოს ეროვნული სააგენტო; საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური; შსს, თავდაცვის სამინისტრო, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, არასამთავრობო ორგანიზაციები; საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები; კერძო სექტორი.
<b>განხორციელების ვადა</b>	2020 – 2022წწ
<b>მოსალოდნელი შედეგები / ინდიკატორები და სამიზნეები</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ჩატარებული ტრენინგების რაოდენობის ზრდა;</li> <li>• ჩატარებული სიმულაციური ვარჯიშების რაოდენობისა ზრდა;</li> <li>• ადრეული გაფრთხილების სისტემებისა და რადარული სადგურების რაოდენობის ზრდა;</li> <li>• მონიტორინგის ქსელის გაფართოება – ჰიდროლოგიური და მეტეოროლოგიური სადგურების დამატება;</li> <li>• მეწყრული უბნების შეფასება და დაძაბულ უბნებზე მონიტორინგის ქსელის დამონტაჟება (მაგ: ინკლინომეტრი, სენსორები);</li> <li>• სამაშველო ჯგუფისა და მოსახლეობისთვის აუცილებელი უნარების გამომუშავება და ინფორმირება.</li> </ul>
<b>პრიორიტეტი</b>	<b>საშუალო</b>

<b>სტრატეგიული ამოცანა 5.1.3</b>	
<b>სტრატეგიული აქტივობის დასახელება</b>	განაშენიანების გეგმების შემუშავება.
<b>სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა</b>	სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით, ასევე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახურთან, შესაბამის სპეციალისტებთან ერთად საჭიროა თითოეული თემისთვის შემუშავდეს განაშენიანების გეგმები, რომელიც შეთანხმებული და დამტკიცებული უნდა იყოს მუნიციპალიტეტთან და რომლის საფუძველზეც მოხდება მომავალი განაშენიანება. განაშენიანების გეგმით პირდაპირ იქნება დარეგულირებული მშენებლობის ყველა საკითხი, ხოლო აკრძალვები იმოქმედებს სტიქიური პროცესების განვითარების მაღალი საფრთხის ზონებში.
<b>ძირითადი სამიზნე ჯგუფები</b>	მესტიის მუნიციპალიტეტის დასახლებული პუნქტები.
<b>გეოგრაფიული არეალი</b>	მესტიის მუნიციპალიტეტის ყველა თემისთვის.
<b>პასუხისმგებელი ორგანოები</b>	მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი, მესტიის მუნიციპალიტეტი, სახელმწიფო სტრუქტურები.
<b>ზემო სვანეთს LAG-ის პასუხისმგებლობა და როლი</b>	ამ აქტივობაში მესტიის მუნიციპალიტეტის LAG-ის ჯგუფმა შესაძლოა მოიძიოს დონორი ორგანიზაციები და საერთაშორისო ექსპერტები.
<b>სხვა პარტნიორი ორგანიზაცია</b>	სახელმწიფო უწყებები; არასამთავრობო ორგანიზაციები; საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები; საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტები; ასევე კერძო სექტორის წარმომადგენლები.
<b>განხორციელების ვადა</b>	2020 – 2022წწ
<b>მოსალოდნელი შედეგები / ინდიკატორები და სამიზნეები</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა;</li> <li>• საფრთხეებისა და რისკების რუკის შედგენა;</li> <li>• თითოეული თემისთვის გენგეგმების შემუშავება და დამტკიცება;</li> <li>• ადგილობრივი მოსახლეობის რაოდენობა, მათი ჩართულობა გენგეგმების შემუშავების პროცესში.</li> </ul>
<b>პრიორიტეტი</b>	<b>მაღალი</b>

**ამოცანა 5.2.**

ნარჩენების მართვის ერთიანი სისტემის შექმნის ხელშეწყობა (მათ შორის, ხის წარმოების შედეგად მიღებული ნარჩენების მართვა).

**დასახუთება** – მესტიის მუნიციპალიტეტს აქვს 2018-2022 წლის სამოქმედო გეგმა ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით, თუმცა დღეის მდგომარეობით არასაკმარისი ინფრასტრუქტურის გამო მუნიციპალიტეტიდან ნარჩენები სრულად ვერ გააქვთ. მუნიციპალიტეტში კონტეინერების არასაკმარისი რაოდენობაა, შიდა სასოფლო გზები მოსაწესრიგებელია, რადგან გადაძვინი ავტომანქანები, ხშირ შემთხვევაში, ვერ ახერხებს ამორტიზებულ გზაზე გადაადგილებას. ნარჩენები გამოაქვთ დაბა მესტიიდან, უშგულის, კალის, ივარის, მულახის, ლენჯერის, ლატალის, ბეჩოს, ეცერის, ფარის, ხაიშის, ნაკრის ტერიტორიული ერთეულების ნაწილიდან, სულ 12 ტერიტორიული ერთეული 17-დან, ხოლო დასუფთავების სამსახურის მიერ შეგროვებული ნარჩენი თავსდება დაბა მესტიაში, სსიპ „მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ დაქვემდებარებაში მყოფ, მოქმედ ნარჩენების გადამტვირთ სადგურში.

მუნიციპალიტეტში არ არის მოქმედი ნაგავსაყრელი და არც გადასამუშავებელი საწარმოა. რეგიონში არსებულ ტურისტულ ბილიკებზე არ არის მოწყობილი საჭირო ინფრასტრუქტურა, რაც პირდაპირ იწვევს ნარჩენების მოხვედრას გარემოში და სერიოზულ ზიანს აყენებს ეკოლოგიას.

აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად აუცილებელია მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებულ პუნქტსა და ტურისტულ ზონებში განთავსებული იყოს სპეციალური კონტეინერები და მოეწყოს შესაბამისი ინფრასტრუქტურა.

<b>სტრატეგიული აქტივობა 5.2.1</b>	
<b>სტრატეგიული აქტივობის დასახელება</b>	ნარჩენებით დაბინძურებული ტერიტორიის დასუფთავება, აღდგენა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა.
<b>სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა</b>	ტურიზმის დონის ზრდა, მოსახლეობის აქტივობა, რეგიონის ეკონომიკური განვითარება გამოიწვევს ნარჩენების რაოდენობის ზრდასა და ეკოლოგიის გაუარესებას, ამიტომ საჭიროა შესაბამისი ინფრასტრუქტურის გამართვა და დაბინძურებული ნიადაგის რემედიაცია (აღდგენა); კანალიზაციის ქსელის გამართვა და შესაბამისი გამწმენდების მოწყობა.
<b>ძირითადი სამიზნე ჯგუფები</b>	მესტიის მუნიციპალიტეტის დასახლებული პუნქტები
<b>გეოგრაფიული არეალი</b>	მესტიის მუნიციპალიტეტის ყველა თემი.
<b>პასუხისმგებელი ორგანოები</b>	მესტიის მუნიციპალიტეტის მერია; ადგილობრივი განვითარების ჯგუფი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.
<b>ზემო სვანეთს LAG-ის პასუხისმგებლობა და როლი</b>	ამ აქტივობაში მესტიის მუნიციპალიტეტის LAG-ის ჯგუფმა შესაძლოა, მათივე ჩართულობითა და ინიციატივით, მერიასთან ერთად დაგეგმონ ხევეებში ჩაყრილი ნარჩენების დასუფთავების აქციები და ასევე მოიძიონ დონორი ორგანიზაციები ნარჩენებისა და ხის მასალის მეორადი გადამამუშავებელი საწარმოს მშენებლობისთვის. ასევე, საჭიროა ადვოკატირება თემებისთვის ნარჩენების პრობლემის გადასაწყვეტად და საკანალიზაციო სისტემების მოსაგვარებლად.
<b>სხვა პარტნიორი ორგანიზაცია</b>	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; არასამთავრობო ორგანიზაციები; საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები; კერძო სექტორის წარმომადგენლები.
<b>განხორციელების ვადა</b>	2020 – 2022წწ
<b>მოსალოდნელი შედეგები / ინდიკატორები და სამიზნეები</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>დასახლებული პუნქტების რაოდენობა, სადაც ასფალტის ან/და ასფალტ-ბეტონის (ან გრუნტის) საფარის მქონე ქუჩების % გაიზარდა და უზრუნველყოფილი იქნება დაგვა-დასუფთავების მომსახურება;</li> <li>დასახლებული პუნქტების გაზრდილი რაოდენობა განლაგებული კონტეინერებისა და მოსახლეობის შეფარდებით;</li> <li>სოფლების % წილის ზრდა, სადაც უზრუნველყოფილია ნარჩენების გატანა კვირაში ერთხელ მაინც;</li> <li>ქალაქებსა და სოფლებში ქუჩების % წილის ზრდა, სადაც უზრუნველყოფილია ნარჩენების სეპარირებული შეგროვება;</li> <li>მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ზრდა ნარჩენების მართვის საკითხების კუთხით (მაგ: ქუჩების დასუფთავების ხარჯების შეფარდება მუნიციპალიტეტის იმ გზების საერთო ფართობთან (კვ.), რომლის დასუფთავებაც ხდება; ასევე ქუჩების, პარკების, სკვერებისა და სხვა საჯარო სივრცეების დასუფთავების ხარჯების წილი მუნიციპალიტეტის ხარჯებში, ასევე მყარი ნარჩენების წონის/ან მოცულობის და ნარჩენების შეგროვებისა და გატანის ხარჯების ურთიერთშეფარდება);</li> <li>ნაგავსაყრელის გახსნა;</li> <li>ნარჩენების მეორადი გადამამუშავებელი საწარმოს მშენებლობა;</li> <li>მუნიციპალური ადმინისტრაციული ცენტრებისა და საკურორტო დასახლებების რაოდენობის ზრდა, სადაც გამართული იქნება კანალიზაციის სისტემა.</li> </ul>
<b>პრიორიტეტი</b>	<b>მაღალი</b>

**ამოცანა 5.3.**

გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა.

**დასაბუთება** – გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით მოსახლეობის ცნობიერებისა და კვალიფიკაციის ამაღლებას, ინტენსიურ ტრენინგებს, მნიშვნელობა აქვს მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური მდგრადობისათვის.

ეკოლოგიური პრობლემის გადაწყვეტა საჭიროა კომპლექსური ცვლილებებით, როგორებიცაა: შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა და ადგილობრივი მოსახლეობის პასუხისმგებლობა.

ხშირ შემთხვევაში, რისკები იზრდება მოქალაქეების არასწორი ქმედებებით და გამოწვეული ზარალიც დიდია, ხოლო შედეგების უკეთ გაცნობიერებით ადგილობრივ მოსახლეობას შეუძლია გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების შემცირება. მაგალითად: მესტიის მუნიციპალიტეტში არსებობს ხე-ტყის უკანონო ჭრის პრობლემა, შეინიშნება მდინარეებში ნარჩენების ჩაყრის ტენდენცია.

განათლება და მოსახლეობის მეტი ინფორმირებულობა ეკოსისტემის შენარჩუნებასა და სწორ ფუნქციონირებას უწყობს ხელს, ასევე ზრდის ცხოვრების დონესა და ხალხის შრომისუნარიანობას, რაც გულისხმობს ეკოლოგიურად გამართულ სოფლის მეურნეობას.

განათლება განაპირობებს მოსახლეობის მიერ უფლებათა გაცნობიერებას, ასევე მოსახლეობის მხრიდან მეტ კონტროლს ადგილობრივ საწარმოებსა და ფერმებზე. ცვლილებები აისახება მოქალაქეების ქცევებზე, მაგალითად, ნარჩენების განთავსებისა და რესურსების სწორი ათვისების თვალსაზრისით. ცოდნის გაღრმავება აუცილებელია საგანგებო სიტუაციების პერიოდში მოქცევის წესებზე, მზადყოფნაზე, რეაგირებასა და ევაკუაციის გეგმებზე, უსაფრთხო უბნებზე.

სტრატეგიული აქტივობა 5.3.1	
<b>სტრატეგიული აქტივობის დასახელება</b>	გარემოსდაცვით საკითხებზე სასწავლო და შემეცნებითი ღონისძიებების ორგანიზება.
<b>სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა</b>	მუნიციპალიტეტში პერიოდულად დაიგეგმოს დასუფთავების აქციები. ასევე ჩატარდეს მართონები, შეჯიბრებები, საქველმოქმედო აქციები. მოსახლეობის ჩართულობით დაირგოს ხე-მცენარეები, გამწვანდეს ფერდობები. ახალი წლის პერიოდში ხელოვნური ნაძვების პოპულარიზაციას შეეწყოს ხელი. ასევე, რეგიონში შესაძლოა მოეწყოს სანერგე მეურნეობები.
<b>ძირითადი სამიზნე ჯგუფები</b>	მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა.
<b>გეოგრაფიული არეალი</b>	მესტიის მუნიციპალიტეტის 17-ე თემი.
<b>პასუხისმგებელი ორგანოები</b>	მესტიის მუნიციპალიტეტის მერია; ადგილობრივი განვითარების ჯგუფი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.
<b>ზემო სვანეთს LAG-ის პასუხისმგებლობა და როლი</b>	გარკვეული პერიოდულობით LAG-ის ჯგუფმა შესაძლოა სხვადასხვა სახის ტრენინგებისა და დასუფთავების აქციების ინიცირება მოახდინოს. ასევე გაუწიოს ადვოკატირება და გააცნოს კანონით დადგენილი უფლებები მოსახლეობას, თუ რისი მოთხოვნა შეუძლია მას სახელმწიფო უწყებებიდან; შეუძლია გახდეს დამაკავშირებელი რგოლი არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სახელმწიფო უწყებებს შორის.
<b>სხვა პარტნიორი ორგანიზაცია</b>	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; არასამთავრობო ორგანიზაციები; საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები; კერძო სექტორის წარმომადგენლები.
<b>განხორციელების ვადა</b>	2020 – 2022წწ
<b>მოსალოდნელი შედეგები / ინდიკატორები და სამიზნეები</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ჩატარებული ტრენინგების რაოდენობის ზრდა;</li> <li>• ტრენინგში მონაწილე პირების რაოდენობის ზრდა (სეგრეგირებული სქესის, ასაკისა და სხვა ნიშნით);</li> <li>• ტრენინგში მონაწილე პირების რაოდენობის ზრდა (სეგრეგირებული სქესის, ასაკისა და სხვა ნიშნით) ვინც გაუმჯობესებულ ცოდნაზე მიუთითებს;</li> <li>• ტრენინგების გავლენით, გარემოს დაცვაზე ორიენტირებული ინიციატივების რაოდენობა ინიცირებული ტრენინგის მონაწილეების მიერ;</li> <li>• დასუფთავების აქციების რაოდენობა;</li> <li>• დასუფთავების აქციებში მონაწილე პირების რაოდენობის ზრდა (სეგრეგირებული სქესის, ასაკისა და სხვა ნიშნით);</li> <li>• სასწავლო და შემეცნებითი ღონისძიებების რაოდენობის ზრდა და ტიპები;</li> <li>• სანერგე მეურნეობების რაოდენობის ზრდა და ტიპები;</li> <li>• სანერგე მეურნეობების გაკეთებაში ჩართული პირების რაოდენობის ზრდა (სეგრეგირებული სქესის, ასაკისა და სხვა ნიშნით);</li> <li>• მოსახლეობის რაოდენობის ზრდა (სეგრეგირებული სქესის, ასაკისა და სხვა ნიშნით), ვინც იქნება ჩართული ხე-მცენარეების დარგვაში;</li> <li>• გატყინებული ფერდობების ფართობი და რაოდენობა.</li> </ul>

<b>სტრატეგიული აქტივობა 5.3.2.</b>	
<b>სტრატეგიული აქტივობის დასახელება</b>	გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების კურსების ორგანიზება.
<b>სტრატეგიული აქტივობის მოკლე აღწერილობა</b>	კურსები გაიმართება ბალის აღსაზრდელთათვის, სკოლის მოსწავლეთათვის, ასევე მუნიციპალიტეტში არსებული სახელმწიფო უწყებების თანამშრომლებისათვის, კერძო ბიზნესში მომუშავეთათვის, საზოგადოების ყველადაინტერესებული წარმომადგენლისთვის. ყველა სამიზნე ჯგუფისთვის შემუშავდება ინდივიდუალური პროგრამა და შეთანხმების საფუძველზე მომზადდება კონკრეტული ჯგუფები.
<b>ძირითადი სამიზნე ჯგუფები</b>	მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მოსახლეობა.
<b>გეოგრაფიული არეალი</b>	მესტიის მუნიციპალიტეტის ყველა თემი.
<b>პასუხისმგებელი ორგანოები</b>	ადგილობრივი განვითარების ჯგუფი, სახელმწიფო უწყებები და კერძო სექტორი.
<b>ზემო სვანეთს LAG-ის პასუხისმგებლობა და როლი</b>	LAG-ის ჯგუფის წევრებმა პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად შეიმუშაოთ კურსები, რომლებიც ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელდება პერიოდულად.
<b>სხვა პარტნიორი ორგანიზაცია</b>	სახელმწიფო ინსტიტუციები; არასამთავრობო ორგანიზაციები; საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები; კერძო სექტორის წარმომადგენლები.
<b>განხორციელების ვადა</b>	2020 – 2022წწ
<b>მოსალოდნელი შედეგები / ინდიკატორები და სამიზნეები</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• „სასწავლო ცენტრის“ შექმნა;</li> <li>• ჩატარებული ტრენინგების რაოდენობის ზრდა;</li> <li>• ტრენინგში მონაწილე პირების რაოდენობის ზრდა (სეგრეგირებული სქესის, ასაკისა და სხვა ნიშნით);</li> <li>• ტრენინგში მონაწილე პირების რაოდენობის ზრდა (სეგრეგირებული სქესის, ასაკისა და სხვა ნიშნით), ვინც გაუმჯობესებულ ცოდნაზე მიუთითებს;</li> <li>• ექსკლუზიურად ქალებისა და მამაკაცების საჭიროებაზე მორგებული თემატური ტრენინგების რაოდენობის ზრდა;</li> <li>• ტრენინგების გავლენით, გარემოს დაცვაზე ორიენტირებული ინიციატივების რაოდენობის ზრდა და ტიპის ინიცირება ტრენინგის მონაწილეების მიერ;</li> <li>• ჩატარებული სწავლებების რაოდენობის ზრდა;</li> <li>• სასწავლო და შემეცნებითი ღონისძიებების რაოდენობის ზრდა;</li> <li>• ინიციატივაში ჩართული საჯარო სკოლების რაოდენობის ზრდა;</li> <li>• საჯარო სექტორში მომუშავე პირთა ჩართულობის ზრდა;</li> <li>• კერძო სექტორის ჩართულობის ზრდა და მათი მხრიდან სხვადასხვა კურსების ინიცირება.</li> </ul>
<b>პრიორიტეტი</b>	<b>საშუალო</b>



## 8. მონიტორინგი და შეფასება

მესტიის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიაში პრიორიტეტული სფეროების მიხედვით გაწერილი ამოცანები და აქტივობები თავისი ინდიკატორებით. LAG-ის მიერ ინიცირებულ პროექტებს, ისევე, როგორც LAG-ის დაფინანსებით განხორციელებულ ინიციატივებს, ექნება საქმიანობის ეფექტურობის საერთო ინდიკატორები, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ეფექტურობის მონიტორინგსა და შეფასებას.

პროექტით განსაზღვრულია როგორც საგრანტო კონკურსით დაფინანსებული ინიციატივების, ასევე თავად მესტიის LAG-ის საქმიანობის მონიტორინგი.

### დაფინანსებული პროექტების მონიტორინგი

მას შემდეგ, რაც მესტიის ადგილობრივი განვითარების სტრატეგია დამტკიცდება LAG-ის მიერ, შეიქმნება LAG-ს მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფი, რომელიც აღნიშნული მიმართულებით ინტენსიურ სასწავლო კურსს გაივლის, რათა შეძლოს მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. სტრატეგიის მონიტორინგის მონაცემები აიტვირთება პროექტის საინფორმაციო ტექნოლოგიურ სისტემაში (ICT). მიზნებისა და საქმიანობის ეფექტურობის ინდიკატორების მიხედვით შეფასდება პროექტების წარმოების პროცესი და შედეგები. საგრანტო პროგრამით დაფინანსებული პროექტები ICT-ში აისახება ეტაპობრივად:

**განაცხადის ეტაპი** – განაცხადის გაკეთების დროს, ICT-ში აისახება და შეინახება პროექტის შესახებ ძირითადი ინფორმაცია (დაფინანსების ტიპი, მიზნებთან შესაბამისობა და ა.შ.).

**საგრანტო განაცხადის შეფასება LAG-ის მიერ** – პროექტის ICT-ში ასახვის შემდეგ, მოხდება წარდგენილი პროექტის დაკავშირება შესაბამის ინდიკატორთან / ინდიკატორთა ჯგუფთან. თითოეული ამოცანის ინდიკატორები აღწერილია LAG-ის სტრატეგიის შესაბამის თემატურ თავებში.

**ხარისხის კონტროლი** – პროექტის მიმდინარეობისას, პროგრესის, შედეგებისა და მნიშვნელოვანი გამოცდილების აღწერით, LAG უზრუნველყოფს მიმდინარე პროექტების შესაბამისობას სტრატეგიითა და საგრანტო ხელშეკრულებით დადგენილ მოთხოვნებთან. ასევე, LAG გადაამოწმებს მიწოდებული ინფორმაციის სიზუსტეს, შესაბამისობასა და რეალურობას.

გრანტის მიმღებების მხრიდან ანგარიშების წარდგენის ვადები დამოკიდებული იქნება პროექტის შინაარსსა და სპეციფიკაზე. უმრავლეს შემთხვევებში, შუალედური და საბოლოო გადახდა შესაბამისი ანგარიშების წარდგენის საფუძველზე მოხდება, მას შემდეგ, რაც ყველა საჭირო მონაცემი შეინახება ICT-ში.

**წლიური დაგეგმარება და ანგარიშგება** – LAG-ის აღმასრულებელი გუნდი ყოველწლიური სამუშაოს ანგარიშს წარუდგენს მმართველ საბჭოს. ანგარიშში აღწერილი უნდა იყოს წინა წლის მიღწევები, ასევე ის უნდა შეიცავდეს ინფორმაციას მიმდინარე საქმიანობაზე, მიღებულ გადაწყვეტილებებზე, პრობლემებზე, გამოწვევებსა და კონკრეტულ წარმატებებზე.

### შეფასება

შეფასების პირველადი მიზანია პროექტით მიღებული შედეგების შედარება სტრატეგიაში გაწერილ ამოცანებთან, აქტივობებთან და ინდიკატორებთან. მნიშვნელოვანია პროექტის განხორციელების პროცესში შეტანილი ცვლილებების აღწერა, მათი ეფექტურობის დადგენა და საუკეთესო პრაქტიკის სამომავლოდ გათვალისწინება.

**პროცესის მართვა** – გრანტების გაცემაზე, მონიტორინგსა და მიმდინარე პროცესების შეფასებაზე პასუხისმგებელია LAG-ის მმართველი საბჭო აღმასრულებელ დირექტორთან ერთად. შეფასებას ექვემდებარება ნებისმიერი აქტუალური საკითხი. ამ პროცესში მნიშვნელოვანია წარმატებებისა და პრობლემების გაანალიზება, შედეგების მიზნების დადგენა და სამომავლოდ გათვალისწინება.

**მონაცემთა მოთხოვნა** – LAG-ის მიერ მოგროვდება დეტალური მონაცემები პროექტების შესახებ, რაც საფუძველად დაედება სიტუაციურ ანალიზებსა და შუალედურ მიმოხილვებს.

**მეთოდოლოგია** – ზემო სვანეთის ადგილობრივი განვითარების ჯგუფის მონაწილეობითი მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია შეიქმნება 2020 წელს.

**ვადები** – პროცესი დაიწყება სტრატეგიის ოფიციალურად წარდგენისთანავე და დასრულდება 2024 წლისთვის.

**საზოგადოების ინფორმირება** – მნიშვნელოვანია სტრატეგიის განხორციელების პროცესში თემთან მუდმივი კავშირის შენარჩუნება და გაღრმავება. შეფასებების შედეგების შესახებ ინფორმაცია საზოგადოებას მიეწოდება სხვადასხვა მედიასაშუალებით, როგორც ადგილობრივ, ასევე, რეგიონულ და სახელმწიფო დონეებზე.

**დამატებითი რესურსები** – LAG-ის არსებული რესურსით განხორციელებული შეფასების პარალელურად, რეკომენდებულია გარე ექსპერტის დაქირავებაც, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს შეფასების პროცესს.

მონიტორინგისა და შეფასების შედეგების მიხედვით LAG-ის მიერ ყოველწლიურად გადაიხდება სტრატეგია და მასში შესაძლო ცვლილებებიც შევა.

**მდგრადობა** – იმისათვის, რომ პროექტით მიღწეული შედეგები იყოს მდგრადი, პროგრამის დასრულების შემდეგაც, LAG განახორციელებს შემდეგ საქმიანობას:

- პროექტის ფარგლებში მიღწეული შედეგები, მიღებული ცოდნა და გამოცდილება ინტეგრირდება შესაბამის მუნიციპალურ, რეგიონულ და სახელმწიფო სტრატეგიებში;
- LAG-ის წევრები აქტიურად ჩაერთვებიან ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაობაში, სამუშაო ჯგუფებში, შეხვედრებსა და დისკუსიებში მონაწილეობის გზით;
- LAG-ის წევრები კონსულტანტების, სპეციალისტებისა და მონაწილეების როლში ჩაერთვებიან სხვადასხვა განვითარებისა და საინვესტიციო პროგრამებში, რომლებიც განხორციელდება მესტიის მუნიციპალიტეტში. 5 წლიანი მუშაობის გამოცდილება მნიშვნელოვნად გაზრდის LAG-ის წევრების კომპეტენციას;
- თანამშრომლობა ჩამოყალიბდება არასამთავრობო ორგანიზაციებთან, კოალიციებთან და ასოციაციებთან ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე, ერთობლივი პროექტების განხორციელების მიზნით;
- LAG-ი გაწევს საქმიანობის პოპულარიზაციას ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე და შეეცდება დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროების მოძიებას სამომავლო პროექტების განსახორციელებლად.

## 9. ბრანდის გაცემის სახელმძღვანელო (მოკლე ვერსია)

ზემო სვანეთის LAG-ის საგრანტო კონკურსის ფარგლებში შესაძლებელია დაფინანსდეს ორი ტიპის პროექტი: კომერციული და სოციალური.

1. თითოეული კომერციული პროექტის ღირებულება შეიძლება მერყეობდეს 3 000-დან 25 000 ევრომდე (ეკვივალენტი ლარში). პირველ ეტაპზე დაფინანსებული კომერციული პროექტების საერთო ბიუჯეტი არ უნდა აღემატებოდეს 175 000 ევროს.

### განმცხადებლის თანამონაწილეობა

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საგრანტო განაცხადის მთლიანი ღირებულებიდან „ქეა ავსტრია“ დააფინანსებს მაქსიმუმ 75%-ს (არაუმეტეს 25,000 ევროს ეკვივალენტს ლარში). აქედან გამომდინარე, განმცხადებელს მოეთხოვება პროექტის მთლიანი თანხის სულ მცირე 25%-ს თანადაფინანსების უზრუნველყოფა. თანადაფინანსება შესაძლებელია, როგორც ფულადი, ასევე, არაფულადი სახით. განმცხადებლის მხრიდან ფულადი სახით პროექტის თანადაფინანსების ხვედრითი წილი უნდა შეადგენდეს პროექტის მთლიანი ღირებულების მინიმუმ 15%-ს.

განმცხადებლის თანადაფინანსებად შესაძლებელია ჩაითვალოს ნებისმიერი წყაროდან მიღებული ფინანსური რესურსი, გარდა საერთაშორისო დონორთა დაფინანსებისა.

2. სოციალური და არაკომერციული პროექტები:

- სათემო ინფრასტრუქტურის განვითარება/რეაბილიტაციისკენ მიმართული პროექტები – 3 000-დან 30 000 ევრო (ეკვივალენტი ლარში); პირველ ეტაპზე დაფინანსებული სათემო ინფრასტრუქტურის განვითარება/რეაბილიტაციისკენ მიმართული პროექტების საერთო ბიუჯეტი არ უნდა აღემატებოდეს 210 000 ევროს.
- ადვოკატირება, ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული პროექტები, მათ შორის, საზაფხულო სკოლები, შემეცნებითი-სასწავლო პროგრამები, ტრენინგები – 1 000-დან 8 000 ევრომდე (ეკვივალენტი ლარში). პირველ ეტაპზე დაფინანსებული – ადვოკატირებასა და ცნობიერების ამაღლებაზე, მათ შორის საზაფხულო სკოლები, შემეცნებითი-სასწავლო პროგრამები, ტრენინგები, პროექტების საერთო ბიუჯეტი არ უნდა აღემატებოდეს 80 000 ევროს.

### განმცხადებლის თანამონაწილეობა

სათემო ინფრასტრუქტურის განვითარება/რეაბილიტაციასთან დაკავშირებულ გრანტზე განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საგრანტო განაცხადის მთლიანი ღირებულებიდან „ქეა ავსტრია“ დააფინანსებს მაქსიმუმ 60%-ს (არაუმეტეს 30,000 ევროს ეკვივალენტისა ლარში). აქედან გამომდინარე, კანდიდატს მოეთხოვება პროექტის მთლიანი თანხის სულ მცირე 40%-ის თანადაფინანსება. თანადაფინანსება შესაძლებელია, როგორც ფულადი, ასევე, არაფულადი სახით.

სოციალური და არაკომერციული ტიპის საქმიანობასთან (როგორცაა: ადვოკატირება, ცნობიერების ამაღლება, საზაფხულო სკოლები, შემეცნებითი-სასწავლო პროგრამები, ტრენინგები) დაკავშირებულ გრანტზე განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საგრანტო განაცხადის მთლიანი ღირებულებიდან „ქეა ავსტრია“ დააფინანსებს მაქსიმუმ 90%-ს (არაუმეტეს 8,000 ევროს ეკვივალენტისა ლარში). აქედან გამომდინარე, განმცხადებელს მოეთხოვება პროექტის მთლიანი თანხის სულ მცირე 10%-ის თანადაფინანსება. თანადაფინანსება შესაძლებელია, როგორც ფულადი, ასევე, არაფულადი სახით.

განმცხადებლის თანადაფინანსებად შესაძლებელია ჩაითვალოს ნებისმიერი წყაროდან მიღებული ფინანსური რესურსი, გარდა საერთაშორისო დონორთა დაფინანსებისა.

**გთხოვთ, გაითვალისწინეთ,** რომ საგრანტო კონკურსით დაფინანსდება მხოლოდ ის პროექტები, რომელიც პასუხობს მესტიის მუნციპალიტეტის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის ამოცანებსა და სტრატეგიულ აქტივობებს.

განაცხადის შესავსებად განმცხადებელს შეუძლია ეწვიოს შემდეგ ვებგვერდებს:

- [www.facebook.com/mestia.LAG/](http://www.facebook.com/mestia.LAG/) – მესტიის განვითარების ჯგუფის ოფიციალური ფეისბუქგვერდი.
- [www.care-caucasus.org.ge](http://www.care-caucasus.org.ge) – „ქეა საერთაშორისო კავკასიაში“ ოფიციალური ვებგვერდი
- [www.enpard.ge](http://www.enpard.ge) – ენპარდის ოფიციალური ვებგვერდი.

დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ საგრანტო სახელმძღვანელო მოცემულ ბმულზე.

### III დანართები

#### დანართი №1. ცხრილები

ცხრილი №2.1 პრობლემების პრიორიტეტიზაციის პროცესში მონაწილე 224 პირის დემოგრაფიული მონაცემები

სქესი	მდედრობითი	40%
	მამრობითი	60%
სექტორი	სამოქალაქო	76%
	კერძო	9%
	საჯარო	15%
სოციალური ჯგუფი	იძულებით გადაადგილებული პირი	7%
	პენსიონერი	9%
	სოციალური დახმარების მიმღები	21%
	ახალგაზრდა	27%
დასაქმება	სრულ განაკვეთზე დასაქმებული	28%
	ნახევარ განაკვეთზე დასაქმებული	22%
	თვითდასაქმებული	15%
	უმუშევარი	27%

ცხრილი №2.2 პრობლემების პრიორიტეტიზაციის პროცესში მონაწილე 224 პირის რაოდენობრივი და პროცენტული ზემო სვანეთის თემების მიხედვით

თემი	მონაწილეების რაოდენობა	მონაწილეების %
ბერი	20	8.9
ეცერი	13	5.8
იდლიანი	9	4
ლატალი	18	8
იფარი	14	6.3
კალა	6	2.7
ლახამულა	15	6.7
ლენჯერი	9	4
მულახი	18	8
ნაკრა	11	4.9
უშგული	7	3.1
ფარი	14	6.3
ცხუმარი	13	5.8
წვიმრი	32	14.3
ჭუბერი	10	4.5
ხაიში	15	6.7



**ცხრილი №3.** პრიორიტეტული თემატური პრობლემები – სოციალური სერვისები და ინფრასტრუქტურა/კულტურა, განათლება, ჯანდაცვა, სპორტი და ახალგაზრდობა (1-ყველაზე პრიორიტეტული პრობლემა, 15- ყველაზე ნაკლებად პრიორიტეტული პრობლემა)

სოციალური სერვისები და ინფრასტრუქტურა	პრიორიტეტი	კულტურა, განათლება, ჯანდაცვა, სპორტი და ახალგაზრდობა	პრიორიტეტი
დაზიანებული და მოძველებული ელექტროენერჯის ბოძები და სადენები	1	ახალგაზრდული, საგანმანათლებლო და კულტურული ცენტრების არარსებობა (აქტივობების ნაკლებობა ან არარსებობა)	1
საკანალიზაციო სისტემის არარსებობა/გაუმართაობა	2	სათემო ცენტრის არარსებობა- არ არის ახალგაზრდული სივრცე, თავშეყრის ადგილი, ბიბლიოთეკა, სადაც ახალგაზრდები თავისუფალ დროს საინტერესოდ და შემოქმედებითად გაატარებენ	2
სატრანსპორტო და სოფლებს შორის დამაკავშირებელი გზის გაუმართაობა	3	სპორტული აქტივობებისათვის სივრცის არარსებობა	3
სასმელი წყლის მიწოდების ძველი და დაზიანებული სისტემები	4	დაზიანებული კოშკები, ტრადიციული სა-მოსახლეობის, მაჩუბები და ყორეები	4
ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმართაობა და შეთავაზებული სერვისების დაბალი ხარისხი	5	სამედიცინო მომსახურების (ამბულატორია/მედპუნქტი/ სტაციონარი) არარსებობა	5
გზის გამჭრელი-გამწმენდი ტექნიკის არასაკმარისი რაოდენობა (მექანიზაციის ხელმისაწვდომობა არასაკმარისია)	6	სკოლა არ არის აღჭურვილი სათანადო თანამედროვე ტექნოლოგიებით	6
მოუწესრიგებელი სოფლის ცენტრები	7	გადაუდებელი სამედიცინო მომსახურებისთვის შესაბამისი ტრანსპორტის არარსებობა	7
შებლდული წვდომა ინტერნეტსა და კავშირგაბმულობაზე	8	სკოლის ავარიული და დაზიანებული შენობა-ნაგებობა	8
სოფელში წარმოებული პროდუქციის რეალიზაციისთვის ადგილის არქონა	9	ავარიული და სარეაბილიტაციო შენობა-ნაგებობა	9
გარე განათების არარსებობა	10	საბავშვო ბაღის არარსებობა	10
მუნიციპალური, საზოგადოებრივი ტრანსპორტის არარსებობა	11	გასართობი ატრაქციონების არარსებობა	11
საძოვრებისა და სავარგულებისაკენ გზის არარსებობა	12	სკოლის არარსებობა	12
საზოგადოებრივი საპირფარეშოების არარსებობა	13		
საბანკო სერვისების არარსებობა	14		
საძოვრებზე ბაგებისა და ბინების არქონა	15		

წყარო: ENPARD III მესტია პროექტის გუნდის მიერ განხორციელებული მოკვლევა – მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მიერ იდენტიფიცირებული და პრიორიტეტიზებული პრობლემები. 2019 წელი.

**ცხრილი №4.** პრიორიტეტული თემატური პრობლემები – სოფლის მეურნეობა / გარემოს დაცვა (1-ყველაზე პრიორიტეტული პრობლემა, 10- ყველაზე ნაკლებად პრიორიტეტული პრობლემა)

სოფლის მეურნეობა	პრიორიტეტი	გარემოს დაცვა	პრიორიტეტი
სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციაზე შეზღუდული წვდომა	1	ბუნებრივი კატასტროფები: ზვავის, მეწყერისა და ღვარცოფის საშიშროება	1
დაურეგისტრირებელი მიწები	2	მყარი ნარჩენების ეფექტური მართვის სისტემის არარსებობა	2
ადგილობრივი ფერმერების სარეალიზაციო ბაზრებზე შეზღუდული წვდომა	3	ხე ტყის გაჩეხვა, გაუტყიანება	3
სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაბალი პროდუქტიულობა (საქონლის ჯიშობრივი გაუმჯობესება)	4	გარემოს ნახერხითა და საწარმოო ნარჩენებით დაბინძურება	4
ვეტერინარული მომსახურების არასათანადო დონე და შეზღუდული წვდომა	5	მაღალვოლტიანი გადამცემებისა და მობილური კავშირის ანტენების მავნე ზეგავლენა გარემოსა და ადამიანებზე	5
სასოფლო სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი სიმძლავრეების არარსებობა	6	<b>ტურიზმი</b>	<b>პრიორიტეტი</b>
თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების არცოდნა (ექსტენციის სერვისის ხელმძღვანელობა)	7	ტურისტული ინფრასტრუქტურა მოუწყობელია (მარშუტების მარკირება, რუკაზე დატანება, საოჯახო სასტუმროების კეთილმოწყობა, მაღაზიები და მისთანანი)	1
სასაწყობე და სამაცივრე მეურნეობების არარსებობა	8	ადგილობრივი ტურისტული მარშრუტების, ბუნებრივი, მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაბალი ცნობადობა.	2
სასოფლო სამეურნეო სავარგულების დაუცველობა	9	ტურისტულად მიმზიდველი ლოკაციების არათანაბარი განვითარება.	3
სასაკლავოს არარსებობა	10	ტურისტული პოტენციალის გარკვეული ნაწილი აუთვისებელია.	4

წყარო: ENPARD III მესტია პროექტის გუნდის მიერ განხორციელებული მოკვლევა – მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მიერ იდენტიფიცირებული და პრიორიტეტიზებული პრობლემები. 2019 წელი

**ცხრილი №5.** პრიორიტეტული პრობლემები თემების მიხედვით – ინფრასტრუქტურა და საბაზისო სოციალური სერვისები (15 – ყველაზე პრიორიტეტული პრობლემა, 1- ყველაზე ნაკლებად პრიორიტეტული პრობლემა)

#	სოციალური სერვისები და ინფრასტრუქტურა	ხაში	ჭუბერი	წვირი	ცხრუმარი	ფარი	უშგული	ნაკრა	მულახი	ლენჯერი	ლახამულა	ლატალი	კალა	ეცერი	იფარი	იდლიანი	ბეჩო
1	დაზიანებული და მოძველებული ელექტროენერჯის ბოძები და სადენები	11	11.5	14	12	3.5	10	15	14	15	15	15	9	15	14	12.5	10
2	საკანალიზაციო სისტემის არარსებობა/გაუმართაობა	14	14	15	15	12	13	12	15	13	2	12	12	13	12.5	14	11
3	სატრანსპორტო და სოფლებს შორის დამაკავშირებელი გზის გაუმართაობა	9	15	6	14	15	15	14	13	11	14	11	15	10	15	11	15

4	სასმელი წყლის მიწოდების ძველი და დაზიანებული სისტემები	15	11.5	9	13	14	14	13	12	14	13	13	14	12	12.5	3	12.5
5	ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმართაობა და შეთავაზებული სერვისების დაბალი ხარისხი	13	13	13	9	10	5	10	9	12	5	14	9	14	6	12.5	14
6	გზის გამჭრელი-გამწმენდი ტექნიკის არასაკმარისი რაოდენობა (მექანიზაციის ხელმისაწვდომობა არასაკმარისია)	6	7.5	11	8	2	4	11	10	9.5	11	9.5	3	11	5	4.5	9
7	მოუწესრიგებელი სოფლის ცენტრები	2	7.5	8	10	13	12	9	11	5	7	6	4	9	7.5	10	7
8	შეზღუდული წვდომა ინტერნეტსა და კავშირგაბმულობაზე	3.5	1	10	7	11	8	4	5	9.5	12	5	9	7	7.5	9	4
9	სოფელში წარმოებული პროდუქციის რეალიზაციისთვის ადგილის არქონა	3.5	5	5	6	8	7	3	8	6	9	7	7	8	4	6	12.5
10	გარე განათების არარსებობა	12	3	4	3	7	6	8	7	8	6	8	13	6	11	7	3
11	მუნიციპალური, საზოგადოებრივი ტრანსპორტის არარსებობა	5	6	12	2	5.5	9	6	3	7	10	3	5	4	10	15	2
12	საძოვრებისა და სავარგულებისაკენ გზის არარსებობა	10	4	7	11	9	11	7	6	2.5	8	2	11	3	9	4.5	6
13	საზოგადოებრივი საპირფარეშოების არარსებობა	7	10	3	5	5.5	3	1	4	4	3	9.5	6	2	3	8	8
14	საბანკო სერვისების არარსებობა	8	9	1	4	3.5	1	5	2	2.5	4	4	2	5	2	1	5
15	საძოვრებზე ბაგებისა და ბინების არქონა	1	2	2	1	1	2	2	1	1	1	1	1	1	1	2	1

წყარო: ENPARD III მესტია პროექტის გუნდის მიერ განხორციელებული მოკვლევა – მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მიერ იდენტიფიცირებული და პრიორიტეტიზებული პრობლემები. 2019 წელი

**ცხრილი №6.** პრიორიტეტული პრობლემები თემების მიხედვით – კულტურა, განათლება, ჯანდაცვა, სპორტი და ახალგაზრდობა (12 – ყველაზე პრიორიტეტული პრობლემა, 1- ყველაზე ნაკლებად პრიორიტეტული პრობლემა)

#	კულტურა, განათლება, ჯანდაცვა, სპორტი და ახალგაზრდობა	ხაიში	ჭუბური	წვირში	ცხრუმარი	ფარი	უშგული	ნაკრა	მულახი	ლენჯერი	ლახამულა	ლატალი	კალა	ეცერი	იფარი	იდლიანი	ბეჩო
1	ახალგაზრდული, საგანმანათლებლო და კულტურული ცენტრების არარსებობა (აქტივობების ნაკლებობა ან არარსებობა)	12	10.5	12	12	9	9	12	12	11	12	11.5	11	9	12	11	12
2	სათემო ცენტრის არარსებობა- არ არის ახალგაზრდული სივრცე, თავშეყრის ადგილი, ბიბლიოთეკა; სადაც ახალგაზრდები თავისუფალ დროს საინტერესოდ და შემოქმედებითად გაატარებენ	11	8.5	11	8.5	10.5	11	9	11	12	10	11.5	12	11	11	10	11
3	სპორტული აქტივობებისათვის სივრცის არარსებობა	10	8.5	10	11	12	10	11	9	10	11	8	10	12	9	8	7
4	დაზიანებული კოშკები, ტრადიციული სამოსახლოები, მანუბები და ყორეები	6	6.5	9	10	8	12	4.5	10	9	8	10	6	8	8	2	8
5	სამედიცინო მომსახურების (ამბულატორია/მედპუნქტი/სტაციონარი) არარსებობა	4	6.5	8	4	10.5	5.5	8	7	7	6	5	9	10	7	4	6
6	სკოლა არ არის აღჭურვილი სათანადო თანამედროვე ტექნოლოგიებით	8	4.5	5.5	5	3	8	7	4.5	6	9	9	7	5.5	6	9	10
7	გადაუდებელი სამედიცინო მომსახურებისთვის შესაბამისი ტრანსპორტის არარსებობა	7	12	7	6	7	7	4.5	8	2	3	4	8	7	2	7	5
8	სკოლის ავარიული და დაზიანებული შენობა-ნაგებობა	9	10.5	2	3	1	2.5	10	1	5	4	6	5	2	1	12	9
9	ავარიული და სარეაბილიტაციო შენობა-ნაგებობა	5	3	4	8.5	6	5.5	6	6	8	2	2	2	5.5	4	5	2
10	საბავშვო ბაღის არარსებობა	1	4.5	5.5	2	5	2.5	1	4.5	1	7	7	4	3	10	1	3
11	გასართობი ატრაქციონების არარსებობა	3	2	3	7	4	4	3	3	3.5	1	3	3	4	5	3	4
12	სკოლის არარსებობა	2	1	1	1	2	1	2	2	3.5	5	1	1	1	3	6	1

წყარო: ENPARD III მესტია პროექტის გუნდის მიერ განხორციელებული მოკვლევა – მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მიერ იდენტიფიცირებული და პრიორიტეტიზებული პრობლემები. 2019 წელი



**ცხრილი №7** პრიორიტეტული პრობლემები თემების მიხედვით – ტურიზმი (4 – ყველაზე პრიორიტეტული პრობლემა, 1- ყველაზე ნაკლებად პრიორიტეტული პრობლემა)

#	ტურიზმი	ხაიში	ჭუბერი	წვირი	ცხრუმარი	ფარი	უშგული	ნაკრა	მულახი	ლენჯერი	ლახამულა	ლატალი	კალა	ეცერი	იფარი	იდლიანი	ბეჩო
1	ტურისტული ინფრასტრუქტურა მოუწყობელია (მარშრუტების მარკირება, რუკაზე დატანება, საოჯახო სასტუმროების კეთილმოწყობა, მაღაზიები და მისთანანი)	4	4	4	2	4	3	4	4	4	4	3.5	3	4	3.5	4	3
2	ადგილობრივი ტურისტული მარშრუტების, ბუნებრივი, მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაბალი ცნობადობა	3	3	3	4	3	4	3	3	3	3	3.5	4	3	3.5	2	4
3	ტურისტულად მიმზიდველი ლოკაციების არათანაბარი განვითარება	2	1	2	1	2	2	2	2	1	2	1.5	2	2	2	3	2
4	ტურისტული პოტენციალის გარკვეული ნაწილი აუთვისებელია	1	2	1	3	1	1	1	1	2	1	1.5	1	1	1	1	1

წყარო: ENPARD III მესტია პროექტის გუნდის მიერ განხორციელებული მოკვლევა – მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მიერ იდენტიფიცირებული და პრიორიტეტიზებული პრობლემები. 2019

**ცხრილი №8.** პრიორიტეტული პრობლემები თემების მიხედვით – სოფლის მეურნეობა (10 – ყველაზე პრიორიტეტული პრობლემა, 1- ყველაზე ნაკლებად პრიორიტეტული პრობლემა)

#	სოფლის მეურნეობა	ხაიში	ჭუბერი	წვირი	ცხრუმარი	ფარი	უშგული	ნაკრა	მულახი	ლენჯერი	ლახამულა	ლატალი	კალა	ეცერი	იფარი	იდლიანი	ბეჩო
1	სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციაზე შეზღუდული წვდომა	7	6	6.5	10	9	8.5	10	8.5	4.5	7	9	10	10	8	2	8.5
2	დაურევსტრირებული მიწები	10	5	10	9	4	4.5	8	10	10	10	8	6	7.5	4	10	7
3	ადგილობრივი ფერმერების სარეალიზაციო ბაზრებზე შეზღუდული წვდომა	8.5	7	8	7	10	10	6.5	6	4.5	8	10	6	6	9	4.5	10
4	სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაბალი პროდუქტიულობა (საქონლის ჰიშობრივი გაუმჯობესება)	3	8	9	5	8	6	5	4	6	5	5	6	7.5	10	9	6
5	ვეტერინარული მომსახურების არასათანადო დონე და შეზღუდული წვდომა	8.5	3.5	3	6	7	7	6.5	8.5	9	9	6	6	9	7	1	8.5

6	სასოფლო სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი სიმძლავრეების არარსებობა	6	9.5	5	3	6	4.5	9	7	7	3	3	9	4	5	8	3
7	თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების არცოდნა (ექსტენციის სერვისის ხელმიუწვდომლობა)	5	9.5	6.5	8	5	8.5	4	2	3	4	2	2	2	6	6	2
8	სასაწყობე და სამაცივრე მეურნეობების არარსებობა	2	3.5	2	2	3	2	2	5	8	6	4	3	1	3	7	5
9	სასოფლო სამეურნეო სავარგულების დაუცველობა	4	2	4	4	2	1	3	1	2	2	7	1	3	1	3	1
10	სასაკლავოს არარსებობა	1	1	1	1	1	3	1	3	1	1	1	6	5	2	4.5	4

წყარო: ENPARD III მესტია პროექტის გუნდის მიერ განხორციელებული მოკვლევა – მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მიერ იდენტიფიცირებული და პრიორიტეტიზებული პრობლემები. 2019

**ცხრილი №9.** პრიორიტეტული პრობლემები თემების მიხედვით – გარემოს დაცვა (5 – ყველაზე პრიორიტეტული პრობლემა, 1- ყველაზე ნაკლებად პრიორიტეტული პრობლემა)

#	გარემოს დაცვა	ხაიში	ჭუბური	წვირი	ცხრუმბარი	ფარი	უშგული	ნავრა	მულახი	ლენჯერი	ლასამულა	ლატალი	კალა	მცერი	იფარი	იდლიანი	ბეჩო
1	ბუნებრივი კატასტროფები: ზვავის, მეწყურისა და ღვარცოფის საშიშროება	4	4	4.5	4	5	4.5	4	5	4.5	2	4	5	3	4	5	3
2	მყარი ნარჩენების ეფექტური მართვის სისტემის არარსებობა		2	4.5	2	2	2	2	4	4.5	3	5	3.5	5	3	1.5	4
3	ხე-ტყის გაჩეხვა, გაუტყიანება	2	3	1	1	1	3	5	2	2.5	4	2.5	2	1	1	1.5	5
4	გარემოს ნახერხითა და საწარმოო ნარჩენებით დაბინძურება	5	5	2	5	4	1	3	3	2.5	5	2.5	3.5	4	5	3	1
5	მაღალვოლტიანი გადამცემებისა და მობილური კავშირის ანტენების მავნე ზეგავლენა გარემოსა და ადამიანებზე	3	1	3	3	3	4.5	1	1	1	1	1	1	2	2	4	2

წყარო: ENPARD III მესტია პროექტის გუნდის მიერ განხორციელებული მოკვლევა – მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მიერ იდენტიფიცირებული და პრიორიტეტიზებული პრობლემები. 2019 წელი

**ცხრილი №10.1** SWOT-ებში მონაწილე თემის წარმომადგენლების (N=136) დემოგრაფიული მონაცემები და პროცენტული განაწილება

სქესი	მდედრობითი	55%
	მამრობითი	45%
სექტორი	სამოქალაქო	63%
	კერძო	13%
	საჯარო	24%
სოციალური ჯგუფი	იძულებით გადაადგილებული პირი	8%
	მოხუცებული	9%
	სოციალური დახმარების მიმღები	15%
	ახალგაზრდა	63%
	განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირი / განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირის ოჯახის წევრი	1%

**ცხრილი №10.2** SWOT-ებში მონაწილე 136 პირის რაოდენობრივი და პროცენტული განაწილება თემების მიხედვით

თემი	მონაწილეების რაოდენობა	მონაწილეების %
ბერო	14	10.3
ეცერი	9	6.6
იდლიანი	2	1.5
ლატალი	14	10.3
იფარი	4	2.9
კალა	2	1.5
ლახამულა	1	0.7
ლენჯერი	9	6.6
მულახი	11	8.1
ნაკრა	1	0.7
უშგული	4	2.9
ფარი	5	3.7
ცხუმარი	2	1.5
წვიმრი	14	10.3
ტუბერი	8	5.9
ხაიში	7	5.1
მესტია	29	21.3

**ცხრილი №11.** LAG-ის გენერალური ასამბლეისა და მმართველი საბჭოს წევრების დემოგრაფიული მახასიათებლების პროცენტული განაწილება.

LAG-ის შემადგენლობა	გენერალური ასამბლეა (115 წევრი)	მმართველი საბჭო (19 წევრი)
სამოქალაქო სექტორი	59%	47%
კერძო სექტორი	17%	21%
საჯარო სექტორი	24%	32%
ქალები	54%	63%
ახალგაზრდები (18-45) <sup>52</sup>	57%	59%
იძულებით გადაადგილებული პირები	2%	16%
განსაკუთრებულ საჭიროების მქონე პირი / განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირის ოჯახის წევრი	2%	5%
სოც. დახმარების მიმღები პირი	17%	5%
ხანდაზმული	10%	5%

**ცხრილი №12.** მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წვდომა სასმელ წყალთან

	გაქვთ თუ არა წვდომა სასმელ წყალთან?		ვის მიმართავდით თქვენს თემში შემდეგ საკითხებზე არსებული პრობლემების გადასაჭრელად?							
	კი	არა	ჩემით მოვავარებდი პრობლემას	ადგილობრივი ხელ.	ცენტრალური ხელ.	ადამიანები ჩემს თემში	არასამთავრობო	ოჯახი	კერძო კომპანია	არ ვიცი
ხაიში	83%	17%	17%	83%	0%	0%	0%	0%	0%	
ტუბერი	87%	13%	28%	59%	2%	4%	2%	2%	0%	2%
წვირმი	80%	20%	30%	60%	0%	10%	0%	0%	0%	0%
ცხრუმარი	50%	50%	31%	69%	0%	0%	0%	0%	0%	0%

<sup>52</sup> გაეროს კლასიფიკაციის მიხედვით. საშუალო ასაკი მესტიის მუნიციპალიტეტში არის 40 წელი.

ფარი	93%	7%	13%	80%	0%	0%	0%	7%	0%	0%
უშვული	55%	46%	0%	91%	0%	9%	0%	0%	0%	0%
ნაკრა	92%	8%	39%	54%	0%	0%	0%	0%	0%	8%
მულახი	80%	20%	32%	64%	0%	0%	0%	0%	4%	0%
ლენჯერი	100%	0%	23%	61%	0%	2%	0%	0%	14%	0%
ლახამულა	75%	25%	8%	67%	17%	0%	0%	0%	0%	0%
ლატალი	96%	5%	27%	61%	0%	0%	0%	0%	0%	11%
კალა	75%	25%	25%	75%	0%	0%	0%	0%	0%	0%
ეცერი	77%	24%	20%	65%	4%	6%	2%	0%	0%	4%
იფარი	73%	27%	7%	73%	0%	0%	13%	0%	7%	0%
იღლიანი	73%	27%	0%	100%	0%	0%	0%	0%	0%	0%
ბერი	67%	33%	15%	82%	0%	4%	0%	0%	0%	0%
მესტია	98%	2%	5%	86%	0%	2%	0%	0%	5%	1%
ზემო სვანეთი	86%	14%	18%	73%	1%	2%	1%	0%	3%	2%

წყარო: CRRC Georgia, მარტი-მაისი 2019, N=484, საშუალო ცდომილება 2.4%

ცხრილი №13. მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წვდომა საკანალიზაციო სისტემასთან

	გაქვთ თუ არა წვდომა საკანალიზაციო სისტემასთან?		ვის მიმართავდით თქვენს თემში შემდეგ საკითხებზე არსებული პრობლემების გადასაჭრელად?							
	კი	არა	ჩემით მოვავა-რებდი პრობლემას	ადგილობ-რივი ხელ.	ცენტრა-ლული ხელ.	ადამიანები ჩემს თემში	არასა-მთავრობო	ოჯახი	კერძო კომპანია	არ ვიცი
ხაიში	17,4%	82,6%	21,7%	65,2%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%	13,0%
ჭუბერი	2,2%	97,8%	28,3%	37,0%	0,0%	0,0%	2,2%	0,0%	0,0%	32,6%
წვირმი	0,0%	100,0%	40,0%	30,0%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%	30,0%
ცხრუმარი	0,0%	100,0%	18,8%	31,3%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%	50,0%
ფარი	6,7%	93,3%	33,3%	66,7%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%
უშვული	0,0%	90,9%	9,1%	27,3%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%	63,6%
ნაკრა	15,4%	84,6%	30,8%	38,5%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%	30,8%
მულახი	4,0%	96,0%	24,0%	48,0%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%	28,0%
ლენჯერი	11,4%	84,1%	38,6%	27,3%	0,0%	0,0%	4,5%	0,0%	0,0%	29,5%
ლახამულა	16,7%	75,0%	16,7%	50,0%	8,3%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%	25,0%
ლატალი	18,2%	81,8%	18,2%	47,7%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%	34,1%
კალა	0,0%	100,0%	50,0%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%	50,0%
ეცერი	5,9%	94,1%	11,8%	41,2%	0,0%	2,0%	0,0%	0,0%	0,0%	45,1%
იფარი	26,7%	66,7%	13,3%	40,0%	0,0%	6,7%	0,0%	0,0%	0,0%	40,0%
იღლიანი	0,0%	100,0%	0,0%	100,0%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%
ბერი	14,8%	81,5%	11,1%	63,0%	0,0%	0,0%	3,7%	0,0%	0,0%	22,2%
მესტია	43,60%	53,00%	10,3%	65,8%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%	23,9%
ზემო სვანეთი	18%	80%	19%	50%	0%	0%	1%	0%	0%	30%

წყარო: CRRC Georgia, მარტი-მაისი 2019, N=484, საშუალო ცდომილება 2.4%



ცხრილი №14. მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წვდომა გარე განათებასთან

	გაქვთ თუ არა წვდომა გარე განათებასთან?		ვის მიმართავდით თქვენს თემში შემდეგ საკითხებზე არსებული პრობლემების გადასაჭრელად?							
	კი	არა	ჩემით მოვაგვარებდი პრობლემას	ადგილობრივი ხელ.	ცენტრალური ხელ.	ადამიანები ჩემს თემში	არასამთავრობო	ოჯახი	კერძო კომპანია	არ ვიცი
ხაიში	კი	არა	4%	78%	0%	0%	0%	0%	4%	13%
ჭუბერი	20%	78%	20%	54%	0%	0%	2%	0%	0%	24%
წვირმი	0%	100%	30%	50%	0%	0%	0%	0%	0%	20%
ცხრუმარი	0%	100%	13%	44%	0%	0%	0%	0%	0%	44%
ფარი	20%	80%	13%	73%	0%	7%	0%	0%	0%	7%
უშგული	36%	64%	0%	82%	0%	0%	9%	0%	0%	9%
ნაკრა	15%	85%	15%	54%	0%	0%	0%	0%	0%	31%
მულახი	4%	96%	16%	40%	8%	0%	0%	0%	0%	32%
ლენჯერი	71%	30%	0%	71%	0%	0%	0%	0%	7%	23%
ლახამულა	8%	92%	0%	67%	8%	0%	0%	0%	0%	25%
ლატალი	43%	57%	5%	77%	0%	0%	0%	0%	0%	18%
კალა	75%	25%	50%	50%	0%	0%	0%	0%	0%	0%
ეცერი	14%	86%	12%	71%	0%	2%	0%	0%	2%	14%
იფარი	20%	80%	7%	53%	13%	0%	0%	0%	7%	20%
იდლიანი	0%	100%	0%	100%	0%	0%	0%	0%	0%	0%
ბერო	44%	56%	4%	85%	0%	0%	0%	0%	4%	7%
მესტია	89%	11%	3%	88%	0%	1%	0%	1%	4%	3%
ზემო სვანეთი	43%	56%	8%	72%	1%	1%	0%	0%	2%	15%

წყარო: CRRC Georgia, მარტი-მაისი 2019, N=484, საშუალო ცდომილება 2.4%

ცხრილი №15. მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წვდომა მობილური ტელეფონის მომსახურების სერვისებთან

	გაქვთ თუ არა წვდომა მობილური ტელეფონის მომსახურების სერვისებთან?		ვის მიმართავდით თქვენს თემში შემდეგ საკითხებზე არსებული პრობლემების გადასაჭრელად?							
	არა	კი	ჩემით მოვაგვარებდი პრობლემას	ადგილობრივი ხელ.	ცენტრალური ხელ.	ადამიანები ჩემს თემში	არასამთავრობო	ოჯახი	კერძო კომპანია	არ ვიცი
ბერო	11,1%	88,9%	29,6%	11,1%	0,0%	0,0%	0,0%	3,7%	44,4%	11,1%
ჭუბერი	6,5%	91,3%	37,0%	28,3%	0,0%	0,0%	2,2%	0,0%	26,1%	6,5%
ეცერი	0,0%	100,0%	29,4%	19,6%	2,0%	0,0%	0,0%	0,0%	39,2%	9,8%
იდლიანი	0,0%	100,0%	0,0%	18,2%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%	72,7%	9,1%
იფარი	0,0%	100,0%	0,0%	20,0%	0,0%	6,7%	6,7%	0,0%	33,3%	33,3%
კალა	0,0%	100,0%	50,0%	25,0%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%	25,0%	0,0%
ხაიში	0,0%	100,0%	34,8%	21,7%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%	39,1%	4,3%

ლახამულა	0,0%	100,0%	25,0%	8,3%	8,3%	0,0%	0,0%	0,0%	41,7%	16,7%
ლატალი	2,3%	97,7%	34,1%	27,3%	0,0%	0,0%	0,0%	2,3%	29,5%	6,8%
ლენჯერი	2,3%	95,5%	29,5%	6,8%	0,0%	0,0%	0,0%	2,3%	56,8%	4,5%
მესტია	0,0%	100,0%	23,9%	23,9%	,9%	0,0%	0,0%	0,0%	47,0%	4,3%
მულახი	0,0%	100,0%	36,0%	24,0%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%	32,0%	8,0%
ნაკრა	0,0%	100,0%	53,8%	15,4%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%	23,1%	7,7%
ფარი	0,0%	100,0%	33,3%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%	6,7%	53,3%	6,7%
ცხუმარი	6,3%	93,8%	50,0%	6,3%	0,0%	0,0%	0,0%	12,5%	31,3%	0,0%
წვირმი	0,0%	100,0%	40,0%	30,0%	0,0%	10,0%	0,0%	0,0%	20,0%	0,0%
უშგული	9,1%	90,9%	9,1%	36,4%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%	54,5%	0,0%
ზემო სვანეთი	2%	98%	30%	20%	1%	0%	0%	1%	41%	7%

წყარო: CRRC Georgia, მარტი-მაისი 2019, N=484, საშუალო ცდომილება 2.4%

**ცხრილი №16.** მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წვდომა ინტერნეტთან

	გაქვთ თუ არა წვდომა ინტერნეტთან?		ვის მიმართავდით თქვენს თემში შემდეგ საკითხებზე არსებული პრობლემების გადასატრედად?							
	კი	არა	ჩემით მოვავგარებდი პრობლემას	ადგილობრივი ხელ.	ცენტრალური ხელ.	ადამიანები ჩემს თემში	არასა-მთავრობო	ოჯახი	კერძო კომპანია	არ ვიცი
ხაიში	65%	35%	17%	35%	0%	0%	0%	0%	44%	4%
ტუბერი	39%	57%	30%	30%	0%	0%	2%	2%	20%	13%
წვირმი	40%	60%	40%	20%	0%	0%	0%	0%	20%	20%
ცხრუმარი	44%	50%	25%	19%	0%	0%	0%	6%	19%	25%
ფარი	33%	67%	27%	7%	0%	0%	0%	0%	33%	27%
უშგული	36%	64%	18%	9%	0%	0%	0%	0%	55%	18%
ნაკრა	39%	54%	46%	15%	0%	0%	0%	0%	15%	23%
მულახი	36%	64%	32%	20%	0%	0%	0%	0%	28%	16%
ლენჯერი	43%	52%	32%	11%	0%	0%	0%	0%	27%	23%
ლახამულა	67%	33%	8%	25%	8%	0%	0%	0%	42%	17%
ლატალი	43%	57%	27%	34%	2%	0%	0%	2%	18%	16%
კალა	25%	75%	25%	0%	0%	0%	0%	0%	25%	50%
ეცერი	39%	59%	18%	29%	0%	0%	0%	0%	28%	26%
იფარი	13%	87%	0%	20%	0%	0%	7%	0%	27%	47%
იღლიანი	0%	100%	0%	27%	0%	0%	0%	0%	64%	9%
ბეჩო	26%	74%	15%	15%	0%	0%	4%	0%	33%	22%
მესტია	71%	28%	17%	25%	1%	0%	0%	0%	49%	8%
ზემო სვანეთი	47%	52%	22%	23%	1%	0%	1%	1%	33%	17%

წყარო: CRRC Georgia, მარტი-მაისი 2019, N=484, საშუალო ცდომილება 2.4%

ცხრილი №17. მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წვდომა კულტურასა და გართობასთან

	გაქვთ თუ არა წვდომა კულტურასა და გართობასთან?		ვის მიმართავდით თქვენს თემში შემდეგ საკითხებზე არსებული პრობლემების გადასაჭრელად?							
	არა	კი	ჩემით მოვაგვარებდი პრობლემას	არ ვიცი	ადგილობრივი ხელ.	ცენტრალური ხელ.	ადამიანები ჩემს თემში	არასამთავრობო	ოჯახი	კერძო ბიზნესი
ბერი	88,9%	7,4%	4,2%	20,8%	66,7%	4,2%	4,2%	0,0%	0,0%	0,0%
ჭუბერი	89,1%	8,7%	30,4%	23,9%	43,5%	0,0%	0,0%	2,2%	0,0%	0,0%
ეცერი	90,2%	9,8%	13,7%	27,5%	52,9%	2,0%	0,0%	3,9%	0,0%	0,0%
იღლიანი	100,0%	0,0%	0,0%	0,0%	100,0%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%
იფარი	93,3%	6,7%	0,0%	14,3%	85,7%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%
კალა	100,0%	0,0%	0,0%	25,0%	75,0%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%
ხაიში	91,3%	4,3%	13,0%	21,7%	65,2%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%
ლახამულა	91,7%	8,3%	16,7%	25,0%	33,3%	16,7%	8,3%	0,0%	0,0%	0,0%
ლატალი	72,7%	27,3%	4,5%	31,8%	61,4%	0,0%	0,0%	0,0%	2,3%	0,0%
ლენჯერი	68,2%	27,3%	16,7%	35,7%	45,2%	2,4%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%
მესტია	39,1%	51,3%	8,7%	29,6%	58,3%	0,0%	1,7%	0,0%	0,0%	1,7%
მულახი	91,7%	8,3%	19,0%	23,8%	57,1%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%
ნაკრა	100,0%	0,0%	8,3%	50,0%	41,7%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%
ფარი	93,3%	6,7%	0,0%	28,6%	71,4%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%
ცხუმარი	93,8%	6,3%	25,0%	43,8%	31,3%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%
წვირმი	100,0%	0,0%	0,0%	28,6%	71,4%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%
უშგული	100,0%	0,0%	9,1%	27,3%	63,6%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%	0,0%
ზემო სვანეთი	75,56%	21,10%	11,88%	28,03%	56,92%	1,07%	0,86%	0,62%	0,21%	0,42%

წყარო: CRRC Georgia, მარტი-მაისი 2019, N=484, საშუალო ცდომილება 2.4%

ცხრილი №18. მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წვდომა საბავშვო ბალებზე

	გაქვთ თუ არა წვდომა საბავშვო ბალებზე?		ვის მიმართავდით თქვენს თემში შემდეგ საკითხებზე არსებული პრობლემების გადასაჭრელად?						
	არა	კი	ჩემით მოვაგვარებდი პრობლემას	ადგილობრივი ხელ.	ცენტრალური ხელ.	ადამიანები ჩემს თემში	არასამთავრობო	ოჯახი	არ ვიცი
ბერი	25.9%	74.1%	0.0%	85.2%	3.7%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%
ჭუბერი	10.9%	89.1%	4.3%	84.8%	0.0%	0.0%	2.2%	0.0%	8.7%
ეცერი	51.0%	49.0%	3.9%	86.3%	2.0%	0.0%	0.0%	0.0%	7.8%
იღლიანი	0.0%	100.0%	0.0%	100.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%
იფარი	6.7%	93.3%	6.7%	93.3%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%

კალა	75.0%	25.0%	0.0%	75.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	25.0%
ხაიში	13.0%	87.0%	0.0%	87.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	8.7%
ლახამულა	33.3%	66.7%	0.0%	83.3%	16.7%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%
ლატალი	72.7%	27.3%	6.8%	75.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	18.2%
ლენჯერი	20.5%	79.5%	2.3%	84.1%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	11.4%
მესტია	12.8%	85.5%	2.6%	90.6%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	4.3%
მულახი	24.0%	76.0%	0.0%	84.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%
ნაკრა	0.0%	92.3%	0.0%	92.3%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	7.7%
ფარი	66.7%	33.3%	0.0%	86.7%	6.7%	0.0%	0.0%	0.0%	6.7%
ცხუმარი	0.0%	100.0%	6.3%	81.3%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	12.5%
წვირმი	20.0%	80.0%	0.0%	80.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%
უშგული	18.2%	81.8%	0.0%	54.5%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	36.4%
ზემო სვანეთი	26%	74%	3%	85%	1%	0%	0%	0%	8%

წყარო: CRRC Georgia, მარტი-მაისი 2019, N=484, საშუალო ცდომილება 2.4%

**ცხრილი №19.** მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წვდომა სპორტთან, საჯარო სივრცეებთან და ბიბლიოთეკასთან

	გაქვთ თუ არა წვდომა სპორტთან, საჯარო სივრცეებსა და ბიბლიოთეკასთან?		ვის მიმართავდით თქვენს თემში შემდეგ საკითხებზე არსებული პრობლემების გადასაჭრელად?							
	არა	კი	ჩემით მოვავ- ვარებდი პრობლემას	არ ვიცი	ადგილობ- რივი ხელ.	ცენტრა- ლური ხელ.	ადამი- ანები ჩემს თემში	არასა- მთავრობო	ოჯახი	კერძო ბიზნესი
ბეჩო	70.4%	25.9%	0.0%	13.0%	82.6%	0.0%	0.0%	4.3%	0.0%	0.0%
ჭუბერი	56.5%	37.0%	17.4%	26.1%	54.3%	0.0%	0.0%	2.2%	0.0%	0.0%
ეცერი	68.6%	31.4%	9.8%	23.5%	62.7%	0.0%	0.0%	3.9%	0.0%	0.0%
იღლიანი	90.9%	9.1%	9.1%	0.0%	90.9%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%
იფარი	40.0%	53.3%	0.0%	28.6%	71.4%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%
კალა	100.0%	0.0%	0.0%	25.0%	75.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%
ხაიში	56.5%	39.1%	0.0%	13.6%	86.4%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%
ლახამულა	66.7%	33.3%	8.3%	25.0%	58.3%	8.3%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%
ლატალი	36.4%	61.4%	2.3%	25.0%	72.7%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%
ლენჯერი	68.2%	22.7%	16.3%	37.2%	44.2%	2.3%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%
მესტია	22.6%	67.8%	10.4%	23.5%	65.2%	0.0%	.9%	0.0%	0.0%	0.0%
მულახი	56.0%	44.0%	18.2%	4.5%	77.3%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%
ნაკრა	61.5%	38.5%	0.0%	53.8%	46.2%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%
ფარი	46.7%	53.3%	0.0%	0.0%	100.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%
ცხუმარი	50.0%	31.3%	18.8%	50.0%	31.3%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%
წვირმი	70.0%	30.0%	28.6%	0.0%	71.4%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%
უშგული	100.0%	0.0%	9.1%	36.4%	54.5%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%
ზემო სვანეთი	51%	43%	10%	24%	65%	0%	0%	1%	0%	0%

წყარო: CRRC Georgia, მარტი-მაისი 2019, N=484, საშუალო ცდომილება 2.4%



ცხრილი №20. მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წვდომა ჯანდაცვის სერვისებზე

	გაქვთ თუ არა წვდომა ჯანდაცვის სერვისებზე?		ვის მიმართავდით თქვენს თემში შემდეგ საკითხებზე არსებული პრობლემების გადასაჭრელად?							
	არა	კი	ჩემით მოვავ- ვარებდი პრობლემას	არ ვიცი	ადგილობ- რივი ხელ.	ცენტრა- ლური ხელ.	ადამი- ანები ჩემს თემში	არასა- მთავ- რობო	ოჯახი	კერძო ბიზნესი
ბეჩო	18.5%	81.5%	18.5%	0.0%	70.4%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	11.1%
ჭუბერი	30.4%	69.6%	23.9%	10.9%	60.9%	0.0%	0.0%	2.2%	0.0%	2.2%
ეცერი	29.4%	70.6%	9.8%	3.9%	72.5%	2.0%	3.9%	0.0%	0.0%	7.8%
იდლიანი	100.0%	0.0%	0.0%	0.0%	100.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%
იფარი	33.3%	66.7%	0.0%	6.7%	80.0%	0.0%	6.7%	0.0%	0.0%	6.7%
კალა	50.0%	50.0%	25.0%	0.0%	50.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	25.0%
ხაიში	21.7%	78.3%	4.5%	4.5%	86.4%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	4.5%
ლახამულა	16.7%	83.3%	0.0%	16.7%	66.7%	16.7%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%
ლატალი	22.7%	77.3%	4.5%	18.2%	70.5%	0.0%	0.0%	0.0%	2.3%	4.5%
ლენჯერი	36.4%	63.6%	13.6%	20.5%	61.4%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	4.5%
მესტია	6.9%	93.1%	2.6%	4.3%	89.7%	.9%	.9%	0.0%	0.0%	1.7%
მულახი	40.0%	60.0%	24.0%	4.0%	64.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	8.0%
ნაკრა	38.5%	61.5%	15.4%	30.8%	53.8%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%
ფარი	60.0%	40.0%	13.3%	0.0%	73.3%	6.7%	0.0%	0.0%	0.0%	6.7%
ცხუმარი	6.3%	93.8%	6.3%	6.3%	75.0%	0.0%	0.0%	0.0%	12.5%	0.0%
წვირმი	20.0%	80.0%	30.0%	0.0%	70.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%
უშგული	18.2%	81.8%	9.1%	9.1%	54.5%	0.0%	9.1%	0.0%	0.0%	18.2%
ზემო სვანეთი	25%	75%	10%	8%	74%	1%	1%	0%	1%	5%

წყარო: CRRC Georgia, მარტი-მაისი 2019, N=484, საშუალო ცდომილება 2.4%

ცხრილი №21. მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წვდომა აფთიაქებზე

	გაქვთ თუ არა წვდომა აფთიაქებთან?		ვის მიმართავდით თქვენს თემში შემდეგ საკითხებზე არსებული პრობლემების გადასაჭრელად?							
	არა	კი	ჩემით მოვავგა- ვარებდი პრობლემას	არ ვიცი	ადგი- ლობრივი ხელ.	ცენტრა- ლური ხელ.	ადამი- ანები ჩემს თემში	არასა- მთავ- რობო	ოჯახი	კერძო ბიზნესი
ბეჩო	66.7%	33.3%	3.7%	63.0%	3.7%	0.0%	0.0%	0.0%	11.1%	18.5%
ჭუბერი	45.7%	52.2%	6.5%	47.8%	0.0%	0.0%	2.2%	0.0%	2.2%	41.3%
ეცერი	70.6%	29.4%	9.8%	58.8%	3.9%	0.0%	2.0%	0.0%	5.9%	19.6%
